# საერთო გაზეთი

№23 (376) • 29 ივნისი, 2016 წ. • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.




26 ივნისს ახალ სპორტის სასახლეში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ყრილობა გაიმართა

**დათო მაღრაძე:**

## გავიგეთ, ბატონო, რომ გარდაიცვალეთ... რამდენჯერ უნდა მოგისამძიმროთ?!



„ხომ ხედავთ, „ნაციონალები“ უკვე „რუსთავი2“-ის ეზოსაც ველარ ავსებენ. ყველანი ერთად, სადემონსტრაციო აქციების მოწყობით, საკუთარ სამოქალაქო პანაშვიდებს მართავენ“

**გრიგოლ გაგნიძე:**

## ნიკა გვარამია, ჭიჭიკიას ცოლივით, ხელისუფლებისგან დაჟინებით ითხოვს „დაპყრობას“ და „გაუპატიურებას“



**დავით ნემსაძე:**

## დღეს შეიარაღებულ ძალებში ვერ დაწინაურდები, თუ ბიძინა ივანიშვილის მაგინებელი არ ხარ





## ჩემი პრეზიდენტი და მე, „მსუბუქი დებილობის ფორმით“...



## ბურჭულაძემ არენაზე ფეისბუქ-ზონდერები გამოიყვანა



# პროგრესი ჩვენი არჩევანია

**26 ივნისს ახალ სპორტის სასახლეში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ყრილობა გაიმართა.**

დარბაზი გადაჭედილი იყო, ახლაგაზრდები ისხდნენ კიბეებზეც, იდგნენ აივნებზე... მე ჯერ არც ერთ ყრილობაზე არ მინახავს ამდენი ახლაგზრდა ერთად... მოტივირებულები, პოზიტიურები, დროშებით ხელში...

ყრილობის დასაწყისშივე ახალგაზრდებს პრემიერ-მინისტრმა, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ გიორგი კვირიკაშვილმა მიმართა: „თქვენი ენერგია ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, თქვენი ასაკისთვის დამახასიათებელი ენერგია, თამამი გადაწყვეტილებები, საჭირო და მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის, ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის“.

ახალგაზრდების ერთიანობის მნიშვნელობაზე ისაუბრა, აგრეთვე, ქვეყნის ვიცე-პრემიერმა, პარტიის გენერალურმა მდივანმა და ცენტრალური შტაბის ხელმძღვანელმა კახი კალაძემ: „თქვენ ხართ მომავალი არა მარტო ამ ქვეყნის, არამედ იმ პოლიტიკური თანამედროვე სტილის, რაც ჩვენი საერთო მონდომებით ამ ქვეყანაში გახდება სტანდარტი და ჩაანაცვლებს გამარგინალებურ, ან წარსულში ჩარჩენილ პოლიტიკურ სეგმენტს. პოლიტიკაში უნდა მოვიდნენ თანამედროვე, განათლებული, ევროპულად მოაზროვნე და მაღალი ზნეობის კრიტერიუმების მქონე საქართველოს პატრიოტები!“.

მოგვიანებით ახალგაზრდული ორგანიზაციას საპატიო სტუმრის სტატუსით მოწვეულმა, ახალგაზრდა სოციალისტების საერთაშორისო გაერთიანების ხელმძღვანელმა ევინ ინკისმა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ახალგაზრდულ ორგანიზაციას სოციალისტების საერთაშორისო გაერთიანებაში გაწევრიანება მიულოცა და აღნიშნა, რომ „ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო კავშირი“ მსოფლიოში უდიდესი და გავლენიანი ახალგაზრდული პოლიტიკური მოძრაობაა...

ყრილობის დელეგატებმა ღია კენჭისყრით ერთხმად დაუჭირეს მხარი ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტზე გიორგი ჩაკვეტაძის კანდიდატურას, თავმჯდომარის მოადგილეებად კი აირჩიეს დავით ხაბეიშვილი და ბაჩა ჩინჩალაძე.

გიორგი ჩაკვეტაძეს განათლება მიღებული აქვს კავკასიის უნივერსიტეტში სამართლის სპეციალობით, იგი სწავლობდა, ასევე, ტალინშიც და იყო საქართელოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი იუნესკოში.

ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დელეგატებს გამოცხადებული ნდობისთვის და ამ პასუხისმგებლობის აღებისთვის მზადყოფნა გამოთქვა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში მსგავსი მასშტაბის ყრილობა პირველად იმართება და ქართველი ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა.

გიორგი ჩაკვეტაძემ, ასევე, გაიხსენა 2012 წლის 1 ოქტომბერი და დიდი მადლობა გადაუხადა ბატონ ბიძინა ივანიშვილს ამ ღირშესანიშნავი დღისათვის.

ორგანიზაციის ახალმა თავმჯდომარემ არც აფხაზი და ოსი მეგობრები დაივიწყა: „მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით და მივმართო აფხაზ და ოს მეგობრებსაც, რომ ჩვენ ახალგაზრდებს, თანატოლებს სუფთა ხელებით შეგვიძლია თანაცხოვრება ერთიან დემოკრატიულ, თავისუფალ და ევროპულ საქართელოში!“.

**თამუნა კუშელავა**









„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# „ნუ მიმატოვებ ასე...“

## დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გავიდა თუ გააძევეს?

*ევროპარლამენტი მოითხოვს, სასწრაფოდ გაააქტიურონ ევროკავშირის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 50-ე მუხლი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ამ თანამეგობრობიდან გასვლის პროცედურებს, რათა დაუყოვნებლივ გააფორმონ დიდი ბრიტანეთის გასვლა კავშირიდან – ასეთია ასამბლეის რეზოლუციის პროექტი.*

### ბრიტანეთი ინგლისური მანერით მიდის: ვინ იქნება შემდეგი?

**დიდ ბრიტანეთში ევროკავშირის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებამდე ევროსაბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტუსკი შეშფოთებას გამოხატავდა – დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა „დასავლურ პოლიტიკურ ცივილიზაციას“ სერიოზულ საფრთხეს შეუქმნისო.**

**დღესდღეობით, ყველა აპოკალიფსური შიში დაადასტურეს ბრიტანეთის მოქალაქეებმა, რომელთა 52 პროცენტმა (17,41 მლნ ამომრჩეველი) ხმა მისცა საერთოევროპული სივრციდან გასვლას. რეფერენდუმის შედეგების აღსრულება იურიდიულად სავალდებულო არ არის, ანუ მთავრობასა და პრემიერ-მინისტრს უფლება აქვთ უგულებელყონ ეს შედეგები, თუმცა ხელისუფლებას საზოგადო-**

გავლენის სფეროები კვლავაც უცვლელი დარჩება.

პოლიტოლოგების ერთი ნაწილი წინასწარმეტყველებს, რომ შემდეგი სახელმწიფოები, რომლებიც ბრიტანეთის კვალდაკვალ საერთოევროპულ ორგანიზაციას დატოვებენ, ნიდერლანდები და დანია იქნებიან.

### შვედეთი

ეს ქვეყანა დიდი ბრიტანეთის სკანდინავიური ანალოგია: ისიც უარს ამბობს ევროს, როგორც ეროვნული ვალუტის შემოღებაზე და საერთოევროპულ პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხებზე მუდამ ეთანხმება დიდ ბრიტანეთს.

ამგვარად, Brexit-ს შეუძლია გამოიწვიოს საგანგაშო განწყობილება შვედეთში: შარშან რამდენიმე ლტოლვილების დიდი რაოდენობა, რამაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ამ არცთუ დიდი ქვეყნის სოციალურ უზრუნველყოფას. დიდი ბრიტანეთის გარეშე დანიას აღარ ეყოლება ლოკომოტივი, რომელიც მათს ინტერესებს წაეშველება – ასეთია არაერთი პოლიტოლოგის მოსაზრება.

### ნიდერლანდი

ბრიტანეთში რეფერენდუმამდე ჰოლანდიურმა გაზეთმა თავისი განაჩენი გამოაქვეყნა სათაურით: „ნუ მიმატოვებ ასე!“ უკიდურესად მემარჯვენე პარტია მხარს უჭერს Brexit-ს და იმედოვნებს, რომ ნიდერლანდშიც ჩატარდება ასეთივე რეფერენდუმი: „თუ ვაპირებთ გადავრჩეთ, როგორც ერი, დაუყოვნებლივ უნდა შევაჩეროთ იმიგრა-






**ებრივი აზრის გავლენის გამო ეს გაუჭირდება. წინასწარმეტყველება გაერთიანებული სამეფოს გარდაუვალი დაშლის შესახებ შესაძლოა, ყურით მოთრეულია, თუმცა უდავოა, რომ ზოგიერთი ქვეყანა მომენტსა და პრეცედენტს გამოიყენებს და თავიანთ ქვეყნებშიც ჩაატარებენ მსგავს რეფერენდუმებს.**

„ევროკავშირი სულს ღაფავს“, – განაცხადა გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ნაიჯელ ფარაჟმა მას შემდეგ, რაც ბრიტანელებმა რეფერენდუმით ევროკავშირიდან გასვლის სურვილი გამოხატეს.

ბევრი ანალიტიკოსის შეფასებით, ამ რეფერენდუმის შედეგებით რუსეთის საგარეო პოლიტიკამ თავის მაქსიმალურ მიზანს მიაღწია: უახლოეს წლებში ევროკავშირი თავისი საშინაო საქმეებით იქნება დაკავებული.

ასეთ ახალ გარემოებაში ევროკავშირის შემდგომ გაფართოებაზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტია. ცუდი ახალი ამბავია ყველა უკრაინელის, მოლდოველისა და ქართველებისთვის: ევროკავშირის გაფართოებამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ან ბალკანეთის სახელმწიფოების მეშვეობით ძალზე შორეული მომავლისთვის გადაინაცვლა. ამაზე ევროლიდერები, რა თქმა უნდა, საჯაროდ არ ილაპარაკებენ და ისტორიულად არსებული ასეული ათასი ლტოლვილი მიიღო და შვედურ საზოგადოებაში მათ ადაპტაციასა და ინტეგრაციას შეეცადა. შესაბამისმა უკიდურესად მემარჯვენე პარტიებმა ეს ხელსაყრელი მომენტი გამოიყენეს და, გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტიის მსგავსად, არნახულ პოპულარობას მიაღწიეს.

შექმნილ ვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საკითხი, თუ რა პოლიტიკას აირჩევს ევროკავშირის ხელმძღვანელობა მომავალში: გააგრძელებს თანამშრომლობის გაღრმავების გზით შემდგომ უნიფიკაციას და კვლავ დაეყრდნობა ევროპის წამყვან სახელმწიფოებს, თუ სადავეებს მიუშვებს და ეროვნულ მთავრობებს ხმის უფრო მეტ უფლებას მისცემს.

### დანია

ამ სახელმწიფომ შარშან ჩაატარა რეფერენდუმი ნაკლებად რადიკალური შეკითხვით: დანიელებს უნდა გამოეხატათ უფლებამოსილებათა მოცულობა, რა მიაკუთვნონ ევროკავშირის კომპეტენციას. კვლევითი ცენტრის Pew-ს მონაცემებით, დღესდღეობით ევროპის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეთა დიდი ნაწილი ბრიუსელის ძალაუფლების გაძლიერებას ეწინააღმდეგება.

შვედების მსგავსად, დანიელებსაც აშფოთებთ იმიგრანტებისა და ცია და ისლამიზაცია“, – აცხადებს პარტიის ლიდერი ვილდერსი.

### საფრანგეთი

ყველაზე მეტი ევროსკეპტიკოსი ამ ქვეყანაშია: 61 პროცენტი უარყოფითად არის განწყობილი ევროკავშირის მიმართ. გერმანიის მსგავსად, საფრანგეთი კონტინენტური ევროპის წამყვანი ძალაა. მიუხედავად ამისა, პრობლემებს აწყდება ხოლმე – მაგალითად, სუსტი ეკონომიკისა და ტერორიზმის მაღალი საფრთხის გამო. ამ პრობლემების ერთ ნაწილზე პასუხისმგებლობა ეკისრება ევროკავშირს ან კავშირის ზოგიერთი წევრის მოქმედებების შედეგებს. ფრანგები სიფრთხილით მოეკიდნენ მერკელის გადაწყვეტილებას, 2015 წელს გაეხსნათ საზღვრები სირიელი ლტოლვილებისთვის.

ყველაფერი ეს წყალს ასხამს საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის წისქვილზე, რომლის ლიდერი მარი ლე პენი მხარს უჭერს Brexit-ს, და თუ მოახლოებულ არჩევნებში გაიმარჯვებს, საფრანგეთიც ბრიტანეთის გზას დაადგება.

### შოტლანდია – უნიკალური შემთხვევა

დიდ ბრიტანეთში ბოლო ორ წელიწადში ორი მეტად მნიშვნელოვანი რეფერენდუმი ჩატარდა, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი უნდა მოემზადოს მესამისთვისაც: და შესაძლოა, ის აღმოჩნდეს უახლოესი პერიოდის ერთადერთი პროევროპული ორიენტაციის რეფერენდუმი. 2014 წელს მართალია, შოტლანდიამ ხმა მისცა გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში დარჩენას, თუმცა იგი საერთო ევროპის მიმართ დიდი მხარდაჭერითაც გამოირჩევა.

ვარაუდი, რომ შოტლანდიას შეუძლია დამოუკიდებლად შევიდეს ევროკავშირში, ჯერჯერობით მოცლილთა მოსაზრებებად ფასდება. არადა, ეს ვარაუდები გამოითქმება მეტისმეტად საჯაროდ, მეტისმეტად გულახდილად და მეტისმეტად საგნობრივად. ბევრი შოტლანდიელი პოლიტიკოსი აცხადებს, რომ ისინი შეისწავლიან ყველა შესაძლო ვარიანტს. აპირებს თუ არა შოტლანდია კიდევ ერთი რეფერენდუმის ჩატარებას? მსგავსი პერსპექტივა გამორიცხული არ არის.

### „წყალდიდობის“ შედეგები, რასაც ცოტა ვინმე თუ ელოდა

**T:** ამერიკის შეერთებული შტატები დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის კვალდაკვალ სტრატეგიას ცვლის: ევროპაში ასეთი პარტნიორი საძებნელია.

დიდი ბრიტანეთი შეეჩეხა მკაცრ რეალობას: მსოფლიო არენაზე მისი გავლენა ირღვევა მას შემდეგ, რაც ქვეყნის ევროკავშირიდან გამოსვლის მხარდაჭერით გამოწვეულმა აურზაურმა შიდაპოლიტიკური არასტაბილურობა გამოიწვია.

რეფერენდუმის შედეგებმა შეარყია ომისშემდგომი ევროწესრიგი და მსოფლიო საფინანსო ბაზრები, და პრემიერ-მინისტრ დევიდ კემერონის სავარძელიც. ევროკავშირის ლიდერები ამზადებენ გრაფიკს, რომლის თანახმადაც დიდი ბრიტანეთი 2019 წლის დასაწყისში ბლოკიდან გავა.

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, ქვეყნის ხაზინის ხელმძღვანელობა არწმუნებენ მოქალაქეებს, რომ რეფერენდუმის შედეგები არ დააზარალებს მათს ფინანსურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, დეტალურად განუმარტავენ მოსახლეობას, თუ რას გეგმავენ საამისოდ.

ლონდონი გარდაუვლად დაკარგავს გავლენას ევროპული საფინანსო სამსახურების წესების ჩამოყალიბების პროცესზე, ეს სექტორი კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბრიტანული ეკონომიკისთვის. დიდი ბრიტანეთის არყოფნისას უფრო მეტად ყურს დაუგდებენ ფრანგულ, გერმანულ, ჰოლანდიურ, ირლანდიურ საფინანსო სფეროებს, – განაცხადა ჯონათან ჰილმა, რომელმაც სულ ახლახან დატოვა ევროკავშირის საფინანსო სამსახურების კომისრის თანამდებობა.

Brexit-მა გააცამტვერა ამერიკის შორსმიმავალი გეგმები – ლაპარაკია გეგმაზე, რომლის თანახმადაც ევროკავშირის როლი მის რეგიონსა და ახლო აღმოსავლეთში ნელ-ნელა გაიზრდებოდა, ხოლო ამერიკა უფრო აზიას მიაპყრობდა ყურადღებას. ახლა გადასახედია ევროპასთან ურთიერთობები, რომლებიც უკვე ობამას მემკვიდრის საზრუნავი გახდება.

ბრიტანეთშიც შეშფოთებული არიან. „ჩვენ შესაძლოა ვეღარ მოვახდინოთ გავლენა პუტინის მხრიდან დარღვევებსა და ირანის ბირთვულ ამბიციებზე ევროპული სახელმწიფოების პასუხზე, უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის საგარეოპოლიტიკურ კურსზე. ბრიტანეთი და ამერიკა კვლავაც შეძლებენ თანამშრომლობას ტერორიზმთან ბრძოლის, კიბერუსაფრთხოების სფეროებში, აგრეთვე სამხედრო საკითხებში, თუ ბრიტანეთის ეკონომიკა მეტისმეტად არ შესუსტდება“, – აცხადებს გამოცდილი ბრიტანელი დიპლომატი პიტერ ვესტმეკოტი.

**Le Monde:** ფრანგი ფილოსოფოსისა და ჟურნალისტის, La Règle du jeu-ის ხელმძღვანელის თქმით, „Brexit ხალხის გამარჯვება კი არა, პოპულიზმია; დემოკრატია კი არა, დემაგოგიაა. ეს არის ხისტი და უკიდურესი მემარჯვენეების გამარჯვება ზომიერ მემარჯვენეებზე, რადიკალურად განწყობილი მემარცხენეებისა – ლიბერალ მემარცხენეებზე; ობმოკიდებული ინგლისისა იმ ინგლისზე, რომელიც გახსნილია მსოფლიოსთან ურთიერთობისთვის და პატივს სცემს საკუთარ დიდებულ წარსულს“.

რაც მოხდა, ეს არის გამარჯვება დონალდ ტრამპისა, ვინც ერთ-ერთმა პირველმა მოიწონა რეფერენდუმის შედეგები და გამარჯვება პუტინისა, რომლის ოცნებაა ევროკავშირის დაშლა.

# დათო მაღრაძე:
# გავიგეთ, ბატონო, რომ გარდაიცვალეთ... რამდენჯერ უნდა მოგისამძიმროთ?!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოეტი **დათო მაღრაძე:**

**— დათო, ქართულ პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე გადალაგების პროცესი კვლავ გრძელდება. თუმცა, ბოლო დროს გამოკვეთილი ტენდენციის თანახმად, სრულიად ოპოზიციური სპექტრი ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდა. როგორ ფიქრობთ, რისი ნიშანია ეს, მათ რა აერთიანებთ?**



— ვინ გაერთიანდა, არც ვიცი. ოპოზიციურ სპექტრს მკაფიო კონტურები არ აქვს. ეს მხოლოდ ივანიშვილის მიმართულებას, მის ორიენტირებს გააჩნია, რომელიც მან ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან განსაზღვრა. ადრეც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, მან სინგაპურიზაციას, რუსეთთან ომის ფონზე, რუსეთთან ომის გარეშე, ევროინტეგრაცია დაუპირისპირა, რაც დღემდე მუშაობს. ჩემი აზრით, ბოლო 25 წლის მერე, ქაოტურ ორომტრიალში გამოიძერწა მთავრობა, რომელიც სიმპატიას იმსახურებს. მედია, სასამართლო პირველად გახდა ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი. ვის დაემონებიან პირადად, არ ვიცი, ინდივიდუალურ ვნებებში ვერ ჩავერევი. ეს ქვეყნის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ბოლო პერიოდში ქვეყანა პირდაპირ სიგიჟის ეპიცენტრისკენ მიემართებოდა, ახლა, სიბრძნე გაჩნდა. რაც შეეხება ოპოზიციურ სპექტრს, მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვერ ვანიჭებ. იმიტომ, რომ ბევრი ერთ, ორ, კაცნახევრიანი, ორკაცნახევრიანი პარტიები არსებობს. მათ რომ მნიშვნელობა მივანიჭო, ხალხის წინაშე მართალი არ ვიქნები. აი, ის კი ნამდვილად ვიცი, რომ სამაგიეროდ, ქვეყანაში ივანიშვილის ზნეობრივი ფაქტორი მუშაობს, რის გამოც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი „ქართულ ოცნებას“ მხარს დაუჭერს. არ ვამბობ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი ბრწყინვალედ წარმართა. თუმცა, თვალსაჩინოა, რომ ქვეყანა ნორმალური განვითარების გზას დაადგა, რასაც მამულისა ჩვეულებისაებრ სვლაი ჰქვია. ქართველი ხალხი არ არის ისეთი გულუბრყვილო როგორიც ჩვენს ოპოზიციურ სპექტრს ჰგონია, ის ყველაფერს ხედავს.



**— თუმცა, „ნაცმოძრაობა“ „რუსთავი2“-ის პირით გვეუბნება, რომ ქვეყნის მომავალი მათ არსებობაზეა დამოკიდებული.**

— სააკაშვილმა „რუსთავი2“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს მიიტაცა, არცერთი შაური, გროში არ დაუხარჯავს. ადგა და მიიტაცა. დღეს, ისე გამოჰყავთ, თითქოს თუ მტაცებელ სააკაშვილს „რუსთავი2“ ექნება, ეს თავისუფალი სიტყვის ზეიმს ნიშნავს, ხოლო თუ მეპატრონეები თავიანთი უფლებების დაცვას მოითხოვენ, ეს თავისუფალი სიტყვის შეზღუდვა ყოფილა. უკვე აქამდეც მივედით, თუმცა ვერავითარ საფრთხეს ვეღარ შექმნიან. „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში მთელი თავისი ზონდერ ჯგუფებით იყო მოსული, მაგრამ დემოკრატიულ არჩევნებში დავამარცხეთ. მათ, ზონდერ ჯგუფებმა, ხელისუფლებაში ყოფნისასაც კი ვერ უშველა და არ მგონია ახლა, ჩაჰყვეს ვინმე საფლავში. ხომ ხედავთ, „ნაციონალები“ უკვე „რუსთავი2“-ის ეზოსაც ვეღარ ავსებენ. ყველანი ერთად, სადემონსტრაციო აქციების მოწყობით, საკუთარ სამოქალაქო პანაშვიდებს მართავენ. კი ბატონო, გავიგეთ, რომ გარდაიცვალნენ, რამდენჯერ უნდა მივუსამძიმროთ?! ნეკროფილია დაემართათ. მივუბრუნდეთ ოპოზიციას, არანაირი გაერთიანებული სპექტრი არ არსებობს — ორი კაცი სამს რომ გაუერთიანდება ხუთკაციან პარტიაზე სერიოზულად ვერ ვიმსჯელებ. საქართველოს მოსახლეობა ივანიშვილს იცნობს, იცის მისი ღვაწლის შესახებ და არჩევნებში თავის გადაწყვეტილებას გამოიტანს. არანაირი სპექტრი და ალიანსები არ არსებობს. კარგი იქნება თუ რეალური ოპოზიციური სპექტრი გაჩნდება იმიტომ, რომ ეს ქვეყნის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს, ოპოზიცია არ არსებობს. „ნაცმოძრაობა“ მიხვდა, რომ მათი ადგილი პარლამენტში საერთოდ არ არის და იქაურობა მიატოვეს. ეს ძალიან კარგია. პირველად ვნახე, რომ „ნაცმოძრაობა“ შეგნებულად იქცევა. მიხვდნენ, რომ მათი ადგილი პარლამენტში არაა და წავიდნენ. სინამდვილეში, პოლიტიკური ოპოზიცია რომ გაჩნდეს, ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ საზოგადოების, ქვეყნის განვითარების მამოძრავებელი ღერძი კვალიფიციური ოპონირებაა, რასაც „ნაცები“ ვერ გასწევდნენ — მათ არც კვალიფიკაცია აქვთ, არც ცოდნა, არც ვნება. ერთადერთი ვნება ისაა იყვნენ ხელისუფლებაში და რუსეთს ეომონ. ამის საფასურად, გავლენიანი პოლიტიკური წრეებისგან, საჩუქრად ოდესის საბაჟო მიიღეს. არაფერს ვაჭარბებ, ფაქტს გეუბნებით. სად გინახავთ, ერთ ქვეყანაში გაბითურებული, არჩევნებში დამარცხებული ხელისუფლება წაეყვანოთ და მეორე ქვეყნის ხელმძღვანელობაში არჩევნების გარეშე დაესვათ?! გაუგონარი იდიოტიზმი მოხდა. ვინც ეს გააკეთა, ალბათ, ჰგონია რომ ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო, ყველაფერი საშინლად შემოუბრუნდებათ, ეს მათ სადისკრედიტაციოდ იმუშავებს. როგორც „ნაცებმა“ იმუშავეს მათ სადისკრედიტაციოდ, ასევე იმუშავებს ეს გადაწყვეტილებაც. მხოლოდ საკუთარი ქვეყნის გაწირვაში, მათ ოდესის საბაჟო მიართვეს, ეს ძალიან თვალსაჩინოა. საკუთარი მიწა-წყალი გაწირეს, ქართველი მეომრები ამ ომს შეაწყვიტეს, მივიღეთ ახალი ლტოლვილები, ამაში „ნაცებმა“ იხეირეს და ოდესის საბაჟოს აკონტროლებენ. ახლა, ალბათ, ამ გავლენიან პოლიტიკურ წრეებს სთავაზობენ ხელისუფლებაში მოგვიყვანეთ და თბილისსაც ჩავაბარებთ რუსეთსო. ამ დამსახურებისთვის შეიძლება სუეცის არხიც მისცენ, გამორიცხული არაფერია. „ნაციონალებს“ ამის დარდი არ აქვთ — წყალტუბოს ნიკოფსიას დაარქმევენ, ქუთაისს — დარუბანდს, მოგვილოცავენ საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადავჭიმეთო და იზეიმებენ კიდეც. წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ქარი, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გახდება.

**— დათო, ოპოზიციაში უცნაური წარმონაქმნები გაჩნდა უცნაური სახელწოდებებით. რა ხდება?**

— იცი რა, ხომ არსებობენ ისეთი წარმონაქმნებიც — ჰარმონიული ლიბერალები, ჰუმანისტი დემოკრატები. საქართველო ძველი ტრადიციების, კულტურის ქვეყანაა, უზარმაზარი იმპერია არაა და აქ ყველა ერთმანეთს იცნობს. ამიტომ, შეიძლება სწორიც იყოს ის, რომ სახელწოდება საკუთარი სახელისა და გვარებისგან შედგება და არა რაღაც პარტიული სათაურით. ჩემი აზრით, არჩევნებზე პიროვნებებს უფრო აძლევენ ხმას, ვიდრე რაღაც პარტიულ დასახელებებს. მათ „ქრისტიან-ლიბერალ-ჰუმანისტ-სოციალისტები“ რომ დაერქვათ, უფრო გაუჭირდებოდა ხალხს არჩევანი, გვარ სახელით იდენტიფიკაცია უფრო ადვილია.

**— ბევრს საუბრობენ იმ 60%-ზე, რომელიც არჩევნებში მოსვლას, კვლევების თანახმად, არ აპირებს. თქვენ, რა მოლოდინი გაქვთ?**

— გამორიცხულია, ეს „ნაცების“ ფუჭი დემაგოგიაა. მათ აწყობთ არჩევნებზე ხალხი არ მივიდეს იმიტომ, რომ მათი სექტა, რომელიც არჩევნებზე მივა, ასე უფრო მეტი გახდება, ვიდრე დარჩენილი 60%-ის მისვლის შემთხვევაში. მჯერა, რომ საქართველოს მოსახლეობა არჩევნებზე აუცილებლად მივა. კიდევ ვიმეორებ, ქართველი ხალხი ისეთი გულუბრყვილო არ არის როგორც „ნაცებს“, მათ მხარდამჭერებს და ზოგიერთ ევროპარლამენტარს ჰგონიათ, რომლებიც ბრიტანეთის გარეშე დარჩნენ. რა კარგია არა, ევროპა ბრიტანეთის გარეშე. ევროპა ბრიტანეთის გარეშე არ არსებობს. ევროპა, რა თქმა უნდა, ბრიტანეთთან ერთადაა, მაგრამ ევროკავშირი მის გარეშე დარჩა. პოლიტიკურ პროგნოზებს ვერ გავაკეთებ, მაგრამ ლოგიკურად, მგონია, რომ ევროკავშირი ბრიტანეთის გარეშე შინაარსს კარგავს. ევროკავშირი არის პროექტი, ინგლისი არის სამშობლო. რა თქმა უნდა, სამშობლო ყოველთ-





ვის მეტია, ვიდრე პროექტი.

— **სამაგიეროდ, ჩვენ მივილტვით ევროკავშირისკენ...**

— ჩვენ თუ შევავსებთ ახლა, ბრიტანეთის ადგილს, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. სერიოზულად თუ ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, ბრიტანეთის ადგილს ნამდვილად ვერ დავიკავებთ, ამის რესურსი არ გვაქვს, ამიტომ გაგებით მოვეკიდოთ, ცოტა შორსმჭვრეტელობა გამოვიჩინოთ და დავფიქრდეთ, რა პროცესები დაიწყო, რომელიც საით წავა, მართლა არ ვიცი. უბრალოდ, ეს აშკარა ნიშანი, ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალი არის. ამ სიგნალის ჩვენგან მიუყურადებლობა, პოლიტიკური სიბეცე იქნება, რაც ამ წლების მანძილზე არაერთხელ გამოგვიჩენია. დაიწყო ევროკავშირის როგორც ასეთის ინსტიტუციის რღვევის პროცესი. ბრიტანეთი ის ქვეყანაა, რომლის გარეშე ევროკავშირი წარმოუდგენელია. მას სხვა ქვეყნებიც თუ მიემატა — საფრანგეთი, გერმანია, იტალია, მერე ვის დარჩება ევროკავშირი?! ეს ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალია, თანაც რეფერენდუმით გამოსვლა. ეს ხალხის გადაწყვეტილებაა.

— **ჩვენთან ხშირად გაიგონებთ, ევროკავშირში შესვლა ქვეყნის ერთადერთი ხსნააო.**

— რა თქმა უნდა, ინგლისი, იტალია, საფრანგეთი, გერმანია თუ გავლენ და ჩვენ შევალთ, ალბათ, ევროკავშირს გადავარჩენთ. აი, კიდევ ერთი-ორი ქვეყნის აყოლიებაც თუ შევძელით, ინგლისს, საფრანგეთს, იტალიასა და გერმანიას ჩავენაცვლებით. ამ ჩირაღდანს ჩვენ რომ ავიღებთ, მერე ევროპარლამენტარების გამოსვლები უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე აქამდე ყოფილა.

— **საქართველოში პარტიებმა პრივილეგიად აქციეს ნატოს ან რუსეთის მხარდამჭერობა. არჩევანი ხალხს მხოლოდ ამ ნიშნით ეძლევა.**

— ქვეყნიერების დასალიერამდე ასე გაგრძელდება. ადრე, ნატოს ნაცვლად, იყო თურქეთი, ბიზანტია, სპარსეთი, ირანი. რეალურად, არავინ არაფერს გვაძალებს, ჩვენ მეტიჩრობის ზეიმი გვაქვს. ზოგი უკვე შევიდა ნატოში, იქ გაწევრიანდა და სრულუფლებიანი, ინდივიდუალური წევრია. ზოგიც ევრაზიის კავშირში შევიდა. მოკლედ, პატარა საგიჟეთი გრძელდება, მაგრამ ვიმეორებ, რაც მთავარია, ხელისუფლება არაა საგიჟეთის ეპიცენტრში, რაც მნიშვნელოვანია. იგი აპირებს ცხოვრება ნორმალური გზით განაგრძოს, ხალხიც სწორედ, ამ გზაზე ატაროს.

— **მოკლედ, ზოგს ნატო უნდა, ზოგს რუსეთი, საქართველოს მსურველები სად არიან, ამ ნაწილში ხელისუფლებას ხომ არ მოიაზრებთ?**

— ნამდვილი საქართველო, ყოველთვის, საქართველოში რჩება. მე და თქვენ საქართველოს შვილები ვართ. ვიღაცებს ეს ქვეყანა ეცოტავათ, ეპატარავათ, დიდ ქვეყნებს ეშვილნენ, ზოგი ერთ იმპერიას ეშვილა, ზოგი — მეორეს. მერე, თავს ირწმუნებენ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთო — ჰგონიათ, რომ ამ იმპერიის წესების აქ გატარება გადარჩენის ერთადერთი გზა არის. მაგრამ ცუდი ისაა, რომ სამშობლოს ინტერესს არ იცავენ იმ ქვეყანაში, რომელსაც ეშვილნენ, პირიქით, იმ ქვეყნის ინტერესს აქ იცავენ. ესაა მათი პრობლემა. ჩვენ ეს პრობლემა აღარ გვეხება, რადგან ქვეყანა სწორ რელსებზე შედგა. მათ ვერ აუკრძალავ დაფინანსება დასავლეთიდან ან ჩრდილოეთიდან მიიღონ. ერთი რამ კი უდაოდ შეგვიძლია — ჩვენს ხალხს ჩვენც ველაპარაკოთ და ვუთხრათ, რომ ამ ხალხმა თავიანთი სამშობლო იცოტავეს, ეპატარავათ და დიდ ქვეყნებს ეშვილნენ. მაგრამ ის დაავიწყდათ, რომ სამშობლო დიდი და პატარა არ არსებობს.

— **სწორედ, ასეთი ხალხი იბრძვის ივანიშვილის დასამარცხებლად და კითხვაც კი არ უჩნდებათ, რას მოიგებს ამით ქვეყანა, ასე ხომ სინამდვილეში სამშობლოს უპირისპირდებიან?**

— იცი რა, ივანიშვილს უსუსური ოპოზიციური დაჯგუფებები ვერ მოუგებენ იმიტომ, რომ სიტუაცია თვალსაჩინოა — ხალხმა დაინახა ის სიკეთე, რაც ამ ადამიანმა თავისი სტრატეგიით ქვეყანას მოუტანა. ჯერ ერთი, დანაშაულებრივი ბანდა ხელისუფლებას ჩამოაშორა, ეს მანქანა შეაჩერა. „ნაცების“ საქართველოში ადამიანს არანაირი ფასი არ ჰქონდა. დღეს, ადამიანს ისევ ფასი დაედო, მას ვერავინ დაჩაგრავს ვერც ჩინოვნიკი, ვერც პროკურორი. ხალხმა იცის, რომ სადღაც სამართალს იპოვის, საქართველოში ამის განცდა გაჩნდა.

— **თუმცა, ბევრი უკმაყოფილოა, რომ სამართლიანობა არ აღდგა.**

— რა თქმა უნდა, არ აღდგა იმიტომ, რომ ამაში გავლენიანი პოკლიტიკური წრეები ჩაერივნენ და თავსმოხვევული კოაბიტაცია კრიმინალების თავშესაფარი გახდეს. ეს ერთი შეხედვით დადებითი რამ — თანაცხოვრების კულტურა, კრიმინალების თავშესაფარი გახდა. ამ ქვეყანაში დიდი დანაშაულია ჩადენილი, რასაც პასუხი უნდა გაეცეს. უნდა ვიბრძოლოთ, რათა საშუალება მოგვეცეს საზოგადოებამ ამ დიდ დანაშაულს ადეკვატური პასუხი გასცეს. ეს დანაშაული ხომ მოსახლეობის წინაშეა ჩადენილი. სრულიად დამოუკიდებელი ქვეყნები არ არსებობენ, მაგრამ უნდა გამოვნახოთ გზა, რითაც უფლება გვექნება ქვეყანაში სამართალი აღდგეს. დღეს ასეთი სიტუაცია დახატეს — თუ პოლიტიკაში ხარ, რაც გინდა ის ჩაიდინე. როგორც პოლიტიკოსს, თუ რომელიმე პარტიაში შეძვერი, პასუხი თუ მოგეკითხა, ეს დევნად ჩაითვლება.

— **პრობლემა ისიც ხომ არ არის, რომ დღევანდელი პოლიტიკური სპექტრის დიდ ნაწილს ღირებულებები, ფასეულობები, საკუთარი პრინციპები არ გააჩნიათ?**

— თითოეული პარტიის განხილვაში ვერ შევალ. ერთადერთი ვისაც არანაირი ღირებულება არ აქვს, ეს არის „ნაცმოძრაობა“. ისინი არანაირ ღირებულებას არ იცავენ და არ ერთგულებენ. ერთადერთი ლოზუნგი აქვთ — თუ ღმერთი არ არსებობს, ყველაფერი ნებადართულია. ამით ცხოვრობენ.

— **დასავლეთმა კვლავ დაგვიქნია თითი მერაბიშვილი პოლიტპატიმარიაო. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?**

— შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც ორ გვამს ითხოვს, როგორაა პოლიტპატიმარი? რომელ უდანაშაულობაზეა საუბარი? ეს მატრაკვეცობით, სვეცკობით დაავადებული ქართული საზოგადოების ნაწილი ხან მერაბიშვილის პოლიტპატიმრობაზე საუბრობს, ხან უგულავასი. ევროპარლამენტი, ჩემთვის, ევროპა ნამდვილად არ არის. ევროპაში ბევრად უფრო საინტერესო ხალხთან მაქვს ურთიერთობა, ვიდრე ნაცების მეგობარი ევროპარლამენტის ზოგიერთი დეპუტატი. ევროპა ჩვენს მიმართ ძალიან კეთილგანწყობილია, მისგან ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია თუნდაც, სამოქალაქო შეგნების თვალსაზრისით. ზოგიერთი ქართველის განწყობა რუსეთი გვირჩევნია ევროპასო, უღირსებო ფიქრია, რა შემთხვევაშიც გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად არჩევანს ორ ბატონს შორის აკეთებ. ეს არ არის თავისუფალი ადამიანის ფიქრი.

აქვე, ერთ რამესაც ვიტყვი: ივანიშვილმა, იმ გაუგონარი სისასტიკის წინააღმდეგ, რასაც შევებრძოლეთ, გამარჯვებას ქართველ ხალხთან ერთად მიაღწია. საქართველოს თავს „ნაცების“ სისასტიკე დაატყდა, ქართველი ხალხი ამას საარჩევნო ყუთებთან მოერია. მაშინდელი ხელისუფლება ქვებით მოდიოდა, ხალხი — ბიულეტენებით. ეს მოგება არ არის, ეს გამარჯვებაა. ამიტომ, არის „ნაცმოძრაობა“ უსუსური, რომ კიდევ წაგებ-მოგებაზე ფიქრობენ. ქართველმა ხალხმა კი არ მოუგო, არამედ მათ სისასტიკეზე გაიმარჯვა. მოგებასა და გამარჯვებას შორის დიდი განსხვავებაა, რასაც „ნაცები“ ვერ გაიგებენ. ქართველმა ხალხმა თავის კეთილშობილებით გაიმარჯვა.



— **ახლა ახსენეთ, ივანიშვილმა გამარჯვებას ქართველ ხალხთან ერთად მიაღწიაო. მას ქართველი ხალხის გარდა სხვა მოკავშირე არც ჰყავს.**

— დიახ, ასეა. ნეტავ, ეგ ბედნიერება მქონდეს, რომ ქართველი ხალხი იყოს ჩემი მოკავშირე ჩემს განცდასა და ფიქრში. ყველა უნდა ნატრობდეს მისი სამშობლოს, იდეის მოკავშირე იყოს. ეს არის ყველაზე დიდი სიხარული, სულიერი დღესასწაული. ეს არის მთავარი, დანარჩენს მნიშვნელობა არ აქვს — ევროპარლამენტში რომელი მოქრთამული დეპუტატი დაგიჭერს მხარს ან რომელი სექტანტი საქართველოში. თუ ქართველი ხალხი შენი მოკავშირეა და შენ მისი, ამაზე დიდი ბედნიერება რაღა უნდა იყოს.

— **ამ ბედნიერებას მოკლებულია პრეზიდენტი, რომელიც ყველას მოკავშირეა ქართველი ხალხისა და „ქართული ოცნების“ გარდა.**

— დიახ, შეიძლება ასეც ითქვას. რაც მთავარია, „ქართული ოცნება“ სხვა პარტიებისგან და მით უმეტეს, „ნაციონალებისგან“ მნიშვნელოვნად განსხვავდება. იგი მშვიდობის პარტიაა, რომელიც ცდილობს ომი აიცილოს და ევროინტეგრაცია ისე მოახდინოს. თორემ, ომით არანაირი ევროინტეგრაცია აღარ მოხდება, არამედ ასე მივიღებთ ინტეგრაციას მიქელ გაბრიელთან, შეიძლება იქამდეც ვერ მივიდეთ. ეს არის ძირითადი განსხვავება. „ქართული ოცნება“ ფიქრობს როგორმე საფრთხეს აგვაცილოს, „ნაცები“ კი ცდილობენ როგორმე ხელისუფლებაში იყვნენ, თავიანთ პარტნიორ მეგობრებს დამსახურებები დაუფასონ, ჩაებან რუსეთთან ომში და მერე, საქართველოს გავერანების ხარჯზე, ოდესის საბაჟოსთან ერთად, სუეცის არხიც მიიღონ საჩუქრად. „ქართული ოცნების“ სია არ მინახავს, ერთი რისი სურვილიც მაქვს — ეს პარტია შეძლებისდაგვარად მოსახლეობის განწყობილების ადეკვატური იყოს.

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ**

555 23 28 24



## დავით ნემსაძე:
# დღეს შეიარაღებულ ძალებში ვერ დაწინაურდები, თუ ბიძინა ივანიშვილის მაგინებელი არ ხარ



სულ ახლახან თავდაცვის მინისტრის **თინა ხიდაშელის** ბრძანებით შეიარაღებული ძალების რიგებიდან დაითხოვეს უფროსი ლეიტენანტი დავით ნემსაძე. დათხოვნის ოფიციალური მიზეზი გახლავთ: „კონტრაქტის პირობების დარღვევა და სამხედრო პირის ღირსების შეურაცხყოფა“. თავად ნემსაძე დარწმუნებულია, რომ ის ჯარიდან გაძევებულია შეიარაღებულ ძალებში გამეფებული კორუფციის, ნეპოტიზმის და სხვა დარღვევების საჯარო მხილების გამო.

ვესაუბრებით უფროს ლეიტენანტ **დავით ნემსაძეს.**

— **ბატონო დავით, თქვენს მიერ წაყენებულ ბრალდებებზე თავდაცვის სამინისტროს რომელ სამსახურს უნდა გაეწია რეაგირება?**

— უპირველეს ყოვლისა, **გენერალურ ინსპექციას.** მის ვალდებულებაშია, აწარმოოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში კონტროლი სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, საბრძოლო მზადყოფნაში. გენერალური ინსპექცია უფლებამოსილია დაუგეგმავ რეჟიმში ჩაატაროს სამსახურებრივი შემოწმება კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, მოიპოვოს ოპერატიული ინფორმაცია მხოლოდ შეიარაღებული ძალების საკითხებთან დაკავშირებით. გენინსპექციამ



უნდა გამოავლინოს დარღვევები და მისცეს შესაბამისი კვალიფიკაცია დანაშაულის სახეს ადმინისტრაციულ ფარგლებში. ჰქონდეს ურთიერთკავშირი პროკურატურასთან სისხლის სამართლის დანაშაულის გამოვლენისას. სამწუხაროდ, გენინსპექცია აღარ ასრულებს თავის ძირეულ მოვალეობებს.

— **რატომ არ ასრულებს, მიზეზები?**

— ყველზე დიდი სირთულე გაჩნდა მაშინ, როცა ამ დანაყოფის საკადრო სტრუქტურა დაკომპლექტდა არასამხედრო პირებით: ყოფილი პოლიციელებით, ციხის ზედამხედველებით, უშიშროების თანამშრომლებით და ყოფილი პატიმრებით. ამ უწყებას უნდა ჰყავდეს ჯავშანტექნიკის, ჰაერსაწინააღმდეგო, ავიაციის, კავშირგაბმულობის და ა.შ. სპეციალისტები, ხოლო გენინსპექციას უნდა მართავდეს მაღალი რანგის გამოცდილი სამხედრო, რომელიც ზედმიწევნით ერკვევა, როგორც ოცეულის ქვედანაყოფის, ისე ოპერატიულ-ტაქტიკური დაგეგმარების საკითხებში. ის ვალდებულია, ზედმიწევნით იცოდეს სამხედრო საქმის სპეციფიკა, რათა შეძლოს სპეციფიკური დანაშაულის დანახვა და პრევენციული ზომების მიღება.

— **რით არის ახლა დაკავებული გენერალური ინსპექცია?**

— გენინსპექცია გადაიქცა მინისტრ ხიდაშელის პოლიტიკური ინტერესების გამტარებლად, დაკავებულია შანტაჟის სხვადასხვა მეთოდების „დახვეწით“. მაგალითად, იბარებენ ოფიცრებს, რომლებმაც სოციალურ ქსელში გამოხატეს საკუთარი აზრი ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხებზე; და თუ ეს მათი აზრი არ ემთხვევა მინისტრ ხიდაშელის აზრს, ამისთვის ემუქრებიან შეიარაღებული ძალებიდან გაძევებით. ამავე უწყების ოპერატიული დანაყოფის თანამშრომელი - **ტკაბშილი** მოითხოვს ოფიცრებისგან, რომ მათ საჯაროდ არ გაავრცელონ ინფორმაციები სამსახურებრივ დარღვევებთან დაკავშირებით. აქვე, ოფიცრებს „გულს უშლიან“, რომ მშვენივრად იციან მეთაურთა მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ და როდესაც მოისურვებენ ამ მეთაურებს „ჰაერში აწევენ“. აგრეთვე, აწარმოებენ ოფიცრებთან არაწესდებრივ საუბრებს, აძლევენ თავიანთი მობილურების ნომრებს და ჰპირდებიან დახმარებას, დანაშაულის გაუხმაურებლობისთვის, კარიერულ წინსვლაში. გენინსპექციის თანამშრომლებს სურთ, შენარჩუნდეს დანაშაულებრივი ვითარება სამხედრო ბაზებზე, არ მოხდეს საქმის ოფიციალურად წარმოება, რაც აუცილებლად გამოიწვევს დამნაშავე პირების პასუხისმგებლობის დაყენებას.

— **როგორც თქვენი ნათქვამიდან გავიგე, დანაშაულს ფარავენ დამნაშავეების შემდგომი, როცა „მოვა დრო“, დაშანტაჟებისთვის?**

— სწორედ ასეა. ისინი ხომ მინისტრ ხიდაშელს ემსახურებიან და არა ქართული ჯარის აღმშენებლობას.

— **ამიხსენით, გენინსპექციის თანამშრომლები რატომ აძლევენ „დასამუშავებლად“ გამზადებულ ოფიცრებს პირადი მობილურების ნომრებს?**

— ეს ფაქტი გაცილებით უფრო „დიად“ მიზანს ემსახურება.

— **რას გულისხმობთ?**

— ზოგიერთი მათგანი ხომ უშიშროების ყოფილი კადრია?! ასეთი „დაახლოებით“ ცდილობენ კონსპირაციული წრის გაფართოებას, ანუ ინფორმატორების შეძენას, რითაც მიზანმიმართულად სპობენ ოფიცრის ღირსების ინსტიტუტს და ამკვიდრებენ ჩაშვების, ურთიერთგაწირვის ატმოსფეროს. მათ არ სჭირდებათ ღირსეული ოფიცრები, მათ სჭირდებათ კომპრომეტირებული ადამიანები, რომლებსაც ხიდაშელი ადვილად გამოიყენებს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

— **კერძო საუბარში თქვენ მითხარით, რომ გენინსპექციის უფროსი - ირაკლი იმერლიშვილი პროკურორია და ის მონაწილეობდა 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით მოწყობილ სასამართლო პროცესებზე. საინტერესოა, როგორ აღმოჩნდა სამოქალაქო პროკურორი გენინსპექციის სათავეში?**

— ალბათ, იმიტომ, რომ კარგად იპროკურორა სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის დროს. ყოველ შემთხვევაში, იმერლიშვილი სამხედრო არ არის და წარმოდგენაც არ აქვს, რას ხელმძღვანელობს. ისე, საყურადღებოა, დღეს სამხედრო უწყებაში ვერ დაწინაურდები, თუ ბიძინა ივანიშვილის მაგინებელი არ ხარ. ამჟამად, გენერალურ ინსპექციაში დაწინაურდა ყოფილი ჟურნალისტი - **სოფიო ედიბერიძე.** ეს ქალბატონი „ნაცებს“ ერთგულად ემსახურებოდა. კერძოდ, 2012 წლის არჩევნებამდე წერდა ბიძინა ივანიშვილის „ფინანსურ მაქინაციებზე“. მინისტრ ალასანიას დროს ედიბერიძე სამხედრო პოლიციაში მსახურობდა, ხიდაშელის მმართველობისას, როგორც უკვე გითხარით, გენინსპექციაშია და თავს არხეინად გრძნობს... არის, კიდევ, ასეთი კაცი — **მამია ბალავაძე** , უკრაინის „გმირის“ - **გიგი კალანდაძის** ერთგული მსახური. ამ ბალავაძემ ვიცე—პოლკოვნიკ **შალვა კაჭარავასთან** ერთად, 2008 წლის აგვისტოში, გორის მისადგომებთან თავისი ნაწილის ჯავშანტექნიკა ნაწილობრივ დაწვა, ნაწილი კი რუსებს „უბოძა“. ახლა ბალავაძე გერმანიაშია გაგზავნილი „განათლების დონის ასამაღლებლად“. ვფიქრობ, საკუთარი ტექნიკის უტილიზაციის საკითხებში იღებს ფასდაუდებელ კონსულტაციებს გერმანელებისგან...

გენერალური ინსპექცია არ ეწევა ვიცეპოლკოვნიკის - **თემურ ფერაძის** საქმის გამოძიებას. ამ ბატონმა იმავე 2008 წელს სენაკის ბაზაზე ჰაერსაწინააღმდეგო მრავალმილიონიანი ტექნიკა - „ბუკ -მ1“ რუსებს გადასცა.

— **მერე, რატომ არ იძიებს ამ საქმეს გენინსპექცია?**

— ვის სცალია „ბულბულად“ წოდებული ფერაძისთვის!

— **„ბულბული“, რა დამსახურებისთვის უწოდეს? კარგად მღერის?**

— თავის მობილურში უსტვენს და ღამღამობით თავისივე სტვენით ტკბება. „ბულბულა“ ისევ ჰაერსაწინააღმდეგო მიმართულებით შრომობს. რატომ არ იძიებს მის საქმეს გენინსპექცია? იმიტომ რომ, ფერაძე დროდადრო იმუქრება, რომ „მემუარების“ წერას მოჰკიდებს ხელს და დაასახელებს იმას, ვისი ბრძანებით მან გადასცა მოწინააღმდეგეს „ბუკი“. თუმცა, უწინ ფერაძის საქმის გამოძიება მიმდინარეობდა.

— **ვინ იძიებდა ამ საქმეს?**

— **ილია სუხიშვილი** - სამხედრო საქმეში აბსოლუტურად გაუნათლებელი კაცი. სუხიშვილი „ცხრა მთავრობის“ პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა და დღესაც საკუთარ თავს არ ღალატობს. და, საერთოდ, ვის სცალია სამხედრო მზადყოფნის შესამოწმებლად ან დამნაშავე პირების დასასჯელად, როცა „ფეისბუკია“ სათვალთვალოა. შემდეგი — ვინ იზიარებს ანტიამერიკულ „პოსტებს“ ან „ალაიქებს“ რესპუბლიკური პარტიისადმი მიძღვილ კრიტიკულ წერილებს. თუმცა გენინსპექცია „ფეისბუკის“ თვალთვალს არ სჯერდება და გადასულია სიტყვიერ მუქარაზე. მიმდინარე წლის 6 ივნისს, დააახლოებით, დღის პირველ საათზე, პასტერისა და უზნაძის კუჩების კვეთაზე დამხვდა „ფეისბუკ—მზვერავი“ ვიცე—პოლკოვნიკი **ედუარდ დემეტრაშვილი** და მითხრა: ჩემი გვარი კარგად დაგიმახსოვრებია და ბედი შენი, რომ სამხედრო ფორმა მაცვია, თორემ დასამართებელს დაგმართებდი. ცოტა ხანში ნახავ, რაც დაგემართებაო... როცა გენინსპექციას „7 ნოემბრის“ პროკურორი ხელმძღვანელობს , საკუთარი მოქალაქეების მიმართ ძალის გამოყენება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. პრობლემაც ეს არის! როცა შენი მოსახლეობის წინააღმდეგ იბრძოლებ, ვერასდროს გახდები მისი დამცველი. რაც შეეხება დემეტრაძის მუქარას, ვურჩიე, საკუთარ თავს დაემუქროს.

— **კიდევ თუ გაიხსენებთ „ჩაფარცხულ“ საქმეებს?**

— არის ღირსეული ოფიცერი,

მაიორი **ვლადიმერ მელაშვილი.** მან „ნაცების“ დროს ოფიცრის ღირსება არ შებღალა. არ ასრულებდა სააკაშვილის რეჟიმის უკანონო ბრძანებებს. ამიტომ, ვარციხის ბაზის უფროსმა - **კობა გუგავამ,** რომელიც იმ დროს ექვემდებარებოდა ჯარისკაცების მწამებელ სარდალს - **კერესელიძეს** - ყოფილ პოლიციელს, გადაწყვიტა მაიორ მელაშვილის თავიდან მოშორება. არასამუშაო დღეს, როცა მელაშვილს სახლში სტუმარი ჰყავდა და ქართული წესით უმასპინძლდებოდა, ანუ სვამდა, მას დაურეკა გუგავამ და კატეგორიულად მოსთხოვა, ბაზაზე გამოცხადებულიყო. მელაშვილმა უთხრა ზემდგომს, რომ ნასვამია და ასეთ მდგომარეობაში ბაზაზე ვერ მივიდოდა. თავის მხრივ, გუგავამ აღუთქვა ოფიცერს, რომ ნასვამობის გამო მელაშვილს სირთულეები არ შეექმნებოდა. ბაზაზე მოსულ მაიორ მელაშვილს გუგავამ დააზვედრა ალკოტესტერით „შეიარაღებული“ სამხედრო პოლიცია. მელაშვილს დაუფიქსირეს „ნასვამი მდგომარეობა“ და სამსახურიდან გააგდეს. „ნაცების“ დამხობის შემდეგ ამ საქმის გარჩევა დაევალა გენინსპექციას, კერძოდ, **დავით გურასპაშვილს** - ყოფილ პატიმარს. მელაშვილის საქმე თავიდანვე შეითითხნა და მაიორი კვლავ გაამტყუნეს...

— **საინტერესოა, გურასპაშვილი რისთვის იჯდა ციხეში?**

— თუ არ ვცდები, ხულიგნობისთვის. დაიჭირეს სააკაშვილის მმართველობის პერიოდში და ჩემი ინფორმაციით, ციხეში ყოფნისას, გურასპაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა ციხის ადმინისტრაციასთან.

აგრეთვე, გენერალური ინსპექცია იბარებს „ნაცების“ დროს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ ოფიცრებს.

— **რა მიზნით იბარებს მათ გენინსპექცია?**

— ფსიქოლოგიური ზეწოლის და დათრგუნვის მიზნით! მაგალითად, ეკითხებიან: შენ ამისთვის და ამისთვის იყავი გასამართლებული და როგორ აღიდგინე თავი შეიარაღებულ ძალებშიო? საბრალოები, ვითომ, არ იციან, როგორ აღიდგინეს თავი და, თითქოს, ეს დანაშაული იყოს იმ დროს, როცა გენინსპექციის რიგებში ჰყავთ ნასამართლევი თანამშრომლები.

მე კიდევ და კიდევ ვიმეორებ, რომ გენინსპექცია ამ სახით უნდა დაიშალოს. გენინსპექცია არ უნდა იყოს პოლიტიკური შანთაჟის ინსტრუმენტი, არ უნდა იყოს დაკომპლექტებული არაპროფესიონალებით. გენინსპექციამ საშიშროება უნდა ეძიოს არა „ფეისბუკში“, არამედ უწესრიგობაში, კორუფციაში, ნეპოტიზმში, რომელსაც მოსდევს ჯარის დემორალიზაცია.

...ჩვენ ვცადეთ დავკავშირებოდით დ. ნემსაძის მიერ ინტერვიუში დასახელებულ პირებს, მაგრამ უშედეგოდ. რედაქცია მზადყოფნას გამოთქვამს გამოაქვეყნოს მათი მოსაზრებები.

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**
571 77 61 95



# გრიგოლ გაგნიძე:
# ნიკა გვარამია, ჭიჭიკიას ცოლივით, ხელისუფლებისგან დაჟინებით ითხოვს „დაპყრობას“ და „გაუპატიურებას“
## ცილისწამების შესახებ მუხლი უნდა აღდგეს

***გვესაუბრება უფლებადამცველი, ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის ხელმძღვანელი, ბატონი გრიგოლ გაგნიძე.***

— **ბატონო გრიგოლ, სამართლებრივ ჩარჩოებში ჯდება თუ არა „რუსთავი-2“-ის გამოსვლა დაუმორჩილებლობის შესახებ?**

— ბოლო დღეებში, როგორც ვხედავთ, „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია ჩაატარა აგრესიული ტონით. მიმართვის ადრესატი გახლდათ სასამართლო და ხელისუფლება.



წინასაარჩევნო პერიოდია და საქართველოში მიმდინარე პროცესებს დასავლეთიდან ინტენსიურად აკვირდებიან. თუ სასამართლო პროცესები კანონდარღვევებით მიმდინარეობს, პირველ რიგში, დამკვირვებლები შეამჩნევდნენ და თუ გვარამია და მისი გუნდი ამჩნევს მსგავს რაიმეს, გაასაჩივრონ, რა უშლით ხელს?!

თუ ასე გაგრძელდა, მე ვფიქრობ, საქმე გაგრძელდება ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში.

მანამდე კი გვარამია იქაჩება — მობრძანდით, დაგვარბიეთო. ამაზე ჭიჭიკიას ანეგდოტი მახსენდება: ცოლი რომ ეხვეწება ჭიჭიკიას ლოგინში — დამიპყარი, ჭიჭიკია, დამიპყარიო და ჭიჭიკია რომ პასუხობს: ქე გიპყრობ, ქალო და ალყას ხომ ვერ დაგარტყამო.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, გვარამიას ძალიან უნდა, ხელისუფლებამ გაიმეოროს „იმედის“ და „იბერიის“ დარბევის „ნაციონალური“ პრეცედენტი.

თუ საბოლოოდ ტელევიზია ქიბარ ხალვაშს დაუბრუნდა და საკითხი საერთაშორისო სასამართლოზეც მოხვდება, ქიბარ ხალვაშმა რბილი მექანიზმები უნდა გამოიყენოს. წინააღმდეგ შემთხვევაში „იმედის“ მსგავსი დარბევის ინსცენირება გარდაუვალი იქნება ერთი წლის მერეც.

— **როგორც ფიქრობთ, კიდევ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს დავა?**

— ყოველ შემთხვევაში, არჩევნებამდე რომ არ დამთავრდება, ცხადია. გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის 6-7 თვე, წარმოებაში საქმის მიღებამდე 2-3 თვე, მოკლედ, მომავალი წლის გაზაფხულამდე ნამდვილად გაგრძელდება და მერე რა იქნება, ვნახოთ. პროცესები ამ თემაზე გამწვავდება, ალბათ. გამწვავება კი აწყობს ხელისუფლების ოპონენტებს.

— **ბატონო გრიგოლ, რას ემყარებოდა „ნაცმოძრაობის“ მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია იმაზე, რომ, თითქოს, დასავლეთმა ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმრად ცნო?**

— წავიკითხე სტრასბურგის დასკვნა და უნდა მოგახსენოთ, რომ მერაბიშვილის პოლიტპატიმრობაზე იქ საუბარი საერთოდ არაა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ მერაბიშვილის საქმეზე არ იყო გამოძიება ჩატარებული სრულად. ევროკონვენციის მე-18 მუხლში მითითებულია: გამოძიება უნდა ჩატარებულიყო კონკრეტულად მისი საკნიდან გაყვანის ფაქტზე.

ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ, რადგან ასეთი ფაქტი არ მომხდარა, არ გამოეძიებინათ ეს საქმე.

თუ დადასტურდა, რომ ეს ფაქტი არის ტყუილი, ვფიქრობ. შეიძლებ, პროკურატურამ კიდევ ერთი მუხლი დაამატოს მერაბიშვილის სასჯელს. მას, შეიძლება, ბრალი წაუყენონ ცრუ დასმენისთვის.

კონფერენციებზე სიტყვიერად მივმართე იუსტიციის სამინისტროს, რომ დადგეს იმ მოსამართლეების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც სტრასბურგის გადაწყვეტილებებში ფიგურირებენ. როგორც ამ, ისე სხვა შემთხვევებშიც, ამიტომ კარგი იქნებოდა, კანონი საერთო სასამართლოების შესახებ და მოსამართლეთა მიმართ დისციპლინალური სამართალწარმოების შესახებ კანონში სასურველი იქნება, თუ ჩაიწერება, რომ სტრასბურგის გადაწყვეტილებების გამო მოსამართლეები დაჯარიმდნენ სიმბოლური თანხით და შევიდეს ეს თანხები ბიუჯეტში.

გვახსოვს, სულხან მოლაშვილის საქმეზე სახელმწიფო 70 000 ევროთი დაჯარიმდა, ხოლო გირგვლიანის საქმეზე — 50 000 ევროთი. მოსამართლეები, რომლებმაც ევროპრაქტიკასთან შეუსაბამო განაჩენები გამოიტანეს, რითაც, მორალურ ზიანი მიაყენეს მოქალაქეებს თავი რომ დავანებოთ, ბიუჯეტი დააზარალეს ასიათასობით ევროთი. თუ მოსამართლე თავისი ნებით წავიდა თანამდებობიდან, ის უნდა გათავისუფლდეს ჯარიმისაგან. ვინც თავიდან დაინიშნება სიმბოლურად ყოველთვიურად 100-150 ლარით უნდა დაჯარიმდნენ ბიუჯეტის სასარგებლოდ. ე.წ. რეგრესის წესით.

— **ჩვენი გაზეთი იყო პირველი, ვინც წერდა ცილისწამებისთვის დასჯის მუხლის აღდგენის თაობაზე.**

**არაერთხელ წავწყდომივართ თითოეული ჩვენგანი უსაფუძვლო ცილისწამებას, თუმცა თავდაცვის რაიმე სახის მექანიზმი არ არსებობს.**

— ცილისწამების შესახებ მუხლის კანონმდებლობიდან ამოღება თავის დროზე განპირობებული იყო მედიაპლურალიზმის განვითარებისთვის . კანონიდან ეს მუხლი 2005 წელს ამოიღეს. რამდენადაც ვიცი, დაკვეთა დასავლეთიდან იყო.

ცილისწამებაზე სასჯელის დაწესების შემთხვევაში, თუკი ეს დეფინიცია გაიწერება კანონმდებლობაში, მოგვიწევს ისეთი რეკომენდაციების მოძიება საერთაშორისო სამართალში, რომელიც არ დაარღვევს აზრის და სიტყვის თავისუფლების პრინციპებს.

გახსოვთ, ალბათ, ერთმა მედიასასუალებამ გამოაქვეყნა პარლამენტის დეპუტატების ვითომდა აგენტობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. არ ვსაუბრობთ, იყო ეს დოკუმენტაცია ნამდვილი, როგორ და რატომ გამოაშკარავდა და ა. შ. მე ვსაუბრობ ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვაზე, რომელიც მიაყენეს იმ ადამიანებს, რომლებიც იმ გამოცემის ფურცლებიდან აგენტებად შერაცხეს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ლარის დროებითი გაუფასურებისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ

## გვესაუბრება ეკონომისტი, პროფესორი სოსო არჩვაძე



**— ბატონო სოსო, გასულ კვირას ლარმა ისევ დაიწყო ვარდნა. საზოგადოებას აინტერესებს რყევების მიზეზები.**

— ჩვენ იმდენად სუსტი, მცირემასშტაბიანი ეკონომიკა გვაქვს და ასე ვიტყვი, იმდენად ვართ ჩამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკაზე, რომ ექსპორტ-იმპორტში თანაფარდობის მცირეოდენი შეცვლაც კი, საქართველოდან საზღვარგარეთ ვალუტის გატანის მასშტაბების რამდენიმე მილიონი დოლარით გაზრდა, თუ სხვა გარემოება მყისიერად ნახულობს ასახვას ეროვნული ვალუტის კურსში. მოსახლეობის დამოკიდებულებაც, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ფსიქოლოგიური მიჯაჭვულობა



ვალუტის კურსზე, საკმაოდ მაღალია, რასაც თავისი ახსნა აქვს. **- ჩვენს მთლიან შიდა პროდუქტთან იმპორტის თანაფარდობა ერთჯერადად მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში** - გერმანია იქნება ეს, ისრაელი, იაპონია თუ ნორვეგია. ამ ქვეყნების მოსახლეობა ჩვენთან შედარებით, „ოლიმპიური სიმშვიდით“ ადევნებს თვალყურს საკუთარი ვალუტის კურსის ცვალებადობას. საქართველოში კი, რადგან სამომხმარებლო ბაზრის 2/3 იმპორტირებული საქონლითაა წარმოდგენილი, ეს თითქმის სტიქიური უბედურების რანგში ადის. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ხალხის სამხრეთულ ექსპრესიას და მოჭარბებულ ემოციურობას. ასეთ პირობებში ყველაზე უპრიანია, არ დაგვავიწყდეს ცნობილი ქართული ანდაზა: „ისე არ წვიმს, როგორც ქუხს“.

საქმე ის გახლავთ, რომ **ქვეყნის შიდა სამომხმარებლო ბაზარზე ფასების დონეს განსაზღვრავს არა იმდენად ლარის აშშ დოლართან კურსის ცვალებადობა, არამედ საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორების (ვისგანაც ყველაზე დიდი რაოდენობის იმპორტი ხორციელდება საქართველოში) ვალუტების კურსების ცვალებადობა აშშ დოლართან.** მოკლედ, აუცილებელია კარგად გავაცნობიეროთ, რომ ქვეყნის შიგნით ფასების დონე, მართალია, დამოკიდებულია სავალუტო კურსზე, მაგრამ მისგან საკმაოდ მაღალი ავტონომიით სარგებლობს, არ არის ავტომატურად, ხისტად მიბმული კურსის ცვლილებაზე. ასეთი ხისტი კავშირი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ უშუალოდ აშშ-დან იმპორტირებულ საქონელზე. მაგრამ საქართველოს საერთო იმპორტში ამერიკიდან იმპორტი, ბოლო წლებში, 3.0-3.5 პროცენტს არ აღემატება. ამიტომ, შეიძლება, ისეთი სიტუაცია დადგეს, რომ ჩვენ ეროვნული ვალუტის კურსი გავამყაროთ, მაგრამ რუსულმა რუბლმა ან უკრაინულმა გრივნამ მეტად მოახდინოს გამყარება აშშ-ის დოლართან და ამით რუსეთიდან და უკრაინიდან შემოტანილი საქონელი გაგვიძვირდეს ქართული ლარის გამყარების მიუხედავად. ამიტომ, ვიმეორებ: ჩვენთვის გაცილებით ყურადსაღებია იმ ქვეყნების ვალუტების კურსების ცვლილება აშშ-ის დოლართან, რომლებთანაც საქართველოს მსხვილმასშტაბიანი სავაჭრო ურთიერთობები აქვს.

ერთადერთი, სადაც ლარის კურსის დაცემა აშშ დოლართან რეალურ გავლენას ახდენს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ეს არის **საკრედიტო ბაზარი.** ბოლო წლებში სწრაფად იზრდება მოსახლეობაზე გაცემული საკრედიტო რესურსების მოცულობა და შესაბამისად, მათი ფასიც – პროცენტები. მარტო ამ უკანასკნელის წლიური მოცულობის თანაფარდობამ შინამეურნეობების საშუალო თვიური ფულადი შემოსავლების 80 პროცენტს გადააჭარბა, რაც 2-ჯერ აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ მიზეზთა გამო ეროვნულმა ბანკმა შეამცირა საპროცენტო განაკვეთი და ის მარაგები, რაც ბოლო კვირეების და თვეების განმავლობაში შეექმნა სავალუტო რეზერვების სახით, აღარ გამოუყენებია, ეროვნული ვალუტის კურსის შესანარჩუნებლად. ეს ფაქტორებიც „მუშაობენ“ ქართული ლარის შესუსტებაზე.

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩადებულია ეროვნული ვალუტის აშშ დოლართან მიმრთება კურსით 2,40, ანუ სახელმწიფოს ვალდებულებები, ანგარიშსწორება, შემოსავლები, ვალების გასტუმრება და ა. შ. ხდება ამ კურსით. როცა ლარი მყარდება, ბიუჯეტის შესრულება და ვალდებულებების გასტუმრება სულ უფრო რთული ხდება. ამიტომ, განვითარების ამ ეტაპზე, აღმასრულებელი ხელისუფლება არ შეიძლება შინაგანად ეწინააღმდეგებოდეს ეროვნული ვალუტის კურსის დაცემას. მით უფრო, რომ წლის მეორე ნახევარი „დახუნძლულია“ ისეთი ვალდებულებებით, როგორიცაა პენსიონერთა პენსიების მატება და საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება.

**— ზოგიერთი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ საგარეო ფაქტორები ვერ იქონიებდნენ ამ დღეებში განვითარებულ ლარის კურსის ვარდნასთან რაიმე სახის გავლენას. თქვენი აზრით, საგარეო ფაქტორი არ ყოფილა ლარის კურსის ცვლილების მაპროვოცირებელი?**

— თქვენ კითხვას ნაწილობრივზემოთ უკვე გავეცი პასუხი. საგარეო ფაქტორები, რა თქმა უნდა, ახდენენ გავლენას, მაგრამ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ კორელაცია მათ შორის ერთი ერთზეა.

საგარეო ფაქტორები, ისეთები, როგორიცაა, მაგალითად, ნავთობზე ფასების ცვლილება, ახლახან ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები იწვევენ გლობალური ფინანსური ბაზრის რყევებს, კონიუნქტურის სწრაფ და დიდმასშტაბიან ცვალებადობას. ასეთ პირობებში ლარის სტაბილურ კურსზე საუბარი, წესით, ზომიერი ოპტიმიზმის ფარგლებს სცდება. კურსის მაქსიმალური (და არა სრული) დაცვა ასეთი რხევებისაგან შესაძლებელია ეროვნული ეკონომიკის, მათ შორის, რეალური სექტორის განვითარებით, საგადასახადო და საინვესტიციო გარემოს შემდგომი გაუმჯობესებით.

**— თქვენ არ გისაუბრიათ იმ პასუხისმგებლობაზე, რაც ეროვნულ ბანკს აკისრია სავალუტო კურსის სტაბილურობის უზრუნველყოფაში.**

— ფორმალურად, „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია ფასების სტაბილურობაზე და პირდაპირ არ ჩანს მისი პასუხისმგებლობა ვალუტის კურსის სტაბილურობაზე. როდესაც პარლამენტის მიერ განსაზღვრულია ინფლაციის 5-პროცენტიანი წლიური მაჩვენებელი, ხოლო მაისში ინფლაცია წინა წლის მაისთან მხოლოდ 2.1 პროცენტია, დეკემბერთან კი საერთოდ 0.3-პროცენტიანი დეფლაცია ფიქსირდება, ზაფხულის თვეებიც, როგორც წესი, თუ გარე შოკებს და ფორს-მაჟორულ გარემოებებს გამოვრიცხავთ, საერთოდ დეფლაციურია. რატომ უნდა ველოდოთ, რომ ეროვნული ბანკი, ასე ვთქვათ, „ფინანსურ ქველმოქმედებას“ დაიწყებს ეროვნული ვალუტის გამყარებისათვის და დახარჯავს საკუთარ სავალუტო რეზერვებს?! პროფესიონალები ამას გამდინარე წყალში ფქვილის ჩაყრას ადარებენ...

ამიტომაც ეროვნულ ბანკს შეგვიძლია მხოლოდ მორალური პასუხისმგებლობა, ისიც რიგითი მოქალაქის, ობივატელის დონეზე დავაკისროთ, ეროვნული ვალუტის კურსის შეუნარჩუნებლობის გამო. თუმცა ეს იქნება მხოლოდ ემოციური და არა პროფესიული მიდგომა აღნიშნული პროცესისადმი..

მოკლედ, მთელი ჩემი საუბარი მიმყავს იქითკენ, რომ ცალსახად ტრაგედია არ უნდა შევქმნათ ლარის გაუფასურებისგან.

**— ლარი ბოლო დრომდე მყარდებოდა, მხოლოდ დახლოებით 10 ივნისიდან დაიწყო მისი გაუფასურება. თქვენი კოლეგების ნაწილი კი ქართული ეკონომიკის პერსპექტივად დიდ ღამეს ვარაუდობენ. რას ფიქრობთ, რა აძლევს მათ პესიმიზმის საშუალებას?**




— ამაზე პასუხი, ჯობს, უშუალოდ მათ მოსთხოვოთ. ერთსა და იმავე ბოთლს ადამიანების ნაწილი როგორც „ნახევრად სავსეს“ ხედავს, სხვები კი - როგორც „ნახევრად ცარიელს“. ვფიქრობ, რომ საქართველოს ეკონომიკას აქვს იმის პოტენციალი და განვითარების ისეთი ვექტორი, რომ ვირწმუნოთ „სისავსე“, არამედ მისი თანდათანობითი გავსების ტენდენციაც. ანუ, გვაქვს საკმარისი რესურსი, რომ უფრო იმედიანად შევხედოთ მომავალს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „კაცად მაშინ ხარ საქები...“

## შეძლებული ქართველები, ქველმოქმედება და მადლიერება


ზურაბ წერეთელი


დავით ჟვანია


ვიაჩესლავ მირილაშვილი


დავით კანიკაშვილი

ამბობენ, რომ ქველმოქმედება მადლიერი ადამიანის გამოხატულებაა სამყაროს, ღმერთის და ადამიანების მიმართ იმისთვის, რაც მას მიეცა. ქველმოქმედი კი მადლიერი ადამიანია, რომელიც ცდილობს ღმერთის ბოძებული სიკეთე სხვებსაც გაუნაწილოსო. რამდენიმე თვის წინ, ერთმა ცნობილმა პოლიტიკოსმა ჩემთან ინტერვიუში ბრძანა, კარგი იქნება თუ ქართველი ბიზნესმენები და შეძლებული ადამიანები სომხური დიასპორის მაგალითს მიბაძავენ და სამშობლოში მეტ საქველმოქმედო პროექტს განახორციელებენო. ამის შემდეგ დავინტერესდი, სომეხი ქველმოქმედების მოღვაწეობით და გავარკვიე, რომ 1906 წლის 15 აპრილს ქაიროში სომხური არაკომერციული ორგანიზაცია „მსოფლიოს სომეხთა საქველმოქმედო კავშირი“ შეიქმნა. ფონდის ყველაზე მნიშვნელოვანი დონორები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები შეძლებული და გავლენიანი სომხები არიან. მათ შორის, რამდენიმეს გამოარჩევენ:

სომხური წარმოშობის ამერიკელი და ლოს-ანჯელესის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი **კირკ კირაკოსიანი**. მან სომხეთში საქველმოქმედო მიზნებისთვის 5 მილიარდ დოლარზე მეტი გადარიცხა. **სამუელ კარაპეტიანი** საყოველთაო სომხური ფონდი „აიასტანის“ საპატიო წევრია. მის ბალანსზე ფონდში გადარიცხული 1 მილიარდი დოლარია. ის ასევე აფინანსებს ფონდ „სინათლეს“, რომელიც სომეხი ახალგაზრდების საზღვარგარეთ სწავლების ხელშეწყობისთვის შეიქმნა.

არგენტინის ყველაზე მდიდარ ბიზნესმენად აღიარებული **ედუარდო ერნეკიანი,** რომელმაც უკანასკნელი წლების მანძილზე, სომხეთის განვითარების ფონდში ათობით მილიონი დოლარი შეიტანა. **ჟერარდ გაფესჯიანმა** 2003 წელს 20 მილიონი დოლარი გაიღო სომეხთა გენოციდის მუზეუმის გახსნისთვის. გაფესჯიანი მსოფლიო სომეხთან საქველმოქმედო ფონდის აქტიური ფინანსური დონორია.

რაც შეეხება გავლენიანი ბიზნეს-ჟურნალის რეიტინგებში და მის მიღმა მყოფ უმდიდრეს ქართველებს, მათ შორის პირველ ადგილს იკავებს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, მეცენატი და ბიზნესმენი **ბიძინა ივანიშვილი**.

რუსეთის ფედერაციაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნავთობსაბურღი კომპანიის პრეზიდენტი **ალექსანდრე ჯაფარიძე**, ერთ დროს საქართველოდან ემიგრირებული ებრაელი **თემურ სეფიაშვილი,** რომელიც ამჟამად მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანებს შორისაა. მისი კომპანია მანჰეტენზე 2, 5 მილიონ კვადრატულ მეტრ უძრავ ქონებას ფლობს. სეფიაშვილი მექსიკაში ჩვიდმეტსართულიანი სახლის მეპატრონეა, აქვს თვითმფრინავი, რომელიც სირიის აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის ჰაფეზ ასადისგან შეიძინა და მსოფლიოში ყველაზე დიდი იახტის მფლობელია. რუსეთში მოღვაწე მოქანდაკე **ზურაბ წერეთელი** (2 მლრდ.$) მოსკოვის ყოფილი ვიცე-მერი **იოსებ ორჯონიკიძე** (1 მლრდ.$). უკრაინაში მცხოვრები პოლიტიკოსი და მულტიმილიონერი **დავით ჟვანია,** რომელმაც საქართველო 1991 წელს დატოვა და საცხოვრებლად უკრაინაში გადავიდა. უკრაინის საგანგებო სიტუაციების მართვის ყოფილი მინისტრის ქონება სხვადასხვა ბიზნეს გამოცემების თანახმად, 100 მილიონ დოლარად არის შეფასებული. რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენი და მულტილმილიონერი **მიხეილ მირილაშვილი,** რუსული რძის, წვენებისა და სასმელების მწარმოებელი კომპანია „ვიმ-ბილ-დან“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, **დავით იაკობაშვილი** (0,95 მლრდ. $). უმდიდრეს რუს ბიზნესმენებს შორის არიან მიხეილ მირილაშვილის ვაჟი, სოციალური ქსელის „В Контакте“-ს თანამფლობელი, 27 წლის **ვიაჩესლავ მირილაშვილი** (0,95 მლრდ. $) რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი **ვასილ ბალდავაძე,** რომლის ქონება თითქმის 1 მილიარდ დოლარს შეადგენს. უმდიდრესი ქართველების რეიტინგში იხილავთ კომერციული ბანკის „სლავიანსკი კრედიტის“ დამფუძნებელსა და კომერციული სააგენტო „გეპარდის“ პრეზიდენტს **პაატა გამგონეიშვილს** (290 მლნ.$) ფარმადისტრიბუტორი კომპანიის, „როსტას“ დამფუძნებელსა და პრეზიდენტს **დავით კანიკაშვილს**. (570 მლნ.$), უკრაინაში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენს **ტარიელ ვასაძეს** (318,4 მლნ.$) **ალექსანდრე ებრალიძეს, ანზორ კიკალიშვილს, თამაზ სომხიშვილს,** მომღერალ **ვალერი მელაძეს,** ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიძეს **გია ჯოხთაბერიძეს, თემურ სეფიაშვილს, შოთა ბოთერაშვილს, ბუტა ელიავას, რომან ფიფიას, თემურ ქარჩავას** და სხვა.. სია გრძელია (ღმერთმა ამრავლოთ), ამიტომ აქ შევჩერდებით.

გავლენიანი ბიზნეს-გამოცემა აღნიშნავს, რომ უმდიდრეს ქართველთა უმეტესობას საქართველოში ბიზნესი არა აქვს. რაც შეეხება საქველმოქმედო საქმიანობას, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მიერ დაფინანსებული ცალკეული პროექტების გარდა, ინფორმაციის მოძიება ვერ მოვახერხეთ.

ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედების სია ძალიან გაგრძელდა – 654 ისტორიული ძეგლის აღდგენა-რესტავრაცია, სამების ტაძარი, ქობულეთის გასართობი ცენტრი „ციცინათელა“, ბაკურიანის საბაგირო გზა, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის, რუსთაველის, მარჯანიშვილისა და კინომსახიობთა ტეატრების სარესტავრაციო სამუშაოები, თსუ პირველი კორპუსის რემონტი, ბათუმის დელფინარიუმი, ზოოპარკისა და ბოტანიკური პარკის რესტავრაცია, რაგბის ყველა სტადიონი და რაგბის ნაკრების სპონსორობა, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის რემონტი, პატრულის მანქანები, სკოლების რეაბილიტაცია მთელი საქართველოს მასშტაბით, ეროვნული ბიბლიოთეკის რემონტი, ქუთაისის ძველი უბნების რეაბილიტაცია — 1,5 მილიონ დოლარად შეძენილი და საქართველოს ხელოვნების მუზეუმისთვის გადაცემული ნიკო ფიროსმანის ნახატი „არსენალის მთა ღამით“ — ეს ბიძინა ივანიშვილის მიერ საქართველოში განხორციელებული საქველმოქმედო პროექტების მცირე ნაწილია. ოფიციალური მონაცემებით, 2005-2010 წლებში ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდებიდან საქართველოში განხორციელებული სხვადასხვა სახის პროექტებისთვის 966 897 320.12 ლარი დაიხარჯა. ქართული გამოთქმაა „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“, ალბათ ამიტომაა, რომ ხშირად, ქართულ მიწაზე დაბადებული და ამჟამად უცხოეთში მცხოვრები მულტიმილიონერების გულგრილობას როგორც კანონზომიერება ისე ვიღებთ და „შინაური“ ქველმოქმედების ღვაწლში საქილიკოს და საკირკიტოს ვეძებთ.

„თუ მდიდარი ხარ, მოიპოვე ცხონება მოწყალებით, გაჭირვებულის თანადგომით, თავმდაბალი გულუხვობით და შეიძენ სიმდიდრეს ღმერთში.“ გვასწავლის ერის სულიერი მამა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნატარესი ილია მეორე. თუმცა, ისიც ცხადია, რომ სიკეთის მიღებასაც ცოდნა უნდა, რადგან უმადურობამ ანგელოზი ეშმაკად აქცია.

**და ბოლოს, კარგი იქნება, სხვათა ნაღვაწის მისხლობით აწონამდე დიდი ილიას სიტყვები გავიხსენოთ: კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე; ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო — აბა მე დღეს ვის რა ვარგე?**



ნელი თორდია
571 35 36 88


ტარიელ ვასაძე


დავით იაკობაშვილი


რომან ფიფია

# მეხსიერების სავარჯიშო, ანუ რატომ დაავიწყდათ ვიღაცებს, რამდენი პროფესორი და მასწავლებელი „ჩარეცხა“ და როგორ მოაოხრა განათლების სისტემა დიდმა „განმანათლებელმა“ მიხეილ სააკაშვილმა?

**(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N22)**

**— მოგეხსენებათ, რომ მასწავლებელთა უკმაყოფილებას იწვევს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ახალი სქემა და ყბადაღებული სასერტიფიკაციო გამოცდები. მასწავლებლები საუბრობენ იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით გაცემული პირობა არ შეასრულა.**

— საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის რეფორმირების რამდენიმე მცდელობა გვახსოვს. შესაბამისად, მასწავლებლებს საქმიანობის წარმართვა მუდმივად სიახლეების პერიოდში უწევდათ. ამასთან, საქართველოს პედაგოგთა საზოგადოებაში საშუალო ასაკი 49 წელია, რაც იმას ნიშნავს, რომ პედაგოგებს განათლება 20-30 წლის წინ, იდეურად სხვა სახელმწიფოს პირობებში აქვთ მიღებული. მათ აბსოლუტურად განსხვავებული მეთოდოლოგია შეისწავლეს, ამიტომ მოგვიანებით, ბევრი სირთულე შეექმნათ. მასწავლებლის პროფესია რეგულირებადია, ამიტომ პრაქტიკოს პედაგოგს მოეთხოვება სავალდებულო საგნობრივი გამოცდის ჩაბარება და საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება. თავად პედაგოგებთან შეხვედრებმა დაგვიდასტურა, რომ გამოცდების წინააღმდეგნი არ არიან, მაგრამ გამოცდა არ უნდა იყოს განმსაზღვრელი, დარჩება თუ არა პედაგოგი პროფესიაში. რაც შეეხება სქემას, აქ ფუნდამენტური ცვლილებები თუნდაც იმიტომ იყო აუცილებელი, რომ იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობით, პედაგოგს, რომელსაც არ ჰქონდა გავლილი სასერტიფიკაციო გამოცდები, 2015 წლის 1 იანვრიდან სტატუსი უწყდებოდა, რაც მასწავლებლობის უფლების დაკარგვას ნიშნავს. ანუ სახელმწიფო უარყოფდა მის მიერ გაცემულ დიპლომს. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი და საგანგაშო ფაქტი. 42 000-ზე მეტი პედაგოგი სტატუსის გარეშე და სკოლა პედაგოგის გარეშე რომ არ დარჩენილიყო, ცვლილებები ჯერ „ზოგადი განათლების შესახებ კანონში“ და შემდეგ აქემაში განხორციელდა. მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა არ იყო სკოლის და პედაგოგის შესაძლებლობებზე მორგებული დოკუმენტი. აქედან გამომდინარე, შეიქმნა სახელმწიფო კომისიაც, რომლის წევრიც მეც ვარ. 2015 წელს შევიმუშავეთ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემის პროექტი და სქემის დამარეგულირებელი ცხრა ნორმატიული აქტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა. პედაგოგთა პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით, ჩემი მხრიდან, კომისიაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის ინიციატივები, რომელთა უმეტესობა ხანგრძლივი კამათის და მსჯელობის მიუხედავად, დაკმაყოფილებულდა. ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი, რომ განათლების ხარისხის ასამაღლებლად, სახელმწიფომ მასწავლებელს მაღალი სტანდარტი დაუწესოს, მაგრამ გვინდა, რომ სახელმწიფომ თავისი ვალდებულებებიც შეასრულოს. ჩვენი მთავარი მოთხოვნა პედაგოგთა სრულყოფილი გადამზადების სისტემის ჩამოყალიბებაა.

**— როგორ შეაფასებთ წინა ხელისუფლების პირობებში განხორციელებულ სკოლების ოპტიმიზაციას და მის შედეგებს?**

— 2011-12 წლებში ამ მიმართულებით, ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო, ვინაიდან ძალიან ბევრი სკოლა გასხვისდა. ახალმა ხელისუფლებამ დეოპტიმიზაციის კომისიის შექმნით ამ პროცესების გამოსწორება სცადა და რამდენიმე სკოლას სტატუსიც აღუდგინა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში არც ერთი სკოლის გასხვისება არ მომხდარა, სტატუსის აღდგენის საკითხი ბევრი სკოლასთვის ისევ მტკივნეულია. ყველას გვახსოვს,რომ ოპტიმიზაციის შემდეგ, ბავშვებს სკოლამდე მისასვლელად კილომეტრების ფეხით გავლა უწევდათ. 2012 წლის თებერვალში ვანის რაიონის პედაგოგებმა მოგვაკითხეს და შემოგვჩივლეს. დიდთოვლობაში სკოლამდე მისასვლელად მასწავლეებსაც და მოსწავლეებსაც ტყე-ტყე სიარული გვიწევს და შეიძლება ნადირმაც შეგვჭამოსო. კარგია, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ეს პრობლემა თითქმის ბოლომდე მოაგვარა და 1150 სკოლის 64 000-მდე მოსწავლე სასკოლო ტრანსპორტით უზრუნველყო, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ იგივე სახის მომსახურეობა პედაგოგებსაც აღმოუჩინონ. მასწავლებლისათვის ძალიან შეურაცხმყოფელია, როცა მოსწავლეების ავტობუსი თავისუფალი ადგილების შემთხვევაშიც კი მასწავლებელს უარს ეუბნება წაყვანაზე.

**— უარის მოტივი რა არის?**

— ვერ გეტყვით, მაგრამ ეს პრობლემა სასწრაფოდ მოსაგვარებელია. ამ მხრივ ძალიან მძიმე მდგომარეობაა ჭიათურის რაიონში. არ მოძრაობს არანაირი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომ პედაგოგმა სკოლამდე გადაადგილება შეძლოს და ამაზე მოსწავლეთა ავტობუსიც უარს ეუბნება. ჩვენ ეს საკითხი დავაყენეთ განათლების სამინისტროში, სადაც გვითხრეს, რომ მათი მხრიდან ასეთი დირექტივა არ ყოფილა, მაშინ გასარკვევია, ვისგან მომდინარეობს ასეთი აკრძალვების დაწესება.

**წერილი გაგვიგრძელდა, თუმცა „სააკაშვილის ტრენინგებთან“ დაკავშირებით, საკუთარი მოსაზრების გამოთქმა სკოლიდან პოლიტიკური ნიშნით გამოშვებულ პედაგოგსაც ვთხოვეთ. ოპოზიციურ პარტიებთან ურთიერთობასა და საპროტესტო აქციებზე აქტიურობაში „შემჩნეული“ ხათუნა ენუქიძე სკოლიდან 2005 წელს გამოუშვეს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, განათლების სამინისტროში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ მას პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პედაგოგის სტატუსი მიანიჭა. ამჟამად, ხათუნა ენუქიძე 131-ე საჯარო სკოლის დირექტორია, თუმცა, გადატანილი რეპრესიების გახსენება ემოციების გარეშე, ახლაც უჭირს.**



ხათუნა ენუქიძე

— ყველაფერი იმით დაიწყო, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ, ჩემი სკოლის დირექტორმა სკოლაში ნაციონალების კანდიდატი რუსუდან კერვალიშვილი მოიყვანა. მასთან შესახვედრად, მასწავლებლები გაკვეთილებიდან გამოიყვანეს, მაგრამ მე ნაციონალური მოძრაობის კანდიდატთან შეხვედრაზე უარი ვთქვი და გაკვეთილი გავაგრძელე. გაკვეთილების დასრულების შემდეგ, სკოლის დირექტორთან შევედი და ვუთხარი, რომ თუ სკოლაში ნაციონალების კანდიდატის მოსვლა შეიძლებოდა, არც ოპოზიციური პარტიის კანდიდატებისთვის უნდა ყოფილიყო შეუძლებელი. ამ საუბრიდან უმოკლეს დროში, ჩვენს სკოლაში ლევან გაჩეჩილაძე მოვიდა და მასწავლებლებს შეხვდა, რასაც ჩემი სამსახურიდან გათავისუფლება მოჰყვა. ჩემს შემდეგ, სკოლიდან გამოუშვეს 20-მდე ადამიანი. მათ შორის, პედსაბჭოს ყველა წევრი, რომელიც სკოლაში ჩემს დატოვებას ითხოვდა და ყველა პედაგოგი, რომელიც ჩემთან მეგობრობდა. საჯარო სკოლიდან გამოშვების შემდეგ, მუშაობა კერძო სკოლაში გავაგრძელე, თუმცა ჩემი დევნა იქაც გაგრძელდა. სკოლის დამფუძნებელი დაიბარეს და კატეგორიულად მოთხოვეს ჩემი სამსახურიდან გაშვება.

**— ესეც თქვენს პოლიტიკურ აქტივობას უკავშირდებოდა?**

— დიახ, რადგან 22 აპრილს, მთავრობის სახლის წინ გამართულ აქციაზე პედაგოგებს მოვუწოდე, რომ 20 ლარად სამშობლო არ გაეყიდათ. მეორე დღეს დირექტორმა დამიბარა და მითხრა ვიცი, რომ ძალიან კარგი პედაგოგი ხარ, მაგრამ თუ არ გაჩერდები, შენი სამსახურიდან გაშვება მომიწევსო. მართლაც 2006 წლის პირველი სექტემბრიდან მე აღარც კერძო სკოლაში მომცეს მუშაობის საშუალება. იმ წლებში ჩემი კოლეგები გამარჯობასაც კი შიშით მეუბნებოდნენ. კეთროვანივით ვიყავი და ამას ვგრძნობდი. სამსახურიდან გაშვებისთანავე, დახმარებისთვის პროფკავშირებს მივმართე. პროფკავშირებმა სკოლის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს, მაგრამ მივხვდი, რომ არაფერი გამოვიდოდა და სამართლებრივი ბრძოლა შევწყვიტე.

**— განათლების სისტემაში თქვენი დაბრუნება როდის და როგორ მოხდა?**

— ჩემი აღდგენა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მოხდა. განათლების სამინისტროში შეიქმნა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულთა საქმეების შემსწავლელი კომისია, სადაც ყველამ, ვინც ასეთად თავს თვლიდა, განაცხადი შეიტანა. ბუნებრივია, იმ 20 პედაგოგის განაცხადში, რომლებიც სკოლიდან ჩემთან მეგობრობის გამო გამოუშვეს, ჩემი სახელი და გვარი ფიგურირებდა, ამიტომ სამინისტროში როგორც მოწმე დამიბარეს. მერე კომისიამ დამატებით საბუთების მიტანა მომთხოვა და ჩემი საქმე ცალკე განიხილა. ამის შემდეგ, დაასკვნეს, რომ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პედაგოგი ვარ და ასეთი სტატუსი მომანიჭეს. რაც შეეხება ბათუმში მომხდარ ფაქტს და პედაგოგების პოლიტიკური ნიშნით დახარისხებას, ნამდვილად არასასიამოვნო ფაქტი იყო. როგორც სკოლის დირექტორი გეტყვით, რომ ჩვენს სკოლაშიც არის რამდენიმე პედაგოგი, რომელიც აშკარად გამოხატავს ნაციონალების მიმართ თავის სიმპათიას, მაგრამ იმის მიუხედავად, რაც გადავიტანე, არასოდეს არაფერი მიგრძნობინებია და სხვებისგან არ გამომირჩევია. ვფიქრობ, ადამიანებმა ის მაინც უნდა დააფასონ, რომ დღეს შიშის გარეშე შეუძლიათ საკუთარი აზრის დაფიქსირება და ამისთვის სამსახურებიდან არავინ მიერეკებათ, მაგრამ ალბათ იმ ადამიანებისთვის, ვისაც ჩვენი გზა არ გაუვლია, ამის გაგება ძალიან რთულია...




**ნელი თორდია**
571 35 36 88

# ჩემი პრეზიდენდი და მე, „მსუბუქი დებილობის ფორმით“...

ჩემი პრეზიდენდი ფილოსოფოსია და ნასწავლი ექნება სულხ-საბა ორბელიანის იგავ-არაკები... ჩემი პრეზიდენტი განათლებულია და ეცოდინება, როგორ არ უნდა ცხოვრობდეს ხალხის მეთაური და პირიქით... ჩემი პრეზიდენტი მომთმენია, განა ასე ადვილია ქართული ფარის მწყემსობა? ჩემი პრეზიდენტი მორიდებულია, ისეთი მორიდებულია, რომ აღარ იცის რომელი ბრენდის სამოსით დაფაროს თავისი მორიდებული სხეული.... ჩემი პრეზიდენტი ხელგაშლილია, მდიდრული სექსიც აქვს... მაგრამ, ჩემს პრეზიდენტს ნაკლიც აქვს, მაგალითად, ჯიუტია და არასოდეს აღიარებს, არჩევნები ვინ მოაგებინა...



გამახსენეთ როგორ იქცეოდა ჩვენი პრეზიდენტი საარჩევნო კამპანიის დროს? ა, ჰო, მოკაკვული დადიოდა, რომ ბიძინა ივანიშვილის ზურგს კარგად ამოფარებოდა იცინოდა, ბევრს იცინოდა... ეს მაშინ ვფიქრობდით, რომ იცინოდა, თორემ სინამდვილეში, მგონი, დაგვცინოდა... „გვეკაიფებოდა“ ქვია მაგას, პრინციპში, ჩვენი პრეზიენტის ენაზე...

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ივანიშვილის ზურგს ამოფარებული მობრძანდა თუ არა პრეზიდენტად, არიქაო, უშველეთ ნაცებსო, ლეგიტიმაცია სჭირდებათო, ახტა და გაიკვანძა. მერე განაცხადა, როგორ გაბედეთ ვანო მერაბიშვილის და გიგი უგულავას დაჭერაო, საერთოდაც ეგენი თქვენ (ეს ის თქვენაა, ვისი სახელითაც პრეზიდენტად მოვიდა) პოლიტპატიმრებად გყავთ ჩამწყვდეულნი, თორემ რა დაუშავებიათ, რას ვემართლებითო...

ჩემი პრეზიდენტი მშიერია... ან ცოლი არ კვებავს კარგად ან მზარეული არ უვარგა, თორემ რაღა რესტორან-რესტორან ივლიდა ნაცებთან ერთად? ჩვენს პრეზიდენტს არავინ პატიჟებს ეტყობა სადილად გარდა ნაცებისა... ნაცებს არ ანაღლებთ, რომ პრეზიდენტი დანა-ჩანგლის გამოყენებასთან მწყრალადაა... არ ადარდებთ, რომ იდეოლოგიის მოღალატეა... უბრალოდ, მშიერი ადამიანი დააპურეს, მერე, ცოტას ვანოზე წაუტირებდნენ ერთად და მისი შველის გზებზე ისაუბრებდნენ, ისე, სხვათა შორის... მერე, ალბათ, იცინეს... სასაცილო რაღა აქვთ? სასაცილო ის აქვთ, გენაცვალე, რომ რეგიონებში ყველგან გაოცნებებულ ნაცებს მიჰყავთ აღლუმი... იმ გაოცნებებულებს, რომლებმაც შეინარჩუნეს ნაცების დროს მოხვეჭილი ქონება და ძალაუფლება... მხოლოდ მაისურზე აწერიათ 41... როგორც კი ხელისუფლებაში მოვლენ, უფრო მეტნი მოვლენ, გადაფხეკენ მაისურიდან 41-იანს და 5-იანს გამოაჩენენ... აი, მერე კი, კოჰაბიტაცია სანატრელი გვექნება...

ჩემი პრეზიდენტი განათლებულია, მაგრამ ყველა განათლებულ ადამიანს სჭირდება მრჩეველი... ბოლოს და ბოლოს პრეზიდენტია, ვიღაცამ სიტყვა უნდა დაუწეროს, ვიღაცამ დაწერილი სიტყვა ჩაუსწოროს, ვიღაცამ მის აზრთა დინებას მისცეს კალაპოტი... ჰოდა, ჩვენს პრეზიდენტსაც დასჭირდა მრჩეველი და იპოვნა - გიგა ბოკერია... არ ვიცი, რა კრიტერიუმით, რომელი სინდისით, რომელი კანონით... რას გავუგებთ მომღიმარ ფილოსოფოსს...

ჩვენი პრეზიდენტი ფილოსოფოსია და ფილოსოფიურ ტრაქტატებს წერს, ერთ-ერთ მათგანს ჰქვია: „ნიჩურტა, მე ქართველი ვარ“!, საიდანაც მცირე ნაწყვეტს გთავაზობთ: „ერი, რომელიც ყველას უყვარდეს და ყველას ეცოდება... მაგრამ, რომელსაც ვერ შველიან საკუთარი სისულელის, სიჯიუტისა და სიჩლუნგის გამო...

დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია: გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმით...“

ჩვენს ერზე ამბობს ამას და ჩლუნგებისა და დებილების პრეზიდენტი ვინ იქნება, ვინაო, ბატონო პრეზიდენტო? - უი, თქვენც ჩლუნგი გამოდიხართ მაშინ, ჰო? ნუ, თუ თქვენც ჩვენს გვერდით მოიაზრებით, მაშინ არა უშავს... მაგრამ, მე მაინც არ დაგიძახებთ, ჩემო ჩლუნგო პრეზიდენტო-თქო, მერიდება, არ ვარ თქვენთან ასე ახლოს. გიგამ დაგიძახოთ ბოკერიამ, ის არის თქვენი მეინახე და თანამებრძოლი....



ახლა, უცებ, ჩემს ქართულ ჩლუნგ გონებაში ერთმა აზრმა გამირბინა, ბატონო პრეზიდენტო, თუ არ მოგეწონებათ, ნუ დამძრახავთ, მე ხომ, როგორც ქართველი „მსუბუქი დებილობის ფორმით“ ვიტანჯები, ჰოდა, თქვენ ისეთი დიდი ფილოსოფი ხართ, ჩვენ, ქართველებმა უარი უნდა ვთქვათ თქვენზე და დანარჩენ მსოფლიოს გადაგაბაროთ, იქნებ ისინი უკეთ ჩაწვდნენ თქვენს დიად აზრებს...

ჩემი პრეზიდენტი მომთმენიათქო ვთქვი, და არ ვტყუი. ვიცი, ბევრი რამ გადაგხდათ თავს, ჯერ ნაციონალებს და კომუნისტებს ადარებდით ერთურთს, ამბობით, ახალგაზრდობაში კომკავშირმა გამიშრო სისხლი და ახლა ნაცებმაო, ეგენი ებრძვიან ჩვენს კულტურას, ჩვენი თავისუფლების უფლებას და ჩვენს ეკლესიასო... მერე „ქართულ ოცნებაში“ ამოჰყავით ფილოსოფოსი თავი, იქ გაბადრული უნდა მდგარიყავით, ოღონდ თან შეუმჩნევლად, რადგან იცოდით, რომ სინამდვილეში ხალხი თქვენ კი არ გიკრავდათ ტაშს, არამედ ბიძინა ივანიშვილს, ხალხი თქვენ კი არ გაძლევდათ ხმას, არამედ ბიძინა ივანიშვილს...



პრეზიდენტობის პირველ ეტაპზე ფილოსოფიამ შემოგიტიათ: არც სამთავრობო რეზიდენცია გინდოდათ, არც კანონიერი მეუღლე, არც ძვირადღირებული რესტორანი... მაგრამ, მადამ აჯობა ფილოსოფიას... ასე ხდება ხოლმე, მადა ოხერია... თან, ეტყობა, გადახედეთ ურუგვაის პრეზიდენტის ხოსე მუხიკოას ცხოვრებას (რომელიც სოფლის პატარა სახლში ცხოვრობს და ხელფასის 90%-ს ქველმოქმედებას ახმარს) და არ მოგეწონათ... სად შეგიძლიათ ახლა თქვენ რომელიმე ზემო სოფელში ქათმების დაპურება წიპა-წიპას ძახილით და ჭილის ქუდით სიარული...

მადა გაჯდა სხეულში, მადა... ხიბლი შეიძინა რეზიდენციამ... და ამ ხიბლმა მთლიანად შეცვალა თქვენი ცხოვრება, ხან მდიდრული სექსით ყოფილხართ დაკავებული, ხანაც მდიდრული რესტორნით... ისე კი არ გამიგოთ, რომ მშურს... არა, მე ის მაინტერესებს მხოლოდ, ამ ჩვენი ჯიბიდან გადახდილ ხელფასს რომ ამოჭამთ, მერე რა უნდა ჰქნათ? თქვენც კარგი თურუმსაღი ვინმე ბრძანდებით, ბატონო პრეზიდენტო, მგონი, გიფიქრიათ ამაზე და ამიტომ გჭირდებათ ბოკერია: ვეტოს დაადებთ რომელიმე კანონს და ნაცები გადაგიხდიან... ბოკერიას დაწერილ სიტყვას წარმოთქვამთ და სააკაშვილი ანგარიშზე ჩაგირიცხავთ... ახლა, გავიგე... ახლა, მესმის...

ისე, ზოგჯერ მაინც, წამლად მაინც, ლარით მაინც დახმარებოდით რომელიმე ობოლს, ან თუ ფული არ გაქვთ, სადილად დაგეპატიჟათ, რომ შიმშილით არ ამოსძვრეს პატარა სული, ან თქვენი მოქსოვილი წინდა მიგეცათ, რომ ზამთარში გაყინვისაგან სიკვდილს აგერიდებინათ... მაგრამ, მეორე მხრივ, საქართველოში მარტო თქვენ გქონიათ მდიდრული სექსი და, ფაქტიურად, რეკორდსმენი ხართ, არ შეიძლება თქვენი ვარჯიშისგან მოცდენა.

ახლა ვიღაცას ეგონება, რომ მე ჩემს პრეზიდენტს ვემტერები, მაგრამ მე, ერთი ჩვეულებრივი ჩლუნგი ქართველი ვარ და რომც ვემტერებოდე, რას დავაკლებ, როგორ მოვერევი... საერთოდაც, სად ვნახავ??? ხალხში ეგ არ გამოდის, რეზიდენციაში მე არ შემიშვებენ, რესტორანში მე ვერ დავდივარ და მდიდრული სექსის დროსაც ვერ შევხვდები, იმიტომ, რომ მდიდრული სექსი კი არა გენაცვალე, მე „მწარე“ სოფლელი ვარ და როგორც ბაბუამ მასწავლა, ერთ კაცთან მინდა დაბერება.. ასე რომ, გადაწყვეტილი ფაქტია, ვერსად ვნახავ ჩემს პრეზიდენტს...

**თამუნა კუშელავა**
555 46 08 04

# ძლიერი რეგიონები



### ჩოხატაურში მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს

„წყალი მარგებელი“ შვეიცარიელ და ავსტრიელ ინსტიტუციონალურ პარტნიორებთან ერთად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში უალკოჰოლო სასმელების ჩამოსასხმელ ქარხანას აშენებს.

პროექტი ნაწილობრივ EBRD-ის საკრედიტო ხაზის დაფინანსებით ხორციელდება. პირველი ეტაპის ღირებულებაა 32 მილიონი ევრო. პროექტში მონაწილეობენ გერმანული Kრონეს, ავსტრიული Rauch და შვედური Tetra Pak კომპანიები.

არსებული ქარხნის 4 ათას კვ.მ-ს დაემატება მშენებარე 16 ათასი კვ.მ-ის ფართობის შენობა, სადაც განთავსდება უახლესი ტექნოლოგიების შესაბამისად აღჭურვილი ჩამოსასხმელი ხაზი - არა მარტო არსებული ბრენდები „ნაბეღლავი“ და „ბახმარო“, არამედ 100-პროცენტიანი ნატურალური წვენი სხვადასხვა შეფუთვაში (მუყაო, პეტი, შუშა და ალუმინი), ნექტარი, ცივი ყავა, ცივი ჩაი, ლიმონათი და სხვა პროდუქტები. აშენდება გადაღვრილი წყლის ბიოლოგიური გადამმუშავებელი სადგური.

ახალი ქარხნის შენობების გაგრილება-გათბობისა და ვენტილაციის სისტემებისთვის და აგრეთვე ტექნოლოგიური მიზნებისათვის გამოყენებული იქნება არატრადიციული განახლებადი ენერგია, რაც ეკოლოგიურს გახდის წარმოებას. ქარხნის მშენებლობა 2015 წლის ივნისში დაიწყო და მიმდინარე წლის აგვისტოში დასრულდება.

„გურიის რეგიონისთვის მიმდინარე წელი ინფრასტრუქტურის მოგვარების თვალსაზრისით განსაკუთრებულია. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მეშვეობითა და ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული სამუშაოების ნაწილი დასრულდა, ნაწილი კი ინტენსიურად მიმდინარეობს. კერძოდ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში წესრიგდება როგორც დაბაში არსებული, ისე სასოფლო დანიშნულების გზები, მიმდინარეობს ქუჩების მოასფალტება, ხიდების შეკეთება, კულტურის სახლის რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღის მშენებლობა. დასრულდა ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეის მშენებლობა, აგრეთვე ჯვარცხმის კულტურის სახლის რეაბილიტაცია და ხიდისთავის საბავშვო ბაღის მშენებლობა. დასრულდა დაბის ექვსი ქუჩის მოასფალტება. უახლოეს მომავალში დაიწყება სოფელ ხიდისთავში სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის მშენებლობა, რაც საკმაოდ მოცულობითი და მასშტაბური პროექტია“, - აღნიშნა გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ, რომელმაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელ ირაკლი კუჭავასა და საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ მამალაძესთან ერთად მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა.

### მატანის მოსახლეობას მაღალი ხარისხის სასმელი წყალი მიეწოდება

სოფელ ყვარელწყალის ტერიტორიაზე მატანის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც მთლიანად შეიცვლება სათავე ნაგებობის სისტემა და სრულად შემოიღობება ტერიტორია. სამუშაოების დასრულების შემდეგ სოფელ მატანში მცხოვრებ 700-მდე ოჯახს გაუუმჯობესდება სასმელი წყლის მიწოდება.

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბექა ბაიდაურმა და გამგებლის მოადგილემ ვანო ნასყიდაშვილმა დაათვალიერეს როგორც მატანის წყალმომარაგების სისტემის, ისე პანკისის ხეობაში მიმდინარე გაზიფიცირების სამუშაოები. ხეობის სოფლებში გაზიფიცირების პროცესი აგვისტოს ბოლომდე დასრულდება, ბუნებრივი აირი კი 2016 წლის ბოლომდე ყველა ოჯახში შევა. ბუნებრივ აირს პანკისის ხეობის ყველა სოფელი პირველად მიიღებს.



მატანი

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი გაორმაგდა

ინაბოტის სადრენაჟე კოლექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოები ერთი თვის წინ დაიწყო. პროექტის ფარგლებში გაიწმინდება კოლექტორის 4-კილომეტრიანი მონაკვეთი. სამუშაოების პირველი ეტაპი მიმდინარე წლის ივლისში დასრულდება და 400 ჰექტარ ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება. შედეგად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 5 სოფლის (ჭაბუკიანი, ქალქვა, ძირკოკი, ჭანდარი, ვეჯინი) მოსახლეობა აღნიშნული მიწის ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებას შეძლებს.



ლაგოდეხი

დღეისათვის კახეთის რეგიონში 7 ობიექტზე 8 მლნ ლარის ღირებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდება, რომელთა დასრულების შემდეგ, რეგიონში რამდენიმე ათასი ჰექტრით გაიზრდება მელიორირებული მიწის ფართობი.

2012 წლიდან მოყოლებული, კახეთის რეგიონში დასრულდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 26 სარეაბილიტაციო პროექტი. შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი 6 ათასიდან 14 ათას ჰექტრამდეა გაზრდილი.

### დუშეთი – მიკროგრანტები მთის განვითარებისათვის

2015 წელს, მეწარმეობის განვითარების სააგენტომ დაიწყო მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს რეგიონებში 5 ათასიდან 15 ათას ლარამდე თანადაფინანსების გაცემასა და საკონსულტაციო მომსახურებას გულისხმობს. 2015 წელს საქართველოში დაფინანსდა 1134 ბიზნესპროექტი. 2016 წლის 23 ივნისის მდგომარეობით, პროგრამის ფარგლებში სულ ჯამში დაფინანსებულია 1137 ბიზნესპროექტი და გადამზადებულია 3620 მდე ბენეფიციარი.

2015 წელს, დუშეთის მუნიციპალიტეტში ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 25 პროექტი (54 ბენეფიციარი), ხოლო 2016 წელს, მეორე რაუნდში შესულია 298 ბიზნესიდეის განაცხადი. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ბიზნესგეგმების შერჩევა და მეორე რაუნდის გამარჯვებული ბენეფიციარების გამოვლენა.

დღესდღეობით, დაიწყო ახალი პროექტის განხორციელება - „მიკროგრანტები მთის განვითარებისთვის“, რომელიც მეწარმეობის განვითარების სააგენტომ შეიმუშავა მთის განვითარების ეროვნულ საბჭოსთან თანამშრომლობით. პროექტი საშუალებას იძლევა მაღალმთიან სოფლებში ბიზნესის განვითარებისთვის მოსახლეობამ სახელმწიფოს მხრიდან მიიღოს 5-15 ათასი ლარის თანადაფინანსება და საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე წამოიწყოს ბიზნესი, რაც ზოგადად მთის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.

პროგრამის ხანგრძლივობაა 14 თვე, ბიუჯეტი - 10 მლნ. ლარი. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 1 600-მდე ბენეფიციარის დაფინანსება და 3000-მდე მეწარმის დატრენინგება.

სახელმწიფო პროგრამები მნიშვნელოვნად შეამცირებს მთიდან მიგრაციას და ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

### შუახევი – ისტორიული ძეგლების დასუფთავება

ისტორიული ძეგლების მოვლა-შენახვის ფარგლებში, შუახევში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასუფთავების აქცია მიმდინარეობს. ორი დღის განმავლობაში დასუფთავდა ოთოლთის, ოქროპილაურის, ნიგაზეულის, დარჩიძეებისა და კავიანის ციხეები. მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე 12 ციხეა.

### ხულოს სოფელ ფაჩხაში საბავშვო ბაღი შენდება

სოფელ ფაჩხაში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დაკვალვის და გრუნტის დამუშავების სამუშაოები, რომელსაც ახორციელებს ინდმეწარმე „ქებულ აბაშიძე“. სამუშაოებისთვის ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტიდან 179 000 ლარი გამოიყო. საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარე წლის 25 ივნისს დაიწყო და ნოემბრის ბოლომდე გაგრძელდება.

### „აწარმოე საქართველოში“ – საკონდიტრო საწარმო აბაშაში

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული საკონდიტრო საწარმო „ვესტ ჯორჯიან ბეიკერში“ 44 ადგილობრივი მცხოვრებია დასაქმებული. ინვესტიციის ჯამური მოცულობა 730 000 ლარია. საწარმოს დირექტორია ვახტანგ პატარაია.

საწარმოს სტუმრობდნენ: საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მთავრობის წევრებთან ერთად, რეგიონის გუბერნატორი ლევან შონია, მუნიციპალიტეტის გამგებელი მამუკა კვიტაშვილი.

პრემიერ-მინისტრმა აბაშელებს მხარდაჭერა აღუთქვა ყველა საინტერესო ბიზნესპროექტის განხორციელებაში.

# ძლიერი საქართველოსთვის



აბაშა

მისი განმარტებით, ადგილობრივი წარმოების განვითარება მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რადგან იგი უშუალოდ უკავშირდება ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციასა და სამუშაო ადგილების გაჩენას.

## მარჯანიშვილის თეატრი მესტიაში

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი მესტიას ესტუმრა სპექტაკლით „როგორც გენებოთ“, რომელიც უილიამ შექსპირის პიესის მიხედვით რეჟისორმა ლევან წულაძემ დადგა. წარმოდგენა სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში, ღია ცის ქვეშ გაიმართა.

2016 წელს, შექსპირის გარდაცვალებიდან 400 წელი გავიდა. მთელი მსოფლიოს ყველა თეატრი ამ თარიღს განსაკუთრებული ღონისძიებებით აღნიშნავს. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მარჯანიშვილის თეატრმა გადაწყვიტა სპექტაკლით - „როგორც გენებოთ“ - შემოიაროს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები.

მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლმა უკვე მოასწრო სხვადასხვა ქვეყანაში გასტროლი და მაყურებლისა და კრიტიკოსების აღიარება მოიპოვა - მიღებული აქვს გარდიანის ხუთი ვარსკვლავი და არაერთი ცნობილი კრიტიკოსის მიერ დაწერილი დადებითი რეცენზია.

## სენაკში ახალი საწარმოს მშენებლობა იწყება

სენაკში 120-მილიონი დოლარის ღირებულების ქართულ-ჩინური საინვესტიციო პროექტის განხორციელება დაიწყო. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში ცემენტის მწარმოებელი ქარხნის მშენებლობის საფუძვლის ჩაყრის ცერემონიას დაესწრნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მთავრობის წევრებთან ერთად, რეგიონის გუბერნატორი ლევან შონია, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა დგებუაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ჯუმბერ ლაშქარავა, სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

„შპს შავი ზღვის ცემენტის“ კომპანიის სამშენებლო ტერიტორია 20 ჰექტარზე მეტს მოიცავს. საწარმო, სადაც 500-მდე ადგილობრივი სპეციალისტი დასაქმდება, 2017 წელს უნდა დასრულდეს. ქარხანა, რომელიც მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების მოცულობით ერთ-ერთი უმსხვილესი იქნება საქართველოში, წლიურად 900 ათას ტონა კლინკერის ცემენტს და 1,5 მილიონ ტონა მაღალი ხარისხის ცემენტს გამოიმუშავებს.

მშენებლობის დასრულებისა და ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, ქარხანა საქართველოს მოამარაგებს ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის საჭირო მაღალი კლასისა და ხარისხის ცემენტის ნაწარმით და საგრძნობ წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკის, საერთაშორისო მენეჯმენტისა და ტექნოლოგიების განვითარებაში.



მესტია

## ახალციხე – ურავლის რძის გადამამუშავებელი პროდუქცია წამყვან სუპერმარკეტებს მიეწოდება

ნატურალური და უვნებელი პროდუქტის წარმოება რძის გადამმუშავებელი საწარმო „წიფორა-სამცხეს“ მთავარი მიზანია. ეს კომპანია სოფელ ურაველში ოთხი წელია მუშაობს. წარმოებული პროდუქციის 90 პროცენტი სულგუნია, იმერული და ქარხნული ყველი კი სავაჭრო ქსელის შეკვეთით მზადდება. რძეს ახალციხისა და ასპინძის სოფლებში იბარებენ, საწარმომდე სპეციალური მანქანა-მაცივრებით გადააქვთ და ადგილზე სტაციონარულ მაცივრებში ინახავენ.

„წიფორა-სამცხეში“ მზადდება ნედლი, შებოლილი სულგუნი და „ნაწნავები“, ყველის შრატისგან - ნადუღი. პროდუქცია სარეალიზაციოდ იგზავნება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

კომპანიის პრიორიტეტია ნატურალური პროდუქტის წარმოებაა, აქ რძის ხარისხი და უვნებლობა მკაცრად კონტროლდება.

საწარმომ მუშაობა 2012 წლიდან, 700 ლიტრი რძის გადამუშავებით დაიწყო. წარმოება თანდათან გაიზარდა და ახლა უკვე დღეში ოთხ ტონაზე მეტ რძეს ამუშავებენ.

## „გომარეთობა–2016“

სოფელ გომარეთში ტრადიციულად აღინიშნა სახალხო ზეიმი „გომარეთობა“, რომელიც ყოველთვის მართლმადიდებლურ დღესასწაულ „სულთმოფენობას“ უკავშირდება. სოფელი გომარეთი ქვემო ქართლის რეგიონის ერთი-ერთი უძველესი ქართული სოფელია, რომელიც ქართული ეკლესია-მონასტრების სიმრავლით გამოირჩევა.

ზეიმი დოღით დაიწყო, დოღს ჭიდაობა ჩაენაცვლა, ჭიდაობას - ჭადრაკი. შესრულდა ხალხური სიმღერები და ცეკვები, მოეწყო ბავშვთა ხატვისა და ხალხ იყვნენ ქვემო ქართლის ყველა მუნიციპალტეტის საკრებულოს თავმჯდომარეები და გამგებლები.

სახალხო დღესასწაული ადგილობრივ მცხოვრებლებს პირადად მიულოცა ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა პაატა ხიზანაშვილმა, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ლერი ბერუაშვილმა, გამგებელმა გოგი ბარბაქაძემ და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა. დღის განმავლობაში გამართული ასპარეზობების დროს გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ქართულ ჭიდაობაში და დოღში გამარჯვებულებს გამგებელმა გოგი ბარბაქაძემ საჩუქრად გადასცა ცხვარი, ხოლო სხვა ასპარეზობებში გამარჯვებულებს - ფასიანი საჩუქრები. ფასიანი საჩუქრები გადაეცათ აგრეთვე საპატიო გომარეთელებს, ღვაწლმოსილ პედაგოგებსა და მრავალშვილიან დედებს.

## „მიკროგრანტები მთის განვითარებისთვის“ – პროექტის პრეზენტაცია ქედაში

გამგეობის სააქტო დარბაზში წარმოდგენილი პროგრამის მიზანია მაღალმთიან დასახლებებში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც გულისხმობს 5 000, 10 000 და 15 000 ლარიან საგრანტო მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან. პრეზენტაციას გამგეობის ხელმძღვანელი პირები და პროგრამით დაინტერესებულები ესწრებოდნენ.



ციხისძირი

## „კასტელო მარე“ – საერთაშორისო სტანდარტების სასტუმრო ციხისძირში

სასტუმროს და გამაჯანსაღებელი კომპლექსის ოფიციალური გახსნის ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრო.

**გიორგი კვირიკაშვილი:** „ეს არის ულამაზესი, აბსოლუტურად უნიკალური დასასვენებელი და სამკურნალო კომპლექსი, რომელიც ბუნების ამ ულამაზეს წიაღში, ისტორიულ ადგილას, მართლაც ქამელეონივით შეერწყა უმშვენიერეს გარემოს. ეს არის კომპლექსი, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა ისედაც ძალიან ლამაზ ლანდშაფტს. აქ 25 მილიონ ევროზე მეტი ინვესტიცია უკვე დაიხარჯა, მაგრამ ეს კიდევ არ არის დასასრული და შემოგარენის განვითარების ძალიან ამბიციური გეგმები აქვს სოსო ორჯონიკიძეს. ბატონმა სოსომ წარმატებას მიაღწია ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მან საკუთარი კაპიტალის ძალიან დიდი ნაწილი დააბანდა საქართველოში და ის კიდევ აგრძელებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს.

აჭარაში ხორციელდება უამრავი ლამაზი პროექტი, ეს კუთხე დღითიდღე იცვლება და იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქვეყნის ტურიზმის განვითარებისთვის და არა მხოლოდ. ბათუმი ხდება ასევე ბიზნესქალაქი და ბიზნესცენტრი, რასაც დამერწმუნეთ, სრულიად სხვა საფეხურზე აჰყავს ამ რეგიონის მნიშვნელობა. ჩვენ ვახორციელებთ არაერთ მნიშვნელოვან პროექტს აჭარის მასშტაბით, ეს გახლავთ ზემო აჭარის კურორტების განვითარება, ეს არის გოდერძის სამთო-სათხილამურო კურორტი და წელს ჩვენ უკვე დავაკონტრაქტეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი სასტუმრო კომპლექსი, რომლებიც გოდერძის კურორტზე აშენდება. ჩვენ ასევე ვიწყებთ სულ უახლოეს დღეებში ხულო-ზარზმის გზის მშენებლობას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ტურიზმის განვითარებისთვის და რა თქმა უნდა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური განვითარებისთვის“.

ტურისტულად მიმზიდველ რეგიონში მდებარე სასტუმრო და გამაჯანსაღებელი კომპლექსი „კასტელო მარე“ მოიცავს 8 სხვადასხვა კატეგორიის 90 ნომერს, შიდა და გარე საცურაო აუზებს, სპაცენტრს, რესტორანს, ღია ბარს ტერასაზე და სანაპიროზე. კორპორატიული ღონისძიებებისთვის სასტუმრო სტუმრებს სთავაზობს 200 ადამიანზე გათვლილ საკონფერენციო დარბაზს. კომპლექსში განთავსებულია ფიტნესცენტრი, ჩოგბურთის მოედანი, საბილიარდო, 4-ბილიკიანი ბოულინგი, ლაზერული ტირი და დაივინგის სკოლა. დამსვენებელი სანაპიროზე მოხვდება უახლესი თაობის დახრილი ლიფტების მეშვეობით.

თამაზ ტეტუნაშვილი, სოსო მანჯავიძე

# საქართველოს ლოკალური გეოპოლიტიკა

შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მიმართული ძალისხმევის ვექტორები Fფოთიდან გამოდიან (მდ. რიონის შავ ზღვასთან შესართავიდან), ხოლო სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ფლობის ძალისხმევის ვექტორები გამოდის თბილისიდან (გაანგარიშებაში მცხეთიდან წარსულთან შესადარისობის გამო).

ტერმინი "ძალისხმევის ვექტორი" - ეს არის დროში მიმართული ძალისხმევა. ძალისხმევა კი არის ტერიტორიული, ეთნიკური, პოლიტიკური (ხშირად სამხედრო), კულტურული, ეკონომიკური და ყველანაირი გავლენის მიმართვა გარკვეული მიმართულებით.

უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფო ცოცხალი ორგანიზმია, თავისი დაბადებით, არსებობით და სიკვდილით (მუდმივია სახელმწიფოებრიობა – როგორც მართვის ფორმა). ის სახელმწიფო, ერი და კულტურა, რომელიც არ იბრძვის, არ ცდილობს გაფართოება-გაძლიერებას, კვდება. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მიზანი უნდა იყოს (სხვა მრავალთან ერთად) მისწრაფება ამ ძალისხმევის ვექტორების მიმართულებით განავრცოს ტერიტორია, ეთნიკური ქართველობა, ენა, კულტურა, ეკონომიკა, სარწმუნოება და სხვა ყველანაირი გავლენა. მით უმეტეს, რომ ამ მიმართულებებით საქართველოდან ჩვენს მეზობლებს მიტაცებული აქვთ ქართული მიწა-წყალი.

დღეს, როდესაც საქართველო არის მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, ისწრაფვის შევიდეს ევროკავშირში და **NATO**-ში, როცა მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს გლობალიზაციის და ინტეგრაციის გამალებული პროცესი, ბევრს უცნაურად და ფანტაზიად მოეჩვენება ძველი ისტორიული ქართული მიწების დაბრუნების შესაძლებლობის რეალობა. მაგრამ მიგვაჩნია, რომ თუნდაც ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში თურქეთის და რუსეთის ჩართვა, მათი დღევანდელი ძლიერება არ გამორიცხავს მათ ისტორიულად კანონზომიერ დაშლას. რაც გამოიწვევს ამ ტერიტორიების გადანაწილების მტკივნეულ პროცესებს – აქ ყველაზე რთული განსასაზღვრია, როდის და როგორ მოხდება ეს მოვლენები და როგორ მზადყოფნაში შეხვდება საქართველო, როგორც სახელმწიფო, ამ პერიოდს.

ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ქართული სახელმწიფოები ფლობდნენ შავ ზღვაზე სანაპირო ზოლს 610 კმ. ფარგლებში (დღეისათვის ის შეადგენს 310 კმ-ს აფხაზეთის ჩათვლით). აქედან, "ჩრდილოეთის ყბა" (ათვლა ხდება ფოთიდან) შეადგენდა 380 კმ. (დღეისათვის ის შეადგენს 220 კმ); ხოლო "სამხრეთის ყბა" – 230 კმ (დღეისათვის ის შეადგენს 90 კმ).

ამავე პერიოდში მცხეთიდან სამხრეთ-დასავლეთის ვექტორის (ტაო-კლარჯეთის მომართულებით, უშორეს წერტილამდე) სიდიდე შეადგენდა 460 კმ-ს (დღეისათვის ის შეადგენს 290 კმ).

ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ქართული სახელმწიფოების საერთო ფართობი შეადგენდა 130,0-135,0 ათას კმ², მათ შორის, მცხეთაზე გამავალი გრძედის აღმოსავლეთით საქართველოს ტერიტორია შეადგენდა 28,0-32,0 ათას კმ² (ეს მონაცემი ახასიათებს საქართველოს "გავლენის" სიძლიერეს სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში).



ჩვენი წელთაღრიცხვის პირველათასწლეულში ქართული სახელმწიფო შავი ზღვის სანაპირო ზოლი მერყეობდა 430-470 კმ. ფარგლებში. აქედან "ჩრდილოეთის ყბა" შეადგენდა 320-350 კმ, ხოლო "სამხრეთის ყბა" – 110-120 კმ. მცხეთიდან სამხრეთ დასავლეთის ვექტორი მერყეობდა 300-350 კმ. ფარგლებში.

ქართული სახელმწიფოს ტერიტორია შეადგენდა 124,0ათას კმ². აქედან მცხეთაზე გამავალი გრძედის აღმოსავლეთით ტერიტორია 36-39 ათას კმ².

აღნიშნული მიუთითებს იმას, რომ საქართველოს სახელმწიფო სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილში უფრო "დამაგრდა", წინააღმდეგ ზღვის სანაპიროზე 140 კმ დაკარგვისა და სამხრეთ-დასავლეთის ვექტორის 110 კმ შემცირებისა. რამაც საბოლოოდ შეამცირა Qქართული სახელმწიფოს ტერიტორია წინა ათასწლეულთან შედარებით 11,0 ათასი კმ².

XII–XIV საუკუნეებში საქართველო ძირითადად იყო კავკასიური პარამეტრების სახელმწიფო. ამ პერიოდში განსაკუთრებით XIII საუკუნის დამდეგს ზემოთ აღნიშნული პარამეტრები, ფაქტობრივად, გაორმაგებული იყო.

განსხვავებულია ქართული იმპერიის ლოკალური გეოპოლიტიკა, რომელიც შექმნა დავით აღმაშენებელმა (1089-1125 წ.წ.) და აღადგინა გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346 წ.წ.). მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ხვარაზმელთა გამანადგურებელ შემოსევებს (1225-1230 წლები) ჯალალედინის მეთაურობით და შემდგომ მონგოლების მიერ საქართველოს დაპყრობას 1235 წელს, რომელიც თითქმის საუკუნე გაგრძელდა, გიორგი ბრწყინვალეს მიერ აღდგენილმა ქართულმა იმპერიამ იარსება თემურ ლენგის შემოსევებამდე (1386-1401 წლები). შესაბამისად, ქართული იმპერიის ტერიტორიის განხილვა ლოკალური გეოპოლიტიკის თვალსაზრისით, კავკასიური პარამეტრებით უნდა მოხდეს XII საუკუნიდან XIV საუკუნის მიწურულამდე, ანუ დაახლოებით 270 წლის მანძილზე.

დავით აღმაშენებელმა საქართველოს აღმავლობა (შიდა პრობლემების მოწესრიგების შემდეგ) მიიმართა, თავდაპირველად, აღმოსავლეთისაკენ კასპიის ზღვის ბუნებრივი საზღვრებისაკენ. რის შემდეგაც საქართველოს იმპერიას გააჩნდა ბუნებრივი საზღვრები დასავლეთით და აღმოსავლეთით, შავი და კასპიის ზღვების სახით. ჩრდილოეთით მისი ბუნებრივი საზღვრები გადიოდა კავკასიონის მძლავრ ქედზე და სამხრეთით მცირე კავკასიის მთიანეთზე. შემდგომში ქართული იმპერიის გაძლიერების კვალობაზე საქართველოს ტერიტორიის საზღვრები გაიზარდა ჩრდილო კავკასიის მიმართულებით და სამხრეთით, მთელ კავკასიის სიგრძეზე. დავით აღმაშენებლიდან დაწყებული, მისმა მემკვიდრეებმა (განსაკუთრებით თამარ მეფის დროს) გიორგი ბრწყინვალეს ჩათვლით, საქართველოს იმპერიას შემოუერთეს ჩრდილო კავკასიის გენეტიკურად და ისტორიულად ჩვენი მოძმე ხალხების ქვეყნები: ქაშაგეთი, ჯიქეთი, ალანია-ოსეთი, დურძუკეთი, ღუნძეთი და ლეკეთი. რომლითაც შეიქმნა ბუფერული ზონა ჩრდილოეთის მხრიდან ყივჩაღებისაგან და შემდგომში ოქროს ურდოსაგან თავის დასაცავად. შესაბამისად, სამხრეთით საქართველოს იმპერიის საზღვრებში შემოდიოდა სომხეთი, ხოლო მოხარკე ქვეყნების სისტემა: რანი, ნახჭევანი, არზრუმის საამირო და ერზინკის სასულთნო, საქართველოს გავლენის სფერო ტრაპიზონის იმპერიასთან ერთად ქმნიდა სამხრეთის ბუფერული ზონის ჯაჭვს, მტრული თურქმანული სასულთნოებისაგან და ხორეზმის სპარსული სამეფოსაგან (შემდგომში ჩობანიანთა მონღოლურ სახელმწიფოსგან) თავის დასაცავად.

დავით აღმაშენებლის მიერ 1122 წელს თბილისის განთავისუფლების (დედაქალაქის ხელმეორედ გადმოტანის) შემდეგ ქართული იმპერია იმართებოდა თბილისიდან — კავკასიის გეოპოლიტიკური ცენტრიდან. მით უმეტეს, იმ პერიოდის საინფორმაციო და სატრანსპორტო კავშირების პირობებში თბილისი ის გეოპოლიტიკური ცენტრი იყო (ახლო აღმოსავლეთის სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრთან ერთად), საიდანაც ყველაზე ოპტიმალური იყო ქართული იმპერიის უკიდურეს სასაზღვრო პროვინციებთან ინტენსიური კავშირი. ასევე მეზობელ სახელმწიფოებთან სავაჭრო-ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა. შესაბამისად, მისი მდებარეობიდან გამომდინარე, შორი და ძნელი მისაღწევი იყო მტრული ძალებისათვის, მით უმეტეს, ბუფერული ზონების შექმნის შემდეგ.

აქედან გამომდინარე, ქართული იმპერიის არსებობის პერიოდში, მის ლოკალურ გეოპოლიტიკას სხვანაირი სახე გააჩნდა. ქართული იმპერია შეკრული იყო ერთიანი ღერძით-რიონის შესართავიდან, თბილისის გავლით აფშერონის ნახევარკუნძულამდე (ფოთი-თბილისი-ბაქო). რადგან სამხრეთ კავკასია ერთი დიდი ხეობაა, კავკასიის ქედსა და სამხრეთ მთიანეთს შორის, ქართული იმპერიის ტერიტორიის ძირითადი ღერძი გადიოდა, ამ დიდ ხეობის ძირში, რითაც იკვრებოდა იმპერია შავი ზრვიდან კასპიის ზღვამდე და რომელიც ემთხვევა პალეოგენურ პერიოდში არსებულ სამხრეთ კავკასიის სრუტეს.

ხოლო ფოთიდან (მდინარე რიონის შავ ზღვასთან შესართავიდან) გამოდის ძალისხმევის ვექტორები, ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, რათა საქართველო მუდმივად ისწრაფოდეს შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთით ("ჩრდილოეთის ყბა") და სამხრეთ-დასავლეთით ("სამხრეთის ყბა") გავლენის საზღვარების განვრცობისთვის. იმ პერიოდში ქართული იმპერიის გეოპოლიტიკური საჭიროება არ იყო თბილისის გარშემო არეალის გაფართოება. იმპერიას სჭირდებოდა ყმადნაფიცი და მოხარკე ქვეყნების, ასევე გავლენის სფეროების კონტროლი. შესაბამისად, თბილისიდან (კავკასიის გეოპოლიტიკური ცენტრიდან) ძალისხმევის ვექტორები უერთდებოდა ამ ქვეყნების და პროვინციების ცენტრებს.

იმ შემთხვევაში თუ ქართული იმპერია გადაურჩებოდა თემურ ლენგის გამანადგურებელ შემოსევებს და გააგრძელებდა კავკასიურ პარამეტრებში არსებობას, საქართველოს იმპერიის ლოკალური გეოპოლიტიკის კანონზომიერებები მოითხოვდა მის უფრო მკვიდრ "დამაგრებას" კასპიის ზღვის სანაპიროზე. შესაბამისად, აფშერონის ნახევარკუნძულიდან გამოვიდოდა (ისევე როგორც შავ ზღვაში მდინარე რიონის შესართავიდან) ორი ძალისხმევის ვექტორი, კასპიის ზღვის ჩრდილოეთის და სამხრეთის მიმართულებით.

**(გაგრძელება იქნება)**

# ის, რასაც „რესპუბლიკელები“ აკეთებენ, ძალიან ჰგავს სახელმწიფო გადატრიალებას...

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის თინათინ ხიდაშელის ქმედებები ყოველგვარ ზღვარს გადასცდა და ის უკვე ღიად უპირისპირდება საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტსა და ქართველ ხალხს.**

**თინათინ ხიდაშელი, ფაქტობრივად, არ სცნობს საქართველოს ხელისუფლებას და მათთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, დამოუკიდებლად იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგება.**

**აშკარად საბოტაჟის ნიშნებს ატარებს კიდევ ორი „რესპუბლიკელი“ მინისტრის პაატა ზაქარეიშვილისა და გიგლა აგულაშვილის საქმიანობაც.**

**ყოველივე ეს ძალიან ჰგავს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, რომლის რეაგირების გარეშე დატოვებამ შეიძლება ქვეყანა კრიზისულ სიტუაციამდე მიიყვანოს.**

**აქვე გთავაზობთ წერილს, რომელიც „საერთო გაზეთის“ 2016 წლის 1 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა.**



„რესპუბლიკური პარტია“, პარლამენტის თავმჯდომარიანად, უკვე მთლიანად გადავიდა ოპოზიციაში და, ფაქტობრივად, ღიად უპირისპირდება „ქართულ ოცნებას“ ანუ სახელისუფლო გუნდს.

გასაკვირი და გასაოცარი ის არის, რომ ეს ოპოზიციაში გადასული რესპუბლიკური პარტია იმავდროულად სახელისუფლო გუნდსაც წარმოადგენს. ანუ ის ხელისუფლებაშიც არის და ოპოზიციაშიც.

მსგავსი რამ მოხდა 2013 წელსაც, როცა პრეზიდენტობის ვადაამოწურული მიხეილ სააკაშვილი მთელი ათი თვე თან პრეზიდენტიც იყო და იმავე დროს ოპოძიციაში ედგა იმ ხელისუფლებას, რომლის პრეზიდენტობასაც იჩემებდა.

სააკაშვილი სააკაშვილად, მაგრამ ეს რესპუბლიკური პარტია, რომელიც პროდასავლურობაზე და დემოკრატიული ღირებულებების ერთგულებაზე დებს თავს, რაღაცით ხომ უნდა განსხვავდებოდეს სააკაშვილისგან?

განა არანორმალური და ანომალიური არ არის, როცა ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე ოპოზიციური პარტიის წევრია, იმავე ოპოზიციური პარტიის წევრია სამი მინისტრი, აქედან ერთ-ერთს თავდაცვის მინისტრის პოსტი უჭირავს, ხოლო ამ თავდაცვის მინისტრის ქმარი პარლამენტის თავმჯდომარეა.

დიდი ხანია ვეძებ სახელმწიფოს, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე ქმარია, თავდაცვის მინისტრი ცოლი, მაგრამ ასეთ სახელმწიფოს, გარდა საქართველოსი, ჯერჯერობით ვერსაც მივაკვლიე – ვერც ევროპაში, ვერც აზიაში, ვერც აფრიკაში, ვერც ამერიკის კონტინენტზე.

**ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ პარლამენტის თავმჯდომარე და თავდაცვის მინისტრი, რესპუბლიკელები კი არა, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წევრები არიან, ვთქვათ, ზვიად კვაჭანტირაძე პარლამენტის თავმჯდომარეა, მისი მეუღლე კიდევ თავდაცვის მინისტრი.**

**ეს რომ მომხდარიყო, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბები დატრიალდებოდა საქართველოში** და რა რისხვა დაატყდებოდა თავს „ქართულ ოცნებას“ როგორც ადგილობრივი ოპოზიციური პარტიების და ადგილობრივი ასო-ებისგან, აგრეთვე საერთაშორისო თანამეგობრობისგან?

ყველას და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვით „ნაციონალური მოძრაობაც“ კი კრინტს არ ძრავს ამ ტრაგიკომიკური ფაქტის გარშემო, რაც კიდევ უფრო აძლიერებს გონივრულ ეჭვს, რომ „ნაცმოძრაობასა“ და „რესპუბლიკურ პარტიას“ შორის ფარული მეგობრობის და ფარული სიყვარულის უძილავი ძაფებია გაბმული.

ამ ტრაგიკომიკური ფაქტის შესახებ კრინტს არ ძრავს გიორგი მარგველაშვილი, როგორც თვითონ ამბობს, „ყველას პრეზიდენტი“, რომელიც ყველას პრეზიდენტი კი არის, მაგრამ რატომღაც „ქართულო ოცნებას“ აშკარად ოპოზიციაში უდგას და შემთხვევას ხელიდან არ უშვებს ვეტოებით „დაბომბოს“ „ქართული ოცნების“ საკანონმდებლო ინიციატივები თუ სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

სააკაშვილივით, მარგველაშვილიც თან პრეზიდენტია და თან ოპოზიციონერი...

– „რესპუბლიკურმა პარტიამ“, როცა განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნებში ცალკე იყრის კენჭს, მაგრამ არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში დაკავებულ თანამდებობებს არ დატოვებენ, ფაქტობრივად, ეს არის სახელმწიფო გადატრიალება და იმ ძალაუფლების მიტაცება, რომელიც მათ არ ეკუთვნით. მოცემულ სიტუაციაში საქართველო, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალების რეჟიმში ცხოვრობს, თუმცა ამის დანახვა და დაჯერება არავის უნდა“, – ასეთი კომენტარი გააკეთა შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით პირად საუბარში ერთმა ცნობილმა იურისტმა, რომელმაც თავისი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა.

ვერ გეტყვით, რამდენად ზუსტია ეს შეფასება და ნამდვილად სახელმწიფო გადატრიალებაა თუ არა ის, რაც დღეს ჩვენს თვალწინ ხდება, თუმცა ეს ყველაფერი მართლაც ძალიან რომ ჰგავს გადატრიალების მსგავს ამბავს, ესეც ფაქტია.

„რესპუბლიკელები“ კი იქადნებიან, რომ არჩევნებზე ცალკე გავლენ და წარმატებებსაც მიაღწევენ, მაგრამ მათზე კარგად ვინ იცის, რომ დამოუკიდებლად შეიძლება ბარიერიც კი ვერ გადალახონ.

ამიტომ, სანამ დავითი პარლამენტის თავმჯდომარეა, სანამ თინა თავდაცვის მინისტრია, სანამ გიგლა და პაატა მინისტრები არიან, სანამ მრავალი რესპუბლიკელი სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში სერიოზულ თანამდებობებს იკავებენ, „რესპუბლიკელები“ შეეცდებიან, რაც შეიძლება სარფიანად ივაჭრონ ხელისუფლებასთან.

**„რესპუბლიკელები“ თავიანთი ქმედებებით, ფაქტობრივად, აშანტაჟებენ როგორც ხელისუფლებას, ისე მთელ ქართველ ხალხს.**

**რასაც ისინი აკეთებენ, ეს არის პოლიტიკური ძალადობა და ფსიქოლოგიური ზეწოლა ქართველ ხალხზე, რომელსაც დიდი ხანია „რესპუბლიკელები“ ღიად უპირისპირდებიან და, იმავე დროს მისგან მხარდაჭერას მოითხოვენ, რაც სხვა არაფერია, თუ არა ცინიზმი და უტიფრობა.**

– „რესპუბლიკელებს“ თუ დაბალი რეიტინგი აქვთ, ეს არის არა ჩვენი, არამედ ქართველი ხალხის ბრალი, რომელიც ჩვენს დონემდე ვერ ამაღლდა, – დაახლოებით ამ შინაარსის „თვალმარგალიტი“ გადმოაფრქვია ამ ორიოდე წლის წინათ „რესპუბლიკელების“ გურუმ ლევან ბერძენიშვილმა.

მსგავს თვალმარგალიტებს ხშირად აფრქვევენ „რესპუბლიკური პარტიის“ სხვა წევრებიც დაწყებული დავით უსუფაშვილით და დამთავრებული დავით ზურაბიშვილით.







„რესპუბლიკელები“ ინტელექტუალურ პოლიტიკურ ძალას უწოდებენ საკუთარ თავს, თუმცა ესენი, უმრავლეს შემთხვევაში, აბსოლუტურად ფსევდოინტელექტუალური, ნარცისული და ამპარტავნული ბუნების ადამიანები არიან, რომლებსაც, ფაქტობრივად, არაფერი აქვთ საერთო საკუთარ ხალხთან.

ამიტომაც აღიქვამს მათ ქართველი ხალხი უცხო ქვეყნების ინტერესების, უცხო და მიუღებელი იდეოლოგიის გამტარებელ დივერსიულ ძალად.

„რესპუბლიკელები“, ჯერჯერობით, ზოგადად, „ქართული ოცნების“ კრიტიკით კმაყოფილდებიან და პერსონალურად არ უტევენ ბიძინა ივანიშვილს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს დროც მალე მოვა...

ქართული პოლიტიკური თეატრის ბნელ კულისებში დიდი გადარბენ-გადმორბენები და დიდი მისვლა-მოსვლა აქვთ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს.

**დიდი ღალატის და შეთქმულების სამზადისს უფრო ჰგავს ეს ყველაფერი, ვიდრე არჩევნებისთვის მზადებას.**

**ასეთ დროს სახლში გყავდეს „რესპუბლიკური პარტია“, ეს იგივეა, სახლში გედოს ასაფეთქებლად გამზადებული ბომბი.**

„ქართული ოცნების“ მესვეურებო, დროზე გაიტანეთ ეს ბომბი „ქართული ოცნების“ სახლიდან, დროზე გაიტანეთ, თორემ ეს ბომბი ერთდროულად იმდენ პულტთან არის მიერთებული, არავინ იცის, ვინ დააჭერს ღილაკს თითს და ვინ აგვაფეთქებს.

# ბურჭულაძემ არენაზე ფეისბუქ-ზონდერები გამოიყვანა



**სიამოვნებით ვნახავდი თქვენს ყოველწლიურ ანგარიშს, რომელიც კანონის თანახმად, საჯარო უნდა იყოს. ახლა, გაზეთის მეშვეობით მოგმართავთ და გთხოვთ, გადმომცეთ, გამომიგზავნოთ ეს ანგარიშები. შევისწავლი, შევადარებ იმ ოჯახთა მონაცემებს, რომელთაც დაეხმარეთ და მერე დავწერ - თუ იქ დასამალი არაფერია, თუ იქ საპოვნელი არაფერია, რისი გეშინიათ?**

რამდენიმე კვირის წინ გამოვაქვეყნე სტატია, სადაც ვყვებოდი იმის შესახებ, თუ როგორ მოატყუა პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ორგანიზაციამ ბარაშვილების რვასულიანი ოჯახი.

სტატიის გამოქვეყნებიდან რაღაც დროის შემდეგ რამდენიმე ადამიანმა ჩვენი გაზეთის ფეისბუქ–გვერდზე დატოვეს კომენტარები, სადაც მადანაშაულებდნენ: ბატონი პაატას წინააღმდეგ ბნელ კამპანიას აწარმოებ, ეს ისტორია ყალბია და მეტიც, „იავნანას“ თანამშრომლები არასოდეს ჩასულან სოფელში, თვალითაც არ გვინახავს გიორგი ბარაშვილიო...

შეიძლება ეს კომენტარები ბურჭულაძის გულწრფელი მომხრეების მიამიტობად მიმეღო, რომ არა ერთი ფაქტი: იგივე შინაარსის კომენტარს წერდა ფონდ „იავნანას“ სამხატვრო ხელმძღვანელი თეონა ჯორბენაძეც. ეს ის ქალბატონია, რომელიც ჟურნალისტებს პაატა ბურჭულაძის შესახებ დასმულ კითხვებზე სცემდა ხოლმე პასუხს. ანუ უფლებამოსილი იყო ინფორმაცია გაეცა. ქალბატონი თეონა წესით, ფონდის საქმიანობას და ბატონ პაატას კარგად უნდა იცნობდეს და თავის ნათქვამზე პასუხს უნდა აგებდეს, პასუხს უნდა აგებდეს არა მხოლოდ როგორც მოქალაქე თეონა ჯორბენაძე, არამედ, როგორც ფონდ „იავანას“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი.

ქალბატონ თეონას, როგორც ჩანს, იმედი ჰქონდა, რომ, რაკი გიორგიმ სკოლა-ინტერნატი დაამთავრა, რაკი პროფესიას ვერ დაეუფლა და დღემდე მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობს, მის მონათხრობს მარტივად დააყენებდა ეჭვის ქვეშ... მაგრამ, ვერ გაითვალისწინა ერთი რამ: გიორგი ბარაშვილი გურიის ერთ პატარა სოფელში ცხოვრობს, სადაც ყველა ყველას იცნობს, სადაც ყველამ იცის გიორგის გაჭირვება, სადაც ძალიან ბევრმა ადამიანმა ნახა „იავნანას“ წარმომადგენლები და საკმაოდ ბევრმა მოიმინა კიდეც მათი საუბარი...

იქვე, ჩვენს გვერდზევე ქალბატონ თეონას გიორგის თანასოფლელმა დაუწერა კომენტარი: „ თვალს ვადევნებ თქვენს კომენტარს ქ-ნო თეონა და არ შემიძლია არ ავღნიშნო, რომ ცრუობთ... ჩვენს სოფელში, ამ ოჯახთან მართლაც იყვნენ „იავნანას“ წარმომადგენლები. დიახაც, თქვენ ცრუობთ, რადგან აქ მართლა ყველას ახსოვს უდედ-მამოდ გაზრდილი უსახლკარო ბიჭის თვალები, თვალები, რომელშიც იმედის ცეცხლი ააგიზგიზეთ და მერე უმოწყალოდ და შეუბრალებლად უპასუხოდ დატოვეთ. ბავშვებიც კი მიიყვანეთ სახლის სანახავად და ეკითხებოდით: მოსწონდათ თუ არა კარ-მიდამო საცხოვრებლად. ბევრი ფოტოც გადაიღეთ. ისადილეთ კიდეც მათი სიმწრის ოფლით გაშლილ სუფრასთან და დატოვეთ იმ იმედით, რომ ყველაფერს იღონებდით იმისათვის, რომ მათ თავიანთი ჭერი ჰქონოდათ“...

ვაუ, ისადილეთ და იქეიფეთ კიდეც? ამხელა საქველმოქმედო ფონდიდან ექვსი წარმომადგენელი ჩახვედით გაჭირვებულ რვასულიან ოჯახში ხელცარიელნი, ფოტოაპარატის ამარა, არ ჩაგიტანიათ ერთი შოკოლადიც კი ბავშვებისთვის და მათი საკვები შეხარით? ხრუშ, ხრუშ...

არა, უკაცრავად, ხელცარიელნი არ ჩასულხართ, კინაღამ დამავიწყდა, იმედი ჩაიტანეთ, სახლის ქონის, ცხოვრების გახალისების, უკეთესი მომავლის იმედი...

როცა პირველ სტატიას ვწერდი ბარაშვილების ოჯახზე, მაშინ ვთვლიდი, რომ გულგრილობის, უპასუხისმგებლობის, ადამიანურობის არქონის გამო დაუშვით ასეთი შეცდომა, მაგრამ, როცა ფონდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჩემი სტატიის ქვემოთ წერს, რომ კი ჰქონდა მაგ ოჯახს განაცხადი შემოტანილი, მაგრამ არ ჩავსულვართ სოფელში „იავნანას“ წარმომადგენლებიო - ეს უკვე აღარ არის გულგრილობა, ამას უკვე გამიზნულად ჩადენილი დანაშაულის სუნი ასდის... მე მესმის, კარგად მესმის, რომ კარგად დაპურებულმა შინაურმა, პატრონი უნდა დაიცვას, მაგრამ განა ამდენსაც რას გიხდით, პირველი ბანი?

რატომ ჩახვედით სოფელში? რატომ გადაიღეთ გასაყიდ კარ-მიდამოში ბავშვების ფოტოები? - ვისთვის უნდა გეჩვენებინათ? **როგორც იქ გითქვამთ, სახლის საყიდლად ფულის ნახევარს ბურჭულაძის ფონდი გადაიხდის და ნახევარი ერთმა ამერიკელმა მომღერალმა ქალმა უნდა გადმოგვირიცხოსო, იმას უნდა გადავუგზავნოთ საბუთებიო... და, რაო, იმ მომღერალმა ამერიკელმა, როცა ექვსი მშიერი ბავშვის ფოტო ნახა? რამდენი გადმოგირიცხათ და სად წავიდა ეს თანხა?** სად არის ფონდის ყოველწლიური ანგარიში, რომელსაც ასე დაჟინებით ითხოვს საზოგადოება, რომელზეც ამბობთ, რომ სადღაც დევს, მაგრამ არ გვეუბნებით, სად დევს?

სიამოვნებით ვნახავდი თქვენს ყოველწლიურ ანგარიშს, რომელიც კანონის თანახმად, საჯარო უნდა იყოს. ახლა, გაზეთის მეშვეობით მოგმართავთ და გთხოვთ, გადმომცეთ, გამომიგზავნოთ ეს ანგარიშები. შევისწავლი, შევადარებ იმ ოჯახთა მონაცემებს, რომელთაც დაეხმარეთ და მერე დავწერ - თუ იქ დასამალი არაფერია, თუ იქ საპოვნელი არაფერია, რისი გეშინიათ?

მას შემდეგ რაც გიორგი ბარაშვილის თანასოფლელმა დაგიწერათ კომენტარში: რას ამბობთ, როგორ არ ჩამოსულხართ, გვახსოვხართ სოფლის მახოვრებლებს, ჩვენი თვალით გიხილეთ, ჩვენი ყურით გისმინეთო, მას შემდეგ ხმა აღარ ამოგიღიათ... ხმა აღარ ამოგიღიათ ასე გახსნილად, თქვენი სახელით... მაგრამ, სასწრაფოდ და თქვენი აზრით, შეუმჩნევლად დაიწყეთ ოპერაცია „ზონდერი“...

23 ივნისს ისევ დაიდო ხუთი კომენტარი ჩვენი გაზეთის ფეისბუქ–გვერდზე. ხუთი სხვადასხვა ადამიანის კომენტარი... კომენტარები რომ ერთმანეთს ჰგავდა, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ... მაგრამ, პირველ რიგში, ყურადღება მივაქციე დროს: პირველი კომენტარი დაიდო 16.24 საათზე, მეორე 16.25-ზე, მესამე 16.27-ზე, მეოთხე 16.29-ზე და მეხუთე 16.31-ზე... დამთხვევაა? კარგი, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ეს ხუთი სხვადასხვა ადამიანის ფეისბუქ–გვერდიც ერთ დღესაა გაკეთებული? ამ ხუთიდან სამი ფეისბუქ–გვერდი დამზადებულია 18 ივნისს, დაახლოებით, 11-დადან 14 საათამდე, ხოლო ორი გვერდი 21 ივნისს ასევე დღის პირველ ნახევარში... მეგობრებადაც რომ ერთმანეთი ჰყავთ დამატებული ამ ხუთეულს, ერთ ნახვად მხოლოდ ეგ ღირდა... ძალიან მაინტერესებს და არ დამიმალოთ, ამ სპეც. ოპერაციისთვის რამე გადაგიხადეს? ნუ, რამე კუპიურის მსგავსი? თუ ქველმოქმედება იყო? არა, კი ჰგავს, მართლა ჰგავს, უფასოდ და შესაბამისად უნიჭოდ დადგმულ არის, მაგრამ მაინც... ანუ, რა გამოდის, ეს ხუთი ფეისბუქ–გვერდი იმისთვის დამზადდა, რომ ასე ლეკებივით შეეჭრათ ვინმეს (როგორც ჩვენ დაგვესხით თავს)? ანუ, შეიძლება, ამ გვერდების უკან სულაც ერთი ადამიანი იდგეს? ჩვეულებრივად, შევიდა ერთ გვერდში, დადო კომენტარი, შემდეგ მეორეთი დადო კომენტარი და ასე შემდეგ... ამიტომაცაა კომენტარებს შორის საათობრივი სხვაობა მხოლოდ ორი წუთი...

რაც შეეხება ამ ხუთი ფეისბუქ–გვერდიდან დადებულ კომენტარებს: შინაარსი ერთი იყო, ჩვენ ხმას ვაძლევთ პაატას (ვინ დაუშალათ, ნეტავი?), ბატონი პაატა ერთადერთი ღირსეული ადამიანიაო და ასე შემდეგ...

ცოტა მიკვირს, როგორ მოხდა, რომ ამ უაღრესად ღირსეულ ადამიანს პარტიის შექმნიდან ორ კვირაში პარტიიდან „გაექცა“ ირაკლი გურჩიანი („ტოიოტა ცენტრის“ დამფუძნებელი), რომელიც, როგორც ამბობენ, ბურჭულაძის პარტიული სიის მეორე ნომერი იყო.... ასევე ცოტა გაუგებარი იყო, როგორ მოახერხა ბურჭულაძემ ერთნახევარ კვირაში ნინო ნადირაძე-კუზანოვას განაწყენება, რომელიც პოლიტიკაში არასოდეს გარეულა აქამდე... და ამ ქალბატონმაც კი დაგიწუნათ სამომავლო გზა, ამ ქალბატონმაც კი უარგყოთ...



ბარაშვილების ოჯახი

არ ვიცი, საარჩევნოდ ბელადი ბურჭულაძე და მისი პაატისტები როგორ ზონდერებს მოგვიმზადებენ, რაზე არიან წამსვლელე გამარჯვებისთვის, უკეთ მოამზადებენ თუ არა „საშინაო დავალებებს“, ანუ ინტრიგებს, მაგრამ, არ მინდა დავუკარგო შრომა და უნდა აღვნიშნო, რომ ბურჭულძე ღირსეული პიონერია, ქართულ პოლიტიკაში ფეისბუქ-ზონდერებით ასე მაშტაბურად მოქმედება ნამდვილად ახალი სიტყვაა. გილოცავთ, ბატონო პაატა...

**თამუნა კეშელავა**
555 46 08 04



# მაია ნიკოლეიშვილი: მითხარით, მე რა ვქნა? ტყუილი ვთქვა და ფაქტები დავმალო?

2014 წლის 15 ივლისს საკუთარ მანქანაში ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობისგან გარდაცვლილი ეროსი კიწმარიშვილი იპოვეს.

პროკურატურა ეროსი კიწმარიშვილის დაღუპვის ფაქტს თვითმკვლელობად მიიჩნევს.

დამოუკიდებელი ექსპერტი-კრიმინალისტი, ქალბატონი **მაია ნიკოლეიშვილი**, რომელიც მიცვალებული კოწმარიშვილის ექსპერტიზის თანამონაწილე გახლდათ, ამბობს: გარდაცვლილის ოჯახმა რომ მომმართა, შევახსენე მათ, რომ დაზარალებული, დღევანდელი კანონმდებლობით, ფაქტობრივად, უუფლებოა. ძველი საპროცესო კოდექსით, თვითონ შეეძლო გამოეძიებინა დაზარალებულს საქმე. ასე იყო 2005 წლამდე, გია მეფარიშვილის პროკურორობის პერიოდში. მერე, ადეიშვილის დროს შეიცვალა ბევრი რამ, ანუ ძალიან ბევრი უფლება, პრაქტიკულად, წართმეული გვაქვს, საპროცესო კოდექსი ძალიან გვჩაგრავს დაზარალებულთან მუშაობისას.



საქმე ისაა, რომ საქართველოში თვითმკვლელობის დაჯერება ჭირისუფალს უჭირს.

— **ექსპერტიზის შედეგად თქვენ დარწმუნებით შეგიძლიათ თქვათ, რომ ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლა?**

— არა, ამას არ ვიტყვი არასოდეს. ეს სიტყვა ჩემი არ არის, ეს იურისტების სათქმელია. მე დარწმუნებით შემიძლია ვთქვა ის, რომ ვესწრებოდი კვლევას. დღეს მე თითქმის ყველა მედიასაშუალებასთან ვლაპარაკობ იმას, რასაც სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო უნდა ლაპარაკობდეს, არადა, ის დუმს.

საქმე ისაა, რომ ცეცხლსასროლით მიყენებული დაზიანება იყო თავის მიდამოში. თავისქალა იყო დამსხვრეული. თავისქალაც და სარქველიც. დამსხვრეული ძვლების შესაბამისად იყო სისხლჩაქცევები რბილ ქსოვილებში. რომ არ ყოფილიყო სისხლჩაქცევები, გამოვიდოდა, რომ მას ესროლეს. იქნებოდა დაზიანებები, მოტეხილობა, მაგრამ სისხლჩაქცევა არ იქნებოდა თავისქალაში.

ექსპერიმენტის შედეგად, რომელიც მთლიანად სისხლის კვლევებზე იყო აგებული, უფრო განმიმტკიცდა ვარაუდები.

სისხლის კვალი ჭარბად იყო მანქანაში, რადგან მჭიდროდ იყო განხორციელებული ჰერმეტიული მიბჯენა. ამ დროს სისხლი მეტი იღვრება. როცა მყარად არის მიბჯენილი ლულა, დიდი წნევის შედეგად ძვლები იმტვრევა და სისხლი გამოსავალს სადაც ნახულობს, იქედან იღვრება ჭარბად. ეს ჩანდა ჭრილობის შესავალ ხვრელთან და გამოსავალთანაც.

ექპერიმენტისას ვვარაუდობდით, შეიძლებოდა თუ არა მის გვერდით ვინმე მჯდარიყო.

იქ რომ ვინმე ყოფილიყო, სისხლის შხეფები მარჯვენა მხარეს არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა, იმის სხეულზე დარჩებოდა, ვინც გარდაცვლილს გვერდით ეჯდა. იგივე ექსპერიმენტი ჩავატარეთ მანქანის ყველა სავარძელზე. დამტკიცდა, რომ თუ მანქანაში მის გარდა იჯდებოდა ვინმე სხვა, სისხლის განფენილობა იმ ტრაექტორიით, როგორადაც იყო მანქანაში, არ იქნებოდა.



— **კიწმარიშვილის ძმას ბევრი კითხვის ნიშნები აქვს როგორც გამოძიებასთან, ისევე ექსპერტიზასთან.**

— არ მგონია, რაიმე პრეტენზია ჰქონდეს ექსპერტიზასთან. გამოძიებაზე მე ვერ ვილაპარაკებ.

ბატონმა ზურაბ კიწმარიშვილმა ექსპერიმენტისას სხვადასხვა ვერსიები შემოგვთავაზა: თითქოს იჯდა გვერდულად, ფეხი არაბუნებრივ მდგომარეობაში ედო და ა.შ. მე ვუთხარი კიდევაც, ეს არაჩვეულებრივ მდგომარეობაში ყოფნა და ა. შ. რეალობაში, არის მკითხაობა. მე ვლაპარაკობ იმაზე, რაც ჩანს და რაც შეიძლებოდა მომხდარი ფაქტიდან დარჩენილიყო.

თუ კვალი არ არის, მე როგორ უნდა ვივარაუდო? სასამართლო მედიცინა ვარაუდებით ვერ იმსჯელებს. რაიმე ეჭვებზე და ვარაუდებზე თუ ვილაპარაკებთ, შემთხვევის ადგილზე ნივთმტკიცება ან ნივთმტკიცების რაიმე სახის ნაშთი მაინც უნდა აღმოჩენილიყო, მაგრამ თუ არსებობს იარაღი, სისხლი და ახლომახლო არავითარი კვალი, რაზე უნდა იმსჯელოს გამოძიებამ?!

ყველაფერი ეს მიწერია დასკვნაში, რომელიც ერთი წლის ვინ დავდეთ მე და ზაზა ალთუნაშვილმა.

ვერასოდეს ვიკადრებ დაზარალებულის მოტყუებას. არ მივცემ ტყუილ იმედს და როცა ვხედავ. რომ ჩემი მხრიდან ამოიწურა ყველაფერი, მყოფნის სითამამე და ვამბობ იმას, რისი თქმის უფლებას და საშუალებას მაძლევს ექსპერტ-კრიმინალისტიკა.

— **მაგრამ თქვენ ამბობთ, რომ კიწმარიშვილს შეიძლებოდა თავი მოეკლა 320 000 დოლარი ვალისთვის.**

— გასაგებია, მაგრამ თუ ასეა, რატომ არ მიმდინარეობს ალტერნატიული გამოძიება?

ოჯახის წევრებმა ხომ იციან, რა ხდებოდა.

ამასწინათ ერთმა გოგონამ ჩამოიხრჩო თავი. დედამისი ამბობდა, რომ ის ბოლო ხანებში ძალიან ჩაკეტილი იყო, უხასიათო, უხალისო. ჰქონდა პრობლემები მეუღლესთან და დედა ეჭვობდა, ქმარმა ხომ არ მოკლაო, ანუ მოტივი არსებობს. ოჯახის წევრმა რაღაც იცის, რაღაც თქვა, რაღაცას ამბობს.



კიწმარიშვილის შემთხვევაში არავინ ინფორმაციას არ იძლევა. არსად არაფერი არ თქმულა. ვსაუბრობთ მხოლოდ ჩვენ, საზოგადოება.

დავუშვათ, ეროსი კიწმარიშვილი ვინმემ მიიყვანა თვითმკვლელობამდე. მაგრამ მოტივი სად არის. თქვას ეს ვინმემ, ოჯახის წევრმა, ახლობელმა, მეგობარმა, რომ იყო თვითმკვლელობის მოტივაცია. არავინ ამას არ ამბობს. მე მოვისმინე მისი ერთი მეგობრის გამოსვლა ტელეკომპანია „კავკასიაზე“, რომელმაც თქვა, რომ ეროსი იყო სერიოზული ზეწოლის ქვეშ და არ გამოკვირდებოდა, თავი მოეკლაო.

ზემოთაც ვთქვი, სადაც კვალი მთავრდება, იქ ექსპერტიზის ფუნქციაც სრულდება.

ვთქვათ, მოკლეს. კარგით, მაგრამ თუნდაც ერთი დამაჯერებელი მოტივი გვითხრას ვინმემ, რატომ შეიძლებოდა მოეკლათ კიწმარიშვილი. ახლა ამბობენ, არ იზამდა, სამწუხაროდ, ასე არ არის, საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი იკლავს თავს და მიზეზი არავინ იცის.

მითხარით, მე რა ვქნა? ტყუილი ვთქვა და ფაქტები დავმალო? ვიღაცამ, ვინც იცის რაიმე, უნდა ადგეს და თქვას ხმამაღლა. სხვანაირად არ ვიცი, რა უნდა გააკეთოს ან სასამართლომ, ან პროკურატურამ ან სხვა ვინმემ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „წითელი მისტიკა“

გასული საუკუნის დასაწყისში ბოლშევიკებმა მიზნად დაისახეს ახალი სამყაროს, პრინციპულად ახალი და არნახული ადამიანის, უკვდავი ადამიანის შექმნა.

სულის უკვდავების იდეის უარყოფამ გააჩინა აზრი სხეულის უკვდავების შესახებ.

ბოლშევიკების ელიტამ სერიოზულად დაიწყო ფიქრი გაახალგაზრდავების საკითხზე. საბჭოთა სპეცსამსახურები უყურადღებოდ არ სტოვებდნენ არც მეცნიერებას და არც მისტიკას. რიგი გასაიდმლოებული სამსახურებისა შეუჩერებლად იკვლევდნენ პარანორმალურ, ოკულტურ, ეზოთერულ და სხვა დაფარული ცოდნის მიმდინარეობებს. აწყობდნენ ექსპედიციებს, ატარებდნენ ექსპერიმენტებს.

აქ განსაკუთრებით გამოირჩევა ვჩკ-ოგპუს განსაკუთრებული განყოფილების უფროსი გლებ ბოკიი რომელიც ახალგაზრდობაში გატაცებული იყო მარტინისტთა ორდენის მისტიკური მოძღვრებით.

ბოკიიმ თანამშრომლობისთვის მიიზიდა მარტინისტი ალექსანდრ ბარჩენკო და მისი "ერთიანი შრომითი ძმობა" რომელშიც იყო მრავალი მსხვილი ეზოტერიკოსი, მაგალითად რერიხები.

ძმობა მიზნად ისახავდა ჰიპნოკრატიული და ადამიანის ცნობიერების მთლიანად მაკონტროლებელი საზოგადოების შექმნას.

ჰიპნოკრატია ვრცლად დაასაბუთეს რერიხების მიმდევრებმა.

ლაბორატორიაში ყოველთვის იყო ძალიან ბევრი საკმაოდ ორიგინალური ადამიანი-ექსტრასენსები, ჯადოქრები, მოგვები, შამანები და ა. შ.

ყველა ემსახურებოდა საბჭოთა ხელისუფლებას.

ბარჩენკო ლექციებს უკითხავდა სპეცსამსახურების თანამშრომლებს და მის მოსასმენად ზოგჯერ მიდიოდნენ ყოვლისშემძლე ცკს წევრებიც (მოსკვინი, დიმანშტეინი და სხვ. )

დიახაც სკვითები ვართ!---

ამ წითელმა მისტიკამ მეცნიერთა გარდა გაიტაცა კულტურის მრავალი მოღვაწეც.

ოქტომბრის ეიფორიამ გააჩინა "სკვითობის" მიმდინარეობა რომლის მონაწილეებიც დარწმუნებულები იყვნენ პროლეტარული რევოლუციის რელიგიურ ხასიათში.

სკვითობის იდეოლოგიაში ჩანს როგორც ქრისტიანული ისე წარმართული მოტივები და ჰერმეტიზმის გარკვეული გავლენა. ასე მაგალითად კლიუევის ლექსებში არის ნამდვილად ალქიმიური სიმბოლიზმი. ციკლში „ლენინი“ 1918-1019-ის „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს“ აიგივებს წითელ ლომთან, ალქიმიური მუშაობის უმნიშვნელოვანეს სიმბოლოსთან. რევოლუცია ციკლში შედარებულია ქორწინებასთან.

წითელი მისტიციზმის თემა უზარმაზარი თემაა. ჯერ-ჯერობით ის ნამდვილად სერიოზულად არავის გამოუკვლევია. ამასობაში აქაა ინფორმაციის უზომო რაოდენობა და მის გარეშე შეუძლებელია ბოლშევიკური რევოლუციის ფენომენის გაგება.

ნკვდს და საბჭოეთის მთავარი ოკულტისტი.

რევოლუციონერი, „სახელმწიფო მოღვაწე“გლებ ივანოვიჩ ბოკიი, 1879- თბილისში მასწავლებლის ოჯახში დაიბადა. ბოლშევიკთა პარტიაში შევიდა 1900 წელს. მონაწილეობა მიიღო 1905 წლის და ოქტომბრის რევოლუციებში.




1918 წელს პეტროგრადის ჩეკას თავმდომარის მოადგილე ბოკიი, ურიცკის მკვლელობის შემდეგ ამ ჩეკას თავმჯდომარე გახდა. 1919 წლიდან ის იყო აღმოსავლეთის და თურქესტანის ფრონტების განსაკუთრებული განყოფილების უფროსი. 1921 წლიდან იყო ოგპუს საგანგებო დაშიფრვის განყოფილების უფროსი. , 1936 წლიდან მე-9 საგანგებო-დაშიფრვის განყოფილების უფროსი. დახვრიტეს. 1956 წელს მოხდა მისი რეაბილიტაცია.

გლებ ბოკიი არ ყოფილა დაკავებული მარტო დაშიფრვა-გაშიფრვით. ის იყო ძერჟინსკის საყვარელი ყოვლისშემძლე ჩეკისტი.

ბოკიიმ საგანგებო განყოფილებასთან შექმნა ლაბორატორია რომლებიც იკვლევდა გამარჯვებული პროლეტარიატისთვის სრულებით უცნობ პრობლემებს. იქ ტელეპატიის ცდებს ატარებდა ტვინის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ბეხტერევი.

ბოკიის ლაბორატორიაში იყვნენ სულ სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერები. ისინი იკვლევდნენ ბევრ რამეს-შპიონაჟის საშუალებათა გამოგონებიდან მზის აქტივობის და მიწიერი მაგნეტიზმის საკითხებამდე. ტარდებოდა ექსპედიციები.

იქ სწავლობდნენ ყველაფერს-ოკულტიზმიდან თოვლის კაცამდე.

ბოკიი ერთდროულად იყო ჩეკისტიც და მისტიკოსიც. ის ნაზიარები იყო საიდუმლო ლოჟებში.

ის იდგა წითელი ტერორის სათავეებთან და ბოლოს და ბოლოს იქცა სტალინურ რეპრესიათა მსხვერპლად.

მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა „ნკვდს“ საიდუმლო განყოფილებას რომელიც დაკავებული იყო ბოლშევიზმისთვის თითქოს სრულებით უცხო ამბებით.

გლებ ბოკიის წინაპრები ეკუთვნოდნენ უკვე ივანე მრისხანის დროიდან ცნობილ ძველ არისტოკრატიულ გვარს. მომავალი ჩეკისტის მამამ, ნამდვილმა „სტატსკი სოვეტნიკმა“ ივან დმიტრიევიჩ ბოკიიმ, სახელი გაითქვა იმით რომ დაწერა სახელმძღვანელო „ქიმიის საფუძვლები".

1898 წელს გლები გახდა "მუშათა კლასის განთავისუფლებისთვის ბრძოლის კავშირის", ხოლო შემდეგ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრი

გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში, დააპატიმრეს შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობის გამო. ის 12-ჯერ იყო დაჭერილი, გადასახლების და კამერაში მარტო 1, 5 წლის გატარების ჩათვლით.

პიტერის ბოლშევიკური იატაკქვეშეთის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, კონსპირაციის ოსტატი ბოკიი დიდად გამოსადეგი იყო ჩეკაში მუშაობისთვის. მან შეარჩია „ვჩკს“ და „კგბს“ სახელგანთქმული შენობა ლუბიანკას მოედანზე.




მან ჩაიფიქრა სახელგანთქმული ოპერაცია "სინდიკატი" რომლის მიზანიც იყო თეთრგვარდიული იატაკქვეშეთის მოსპობა საბჭოთა კავშირის გარეთ და შიგნით.

მაგრამ ბოლშევიკი ლიდერისთვის ამ ტიპიური ცხოვრების უკან იმალებოდა სულ სხვა ცხოვრება.

რევოლუციონერ-იატაკქვეშელი, ბოევიკი და ჩეკისტი გატაცებული იყო ყველანაირი ეზოტერული მოძღვრებებით, იყო საიდუმლო სექტების წევრი, დაკავებული იყო ოკულტური პრაქტიკით.

მარტინისტებისგან და როზენკრაიცერების სახელგანთქმული ორდენისგან ბოკიიმ ისწავლა დაშიფრვის არაჩვეულებრივი მეთოდები. მისი დაშიფრული ცნობები საგონებელში აგდებდნენ მეფის ოხრანკას. კრიპტოგრაფიის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერი ბოკიი დაშიფვრის სამსახურის უფროსად რჩებოდა მის დაპატიმრებამდე.

ძერჟინსკის ფავორიტმა ყოვლისშემძლე ჩეკისტმა ბოკიიმ საგანგებო განყოფილებასთან შექმნა ლაბორატორია რომელიც იკვლევდა გამარჯვებული პროლეტარიატისთვის არნახულ და გაუგონარ რამეებს. იქ ტელეპატიურ ცდებს ატარებდა ტვინის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ბეხტერევი.

ბოკიის ლაბორატორიაში იყვნენ სულ სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერები. ისინი იგონებდნენ ჯაშუშობის ახალ საშუალებებს, იკვლევდნენ მზის აქტივობას, დედამიწის მაგნეტიზმს, ოკულტურ მეცნიერებებს, თოვლის ადამიანის საკითხს, ატარებდნენ ექსპედიციებს.

ბოკიის სამსახური ითვლებოდა „ვჩკში, “ მაგრამ ძერჟინსკის შემდეგ ექვემდებარებოდა მხოლოდ პირადად სტალინს... .

თავისი თანამშრომელი ანატოლი ბარჩენკოსგან ბოკიიმ ერთხელ გაიგო ლეგენდა კაცობრიობის საიდუმლო ისტორიის შესახებ.

ბარჩენკოს მტკიცებით არიან ძალები რომელთაც შეუძლიათ კაცობრიობის ხსნა. აზიის სიღრმეში არის საიდუმლო ქვეყანა შამბალა, რომელშიც ცხოვრობენ რამას თანამედროვეები, უკვდავი ბრძენკაცები. შამბალაში გამოქვაბულებში არის ლაბორატორიები სადაც ინახება და ვითარდება სანახევროდ დავიწყებულ ძველ ცივილიზაციათა მეცნიერული მიღწევები. ამ ცოდნის მოპოვება ნიშნავს სამყაროს ყველა საიდუმლოს გახსნას, ყოვლისშემძლეობის მოპოვებას.

ბოკიი იმდენად გაიტაცა ბარჩენკოს იდეებმა რომ ის გახდა საიდუმლო საზოგადოება ერთიანი შრომითი ძმობის „Единого трудового братства“ (ЕТБ) წევრი. გლებ ივანოვიჩის და მისი ხელქვეითების გარდა ამ ძმობაში შევიდნენ სტალინის მეგობარი, ცეკას წევრი ი. მოსკვინი, საგა-



გლებ ბოკიი

რეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ბ. სტომონიაკოვი (ის ხელმძღვანელობდა საგარეოპოლიტიკურ ხაზს მონღოლეთი-სინცზიანი-ტიბეტი).

მათი კურთხევით ჰიმალაებში მზვერავად გააგზავნეს ჩეკისტი-ტერორისტი იაკოვ ბლიუმკინი რომელმაც მლოცველი ბუდისტის სახით შეაღწია დახურული მონასტრების წმიდათა წმიდაში.

მაგრამ ბოკიის ჩეკისტი კონკურენტები არ სთვლემდნენ და მას ხაფანგი დაუგეს. ბლიუმკინი დახვრიტეს პირველი. და არა მისტიკური განწყობებისთვის თუ ოკულტიზმისთვის, მას ბრალად დასდეს საიდუმლოდ შეხვედრა საზღვარგარეთ მცხოვრებ ტროცკისთან. შემდეგ ხელი სტაცეს ყველას-ბარჩენკოს, სტომონიაკოვს, მოსკვინს. ყველაზე ბოლოს, 1937 წელს, ხელი სტაცეს და არ გაუშვეს ჩეკისტურ ფორმაში გამოპრანჭულ მისტიკოს ბოკიის...

60 წლიანი გრიფის ახსნის შემდგომ, გლებ ივანოვიჩ ბოკიი (1879-1937) ბიოგრაფია ასე გამოიყურება...

დაიბადა ტფილისში, მასწავლებლის ოჯახში. სწავლობდა პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში, მონაწილეობდა სტუდენტურ მოძრაობაში, მიშაობდა პეტერბურგის ორგანიზაციაში "კავშირი მუშათა კლასის განთავისუფლებისთვის". იყო პარტიის პეტერბურგის კომიტეტის წევრი. 1905-1907 წლების რევოლუციის მონაწილე პეტერბურგში.

1917 წლამდე სისხლის სამართლის დამნაშავე-რეციდივისტი. 12-ჯერ ნასამართლევი. მკვლელობისა და შეიარაღებული ყაჩაღობისთვის იჯდა პეტრე-პავლეს ციხეში.

1900 წლიდან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა მან შექმნა ბანკების მძარცველთა შეიარაღებული ბანდა. გახდა ბოლშევიკი.

ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ მუშაობს ჩეკაში, წითელი ტერორის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ჩრდილოეთ რუსეთში აწყობს საკონცენტრაციო ბანაკების სისტემას. „ოგპუში" ხელმძღვანელობს დაშიფრვა-გაშიფრვის და მთავრობის კავშირის უზრუნველყოფის განყოფილებას.

ფარულად პასუხს აგებდა აგრეთვე შხამების და ძლიერი მოქმედების სამედიცინო პრეპარატების შემქმნელი ლაბორატორიების შექმნაზე.

ამ პრეპარატებით უნდა ემოქმედათ დაპატიმრებულთა ცნობიერებაზე ან თავიდან მოეშორებინათ ბოლშევიკებისთვის არასასურველი პირები.

1929 წლიდან იყო სოლოვეცკის ბანაკების კურატორი. 1934 წლიდან პარალელურად იყო „ნკვდს" სხვადასხვა სამეულთა წევრი. პირადათ ბოკისაც გამოჰქონდა განაჩენები გასამართლების გარეშე. მოწმეები ყვებიან რომ ბოკიი აუპატიურებდა პატიმარ ქალებს და დაკითხვებზე გამოირჩეოდა სადიზმით.

ამასთან ჩეკისტი ბოკიი გატაცებული იყო პარანორმალური მოვლენებით. მას სჯეროდა შამბალას არსებობისა და სპირიტიზმისა. ოგპუს ხელმძღვანელობის თანხმობით მან შექმნა საიდუმლო განყოფილება სადაც ატარებდა გამოკვლევებს ამ სფეროში (ტელეპატია, ნათელხილვა და სხვ.)

ჩეკისტი ბოკიი პირადად იცნობდა მის თანამედროვე მრავალ მისტიკოსს, მაგ. ნიკილაი რერიხს, პაველ ბადმაევს, გურჯიევს.

ჩეკისტი ბოკიი კონტაქტებს ამყარებდა საბჭოთა კავშირში აკრძალულ მასონურ ლოჟებთან და ანალოგიურ ორგანიზაციებთან საზღვარგარეთ.

ჩეკისტმა ბოკიიმ თანამოაზრეებთან ერთად კონტაქტები



ფელიქს დერჟინსკი

დაამყარა ზოგ გერმანულ საიდუმლო ორგანიზაციასთან, მაგალითად „გერმანენორდენთან" და კ. ჰაუსჰოფერის ჯგუფთან. არსებობს ვერსია რომ საბჭოთა სპეცსამსახურებმა სწორედ მაშინ იპოვეს თავისი ხალხი ჰიტლერის გარემოცვაში.

ბოკიის ორგანიზაციამ იარსება 1937 წლამდე.

ამბობდნენ ბოკიის უთქვამს „ვინაა ჩემთვის სტალინი როცა მე ლენინმა დამნიშნა?" და ის სწორედ ამიტომ დახვრიტეს.

ბოლშევიკების წევრების ცხოვრების და „მოღვაწეობის" ისტორია, რომელიც არცთუ დიდიხანია ცნობილი გახდა საზოგადოებისთვის, ოკულტიზმთან მიმართებაში მავანთათვის ღიმილისმომგვრელია. არადა სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დასაბამიდან დღემდე, ოკულტიზმზე იდგა და დგას ყველა იმპერია...

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# „იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე..."

საქართველოში დასაქმებულთა უმრავლესობა ზოგიერთი ან ინდმეწარმედ არის დარეგისტრირებული, ან კიდევ მცირე ბიზნესის მფლობელია. თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ უმეტესობა მათგანი, სავარაუდოდ, 60-70 პროცენტი ვაჭრობით არის დაკავებული. ნურავინ ჩაგვითვლის, რომ ვაჭრობის წინააღმდეგები ვიყოთ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო.



ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის, თბილისის გეოგრაფიას რომ გადავხედოთ, ვერ მოძებნით უბანს, სადაც დიდი ბაზრობა თუ არა მცირე მაინც არ იყოს. ქვეყანაში არ მეგულება ადამიანი, რომელიც თბილისში არსებული ბაზრობების რაოდენობას დაგვისახელებს. არ დაგვავიწყდეს, რომ ბაზრობების გარდა, თბილისში დიდი თუ მცირე მაღაზიები, უკაცრავად, „მარკეტები", როგორც დღეს ვეძახით ვილაცების წამბაძველობით, უამრავია. ზოგიერთს „ჰიპერმარკეტს" უწოდებენ, ზოგიერთს – „სუპერმარკეტს". თუმცა ჩემთვის დღემდე გაუგებარია, რა განსხვავებაა მათ შორის, როდესაც ყველგან ერთი და იგივე საქონელი იყიდება. არა, უკაცრავად, განსხვავება ფასებშია, ისიც, უბნების მიხედვით. რაც უფრო პრესტიჟულ უბანში მდებარეობს მაღაზია (შემდგომშიც ასე მოვიხსენიებთ ე. წ. „მარკეტებს), მით უფრო მაღალია ფასები.

ყოველივე ეს კარგად იცის თბილისის მოსახლეობამ. ამიტომაც უმრავლესობა სავაჭროდ ბაზრებში მიდის. განსაკუთრებით ხილ-ბოსტნეულის შესაძენად. გამოდის, ბაზრები საჭირო ყოფილაო, შემოგვედავებიან ოპონენტები და მართლებიც იქნებიან. ჩვენი მხრივ, დავამატებთ, რომ აუცილებელია, ქალაქში ბაზარიც ფუნქციონირებდეს და მაღაზიებიც. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელია ზომიერების დაცვა, წესრიგი და არა ქუჩაში ქაოტური ყიდვა-გაყიდვა.

დიახ, ვაჭრობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია განვითარებული. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ არა ისეთი მახინჯი ფორმით, როგორც ჩვენთან არის. როგორ შეიძლება ერთი და იგივე დასახელების საქონელს სხვადასხვა მაღაზიაში განსხვავებული ფასები ჰქონდეს, როდესაც თითქმის ყველა ერთი და იგივე დისტრიბუტორისგან იღებს. პროდუქციის ხარისხზე, შენახვის პირობებზე და ვადებზე, ამჯერად, არაფერს ვამბობთ. თუმცა სათქმელია, რომ დარღვევები ამ მხრივ, სამწუხაროდ, ხშირია. მოკლედ, ლამაზად გაფორმებული თაროების მიღმა ბევრი განუკითხაობა და საიდუმლოა.

თბილისის კი არა, ვგონებ, საქართველოს ბაზრებში სანთლით არის საძებნელი ადამიანი, გლეხი კაცი, რომელიც თავის საკუთარ პროდუქციას ჰყიდის. ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველ გლეხს ბაზრიდან ფეხი ამოუკვეთეს სხვადასხვა გზებით. აქვე ისიც სათქმელია, რომ მიწაზე მომუშავენიც ცოტა ვინმე თუ დარჩა. სამწუხარო რეალობაა.

ჩვენთან ხშირად ისმის კრიტიკა ხელისუფლების მიმართ, ქვეყანაში ეკონომიკა არ ვითარდებაო. მთავრობის მიმართ სასაყვედურო ბევრია, მაგრამ მოდით, სხვა მხრივაც შევხედოთ არსებულ ვითარებას. სოფლის მეურნეობა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისთვის ერთ-ერთი მთავარი ღერძი რომ არის, არახალია. ამას აღიარებენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომისტები. ამიტომაც იყო, რომ ახალმა ხელისუფლებამ 2013 წლის გაზაფხულიდან უფასოდ მოუხნა მოსახლეობას სავარგულები. ამის გარდა, აამუშავა პროგრამა სოფლის მეურნეობის დასახმარებლად.

საკითხავია, ვინ უნდა ააღორძინოს სოფლის მეურნეობა, როდესაც სოფლები დაცარიელებულია. გაჭირვების გამო ტოვებენ მშობლიურ კერასო, ხშირად გვსმენია მსგავსი არგუმენტები. სოფლად ცხოვრება იოლი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ჩვენი წინაპრები არსად გაქცეულან. დაცარიელებული სოფლების შედეგად მივიღეთ ის, რომ ჩვენთან უკრაინული ვაშლი, თურქული პომიროდი შემოგვაქვს მაშინ, როდესაც პირიქით, ჩვენ უნდა გაგვქონდეს უცხოეთში.



იოლი ფულის ძიებაში ქვეყნის ეკონომიკას ისევ ჩვენ, საქართველოს მოსახლეობა ვაზიანებთ. უდიდესი სიმდიდრის პატრონებს გაჭირვებაში ყოფნა არ გვეკადრება. სწორედ იოლი ფულის შოვნის სურვილია სხვისი, გადამთიელის პროდუქციით ვაჭრობა. ამით, ფაქტობრივად, ქვეყანა ღარიბდება, რადგან ამოღებული თანხა უცხოეთში გაედინება. ესეც ერთ-ერთი მიზეზი ლარის გაუფასურებისა.

ქვეყანაში თუ არ დავიწყეთ პროდუქციის წარმოება, მუდამ გაჭირვებაში ვიქნებით. იმის ნაცვლად, რომ ავაღორძინოთ თუნდაც მსუბუქი მრეწველობა, გვირჩევნია უცხოეთიდან შემოვიტანოთ უხარისხო, მაგრამ იაფი საქონელი. საქართველოში თუ ვინმეს აქვს შესაძლებლობა, მცირე საწარმოს ნაცვლად მაღაზიას ხსნის. რატომ გვირჩევნია ჩვენს ხარჯზე გადამთიელების გამდიდრება, გაუგებარია.

რესურსები საქართველოში, საბედნიეროდ, უამრავია. ამას კი გამოყენება სჭირდება. სოფლად გამოკეტილი სახლების თუნდაც ნახევარი რომ ახმიანდეს, სავარაუდოდ, ეკონომიკური სიდუხჭირის დაძლევასაც შევძლებთ. მხოლოდ კანონების წერით და დირექტივების გადმოცემით არაფერი გამოვა თუ ჩვენ, საქართველოს მოსახლეობამაც ფხა არ გამოვიჩინეთ. მხოლოდ ვაჭრობით, კაზინო-სამორინეების გახსნით, ქვეყნის ეკონომიკა ვერ აღორძინდება.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# არსებობენ თუ არა სიკვდილის რეჟისორები, რომლებიც გაუხსნელ მკვლელობებს „დგამენ“?



პროკურატურამ ეროსი კიწმარიშვილის სიკვდილი თვითმკვლელობად გამოაცხადა და თვითმკვლელობამდე მიყვანის ბრალდებით აღძრული სს-ის საქმე შეწყვიტა. გარდაცვლილის ოჯახი, მათი ინტერესების დამცველი ადვოკატი და საზოგადოების ნაწილი ოფიციალურ ვერსიას არ ეთანხმებიან. ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით, თავის დროზე „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნდა სტატია, სადაც პროფესიონალი სამართალდამცავები ეჭვს გამოთქვამდნენ თვითმკვლელობის ვერსიაზე და აცხადებდნენ, რომ ეს საქმე, ისევე როგორც პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და ქვემო ქართლის გუბერნატორის რაულ იუსუფოვის გარდაცვალების საქმე, რომელიც ნაცხელისუფლებამ უბედურ შემთხვევად შემოგვასაღა, ბოლომდე არ გაიხსნებოდა.

ზურაბ ჟვანიასა და რაულ იუსუფოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, „საერთო გაზეთს“ ის პროფესიონალი პოლიციელები ესაუბრებოდნენ, რომლებიც ამ ტრაგედიის დროს ჯერ კიდევ მუშაობდნენ სამართალდამცავ სტრუქტურაში. მათი განცხადებით, პრემიერ-მინისტრი და რაულ იუსუფოვი სხვაგან მოკლეს და მათი ცხედრები მერე მიიტანეს საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ საბურთალოს ქუჩას, რატომღაც მალევე შეუცვალეს სახელი. რესპოდენტები ერთხმად აცხადებდნენ, რომ ზურაბ ჟვანია პოლიტიკაში მის მიერვე მოყვანილმა ხალხმა მოიშორა. მეორე დღესვე ლაპარობდა შსს-ს მთელი აპარატი, რომ ჟვანია „შავნაბადაზე“ მოკლეს, შეკამათების დროს მიხეილ სააკაშვილმა მძიმე საფერფლე ესროლა თავში პრემიერს, რომელიც მას თავში მოხვდა და მოკლა. ინტერნეტსივრცეში გავრცელებულმა კადრებმა, რომელზეც პრემიერი და იუსუფოვი იყვნენ აღბეჭდილნი, ვფიქრობთ, საზოგადოების უდიდესი ნაწილი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ პრემიერი გაზით არ გაგუდულა. სხვათა შორის, სანდო წყარომ წლების წინ ისიც მითხრა, ზურაბ ჟვანიას ცხედარი დიდუბის პანთეონში აღარ განისვენებს, ორმოცის გასვლის შემდეგ მოიპარეს და გადამალესო.

ე.წ. რეფორმატორები ხელისუფლების სათავეში მოსვლამდეც დიდ ფულს შოულობდნენ, საიდუმლოს არ წარმოადგენს. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მათ ხელ-ფეხი უფრო მეტად გაეხსნათ. წყაროს ინფორმაციით, პრემიერი ჟვანია იმიტომ მოიშორეს, რომ არ იყო იმ სიბინძურეებზე წამსვლელი, რასაც სააკაშვილის გუნდი კადრულობდა. ეს მკვლელობა მარტო იარაღის კონტრაბანდას კი არა, ნარკობიზნესსაც უკავშირდება, რადგან ეს „ბიზნესები“ ერთმანეთისგან განუყოფელია, თუმცა ნარკობიზნესმა უკვე გადაწონა კიდეც იარაღით ვაჭრობა. 2008 წლის ომამდე, ვითომდა საქართველოს თავდაცვის უნარიანობის ამაღლების მიზნით, ნაცრეჟიმმა ათი მილიარდი დოლარი დახარჯა და მერე თითქოს ეს არსენალი რუსებმა წაიღეს. ცრუპენტელა ნაცხელისუფლებას როგორ უნდა ვენდოთ, რომ ყველაფერი რუსებმა წაიღეს და სინამდვილეში თვითონ არ გაუშვეს რეალიზაციაშიო. შეგახსენებთ, რომ იმ პერიოდში პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე „ცნობილი ინტელიგენტი“ ნიკა რურუა გახლდათ, ხოლო თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, რაც შეეხება ვასილიჩ თარგამაძეს მისი „დამსახურება“, კიდევ ცალკე თემაა. „შავნაბადაზე“ მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევამდეც ყოფილა რამდენიმე „რაზბორკა“ სააკაშვილსა და ჟვანიას შორის. აბა, პრეზიდენტს ვინ დაიჭერდა, მით უმეტეს ფრიად გავლენიანი მფარველების „პატრონს“, ამიტომაც დადგეს სპექტაკლი, რომ მკვლელობა უბედურ შემთხვევად გაესაღებინათ, იუსუფოვიც სპეციალურად „მიაკერეს“ ამ საქმეს, რომ ხალხი ოფიციალური ვერსიის „რეალობაში“ დაერწმუნებინათო. რესპოდენტებს ხსენებული კადრების ავთენტურობაში ეჭვი არ ეპარებოდათ, უბრალოდ ის უნდა გაირკვეს ვინ გადაიღო და გამოაქვეყნა. გავრცელებულ ინფორმაციის რეალურობას, რომ ეს კადრები ლევან სამხარაულმა გადაიღო, წყარო არ გამორიცხავდა, მით უმეტეს, რომ საზოგადოებაში დიდი ხანია მუსირებს აზრი, რომ ლევან სამხარაული ჟვანია-იუსუფოვის მკვლელობის საქმეს შეეწირა. მოგეხსენებათ, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. ამერიკელი ექსპერტების დასკვნის მიხედვით, რომ პრემიერისა და რაულ უსუპოვის სისხლში არ იყო იმ რაოდენობის მხუთავი გაზი, რომ მას სიკვდილი გამოეწვია, თუმცა ნაციონალები ჯიუტად „აწვებოდნენ“ და დღესაც „აწვებიან“ პირველ ჩვენებას, პრემიერი გაზით გაიგუდა, რაც არც აშშ-ის ხელისუფლებას უარყვია. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ ამერიკელებს სიკვდილის რეალური მიზეზის გამოაშკარავება არ სურდათ, მაშინ ეს დასკვნა რატომღა დაიდო? აშკარაა, რაღაც დიდ პოლიტიკურ თამაშთან გვაქვს საქმე. წლების წინ სანდო წყარომ ინფორმაცია მოგვაწოდა, რომ პრემიერის საფლავთან ორმოცის გასვლამდე დაცვა იდგა (ეს ინფორმაცია მერე სხვა მედიასაშუალებებმაც გაავრცელეს), რაც იმით ახსნა, რომ ნაცხელისუფლებას ეშინოდა, რუსეთის სპეცსამსახურებს ჟვანიას ცხედარის ფარული ექსგუმაცია არ მოეხდინათ, სიკვდილის რეალური მიზეზის დასადგენად. ეს ვერსია, რომ მთლად უსაფუძვლო არ იყო, ის გარემოებაც ადასტურებდა, რომ მაშინ ხმები დადიოდა თითქოს ზურაბ ჟვანია რუსებმა მოიშორეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინფორმაცია მოგვაწოდეს, რომ თითქოს ორმოცის გასვლის შემდეგ ჟვანიას ცხედარი ნაცხელისუფლებამ იმ მოტივით გადამალა, რომ შიშობდნენ, ექსგუმაციის საკითხი ოდესმე მაინც დადგებოდა. ადრეც ვამბობდით და გავიმეორებთ, რომ ამ ვერსიების სიზუსტეზე თავს ვერ დავდებთ, უბრალოდ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია მივაწოდეთ საზოგადოებას. ახლახანს ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა სილვერმანმაც განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში, რომ დიდუბის პანთეონში ზურაბ ჟვანიას საფლავი ცარიელია.

ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით, რამდენიმე კომპეტენტურ წყაროსთან გვქონდა საუბარი, ერთ-ერთის განცხადებით პრემიერ-მინისტრი სავარაუდოდ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს, მას ნატყვიარი თავის არეში ჰქონდა, ექსპერტიზა გაუქმებულ პროზექტურაში იმიტომ ჩაატარეს და პროცესიც იმიტომ იყო ხანგრძლივი, რომ დაზიანებების კვალის წაეშალათ, რისთვისაც ჟვანიას ცხედარს ერთმა ცნობილმა პლასტიკურმა ქირურგმა შესაბამისი პროცედურები ჩაუტარა და ნატყვიარიც პარაფინით ამოავსოო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რესპოდენტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს საქმე ბოლომდე არ გაიხსნებოდა, ანუ არ დაისჯებოდნენ რეალური დამნაშავეები, რადგან გარე ძალები არ დაუშვებენ, რომ სიმართლე გაირკვესო. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ჟვანიას დაცვის ორი წევრის მეტი არავინ დაუსჯიათ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ საქმე არ დახურულა და იმედი ვიქონიოთ, რომ დღეს იქნება თუ ხვალ სიმართლე გაირკვევა.

რაც შეეხება ეროსი კიწმარიშვილს, რომელიც მეგობრებმა საკუთარ ავტომანქანაში გარდაცვლილი იპოვეს, მისი სიკვდილის მიზეზად მარჯვენა საფეთქლის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა დასახელდა.

ამ ვერსიას ეთანხმებოდა ჩვენი მეორე რესპოდენტი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგნიძე: „არაპროფესიონალების მხრიდან ამდენ ვერსიებზე საუბარი მარტო საზოგადოებას კი არა, გამოძიებასაც აბნევს. მესმის, რომ ბევრი საეჭვო დეტალია თვითმკვლელობასთან დაკავშირებით, შეგვიძლია კითხვა დავსვათ, ეროსი კიწმარიშვილმა თუ თავი მოიკლა, რაღა ავტოფარეხში, საკუთარ ავტომანქანაში მოიკლა, სხვაგან ვერ მოიკლავდა? არის საქმეები, რომელიც გაუხსნელია და დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს საქმეც ამ კატეგორიას განეკუთვნება. ერთადერთი ხელმოსაკიდი ამ საქმეში ტყვიის გულაა, რომ შეადარო თავისი იარაღიდან არის ნასროლი თუ არა. თუ არ ემთხვევა, ე.ი. სხვა იარაღით არის მოკლული. ჩვენ ჯერ ისიც არ ვიცით, საერთოდ თუ იყო ავტომანქანაში ნაპოვნი იარაღიდან გასროლილი. ისიც ითქვა, რომ გარდაცვლილის ხელზე დენთის კვალი არ აღმოჩნდა, თუ ეს სიმართლეა, მაშინ თვითონ არ უსვრია. აქვე მინდა გითხრათ, რომ ის საქმეებიც არ გახსნილა, სადაც მკვლელობის იარაღი დადგენილი იყო. პროფესიონალი ქილერები ადამიანს კლავენ, მკვლელობის იარაღს იქვე ტოვებენ და დამთავრდა, ეს საქმე საშვილიშვილოდ გაუხსნელია. არც ამ შემთხვევაშია გამორიცხული, რომ პროფესიონალი მკვლელის ნამოქმედარი იყოს. შეიძლება იარაღზე სისხლის კვალი არც ყოფილიყო, მითუმეტეს თვითმკვლელობის დროს, რადგან გასროლის დროს ხელი და შესაბამისად იარაღი მყისიერად უკან მიდის, ძირს ვარდება. იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სად იყო სისხლი და სად იარაღი, ექსპერტიზის დასკვნების გარეშე არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. რომ ამბობენ, ვიდეოთვალი შებრუნებული იყოო, დაზუსტებით ვინ იცის, რომ ამ საქმის გამო იყო შებრუნებული? აიღონ კამერიდან თითის ანაბეჭდები და გაარკვიონ ვის ეკუთვნის, როდის და რატომ შეაბრუნეს, არ შეიძლება ამ შემთხვევაშიც მტკიცებითი ფორმით საუბარი. დავუშვათ, ეს მკვლელმა გააკეთა, რომელი სულელი დატოვებდა თითის



ანაბეჭდებს, ამხელა გარისკა, კაცი მოკლა და კვალს დატოვებდა? ან იმაზე რომ აკეთებდნენ აქცენტს, ეროსი კიწმარიშვილს ჩამოსვლისას სხვა ფერის მაისური ეცვა, ავტომანქანაში სხვაო, ამით რისი თქმა უნდათ, მკვლელმა ტანსაცმელი გამოუცვალა? ეს ყველაფერი თითიდან გამოწოვილი „არგუმენტებია“ და მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება, როგორმე შეულახონ იმიჯი ხელისუფლებას. ეს ყველაფერი ძალიან მაგონებს მაშინდელ სიტუაციას, ზუსტად იგივე უარყოფითი ტალღის აგორებაა ხელისუფლების წინააღმდეგ, ხალხის უკმაყოფილების გამოწვევა, რომ ხელისუფლება არაფრის მაქნისია და ნაციონალები არიან, რაც არიან. თუ ამბობენ, რომ განზრახ მკვლელობა იყო, ყველა მკვლელობას თავისი მოტივი აქვს, მოტივის გარეშე არ ხდება, თვითმკვლელობასაც ჭირდება მოტივი.

მე არაფერს ვამტკიცებ, უბრალოდ იმის ანალიზს ვაკე-

თებ, რაც მედიით ითქვა. ხომ დადგინდა, რომ კიწმარიშვილს გვერდით არავინ ეჯდა. მოდით, ყველაფერი ობიექტურად განვსაჯოთ, იმ ავტოფარეხში, სადაც ეს ვთქვათ, მკვლელობა მოხდა, ყველგან კამერებია დამონტაჟებული, არის დაცვა, რატომ მოკლავდა იქ კიწმარიშვილს ქილერი, ის ხომ უდიდეს რისკს ეწეოდა, სხვა ადგილს ვერ მონახავდა? შემკვეთი მას მკვლელობაში უხდის ფულს, იმას კი არ ეუბნება მაინც და მაინც იმ კონკრეტულ ადგილზე მოკალიო. მისთვის რა მნიშვნელობა აქვს სად მოხდება მკვლელობა, მთავარია ქილერმა მისთვის უსაფრთხო ადგილზე შეასრულოს „დავალება“. რომელი ჭკუათმყოფელი მივიდოდა ადამიანის მოსაკლავად ამდენი ვიდეოკამერების და ადამიანების გარემოცვაში და თავს დააფიქსირებინებდა, მითუმეტეს თუ პროფესიონალ მკვლელზეა საუბარი. ჯერ ის არ გარკვეულა მკვლელობა იყო თუ თვითმკვლელობა და უკვე იმაზე მსჯელობენ ვის შეიძლებოდა მოეკლა, თურმე ხელისუფლების ინტერესშიც ყოფილა კიწმარიშვილის მოშორება. ამათი ლოგიკით რა გამოდის, ყველაზე უფრო დაინტერესებული მამუკა ღლონტი უნდა იყოს თუ „მაესტროს“ ირგვლივ ატეხილ ამბებს გავიხსენებთ. ეს ხომ სრული აბსურდია, რა შუაშია მამუკა ღლონტი ან სხვა ვინმე ამ გუნდიდან? ჩვენ ახლა ვარაუდის დონეზე ვმსჯელობთ, თუ პროფესიონალების აზრი გაინტერესებთ, ყველა იმას გეტყვით, რომ ექსპერტიზების დასკვნის გარეშე შეუძლებელია იმის თქმა, მკვლელობა იყო ეს თუ თვითმკვლელობა, მით უფრო აბსურდია სავარაუდო მკვლელებსა და დამკვეთებზე წინასწარ საუბარი. ეროსი კიწმარიშვილის ქონებრივ დეკლარაციას რომ გავეცანი, გამიკვირდა, ძალიან მდიდარი ადამიანი ყოფილა. ბრწყინვალე მასწავლებლები მყავდა, ძიებისას ყოველთვის იმას მეუბნებოდნენ, როცა ძალიან გაგიჭირდება, ფულის კვალს მიყევი, ის მიგიყვანს საქმის გახსნამდეო. ამ შემთხვევაშიც ფულს რომ მივყვეთ, სადამდე მიგვიყვანს წინასწარ ძნელი სათქმელია, ესიამოვნება კი იმ ხალხს, რომლებიც ასე ხმაურობენ, ამ კვალის საბოლოო „ობიექტის“ დადგენა და გამომზეურება? ამიტომაც ვამბობ, რომ ასეთი დანაშაულები გაუხსნელი რჩება. აქ ვერც ვერავინ დაამტკიცებს, რომ თვითმკვლელობა მოხდა, რადგან ასეთი პოლიტიკური გნიასია ატეხილი, მაგრამ ვერც იმას დაამტკიცებენ, რომ კიწმარიშვილი ვიღაცამ მოკლა“. საკითხავია ვინ და რატომ შეაბრუნა კამერა, ეს ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები მაინც ეჭვს ბადებს. ეროსი კიწმარიშვილს თან რომ ვერ ექნებოდა იარაღი, ესეც ფაქტია, რადგან ნახევრად ავტომატურ იარაღს პერანგის ქვეშ ვერ დამალავდა, ე.ი იარაღი ან ავტომანქანაში იდო, ანდა მკვლელმა მოიტანა. კომპეტენტური წყაროს განცხადებით, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ეროსი კიწმარიშვილს არც შეუძენია ეს იარაღი, მავანთ იცოდნენ რომ ყიდვას აპირებდა, თუ საერთოდ აპირებდა და მის გარეშე გადაუფორმეს. რაც შეეხება მიბრჯნით სროლას, პროფესიონალთა გან-





ცხადებით, ეს უკანა მარჯვენა სავარძელზე მჯდომსაც თავისუფლად მით უმეტეს პროფესიონალს, რომელიც მსხვერპს ავტომანქანაში დახვდა. საგამოძიებო ექსპერიმენტიც ამას ადასტურებს, რომ ამბობენ კიწმარიშვილი შემართული იჯდაო, როდესაც ადამიანს თავის არეში მიაბჯენენ იარაღს, იძაბება და შემართულიაო. ეჭვს იწვევს ის გარემოებაც, რატომ არ დაინტერესდა გამოძიება იმ კავკასიური გარეგნობის მამაკაცით, რომელიც კამერებმა შემთხვევის ადგილის სიახლოვეს დააფიქსირეს. მოკლედ, დეტალების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. არსებობს დიდი ეჭვი, მით უმეტეს პროფესიონალ სამართალდამცავებში, რომ ჩვენს მთავრობას და საგამოძიებო ორგანოებს, იმ ვიღაცა „დირიჟორმა“ არ მისცა უფლება, ეს საქმე ბოლომდე ობიექტურად გამოეძიებინა. თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ და ამას მარტო ჩვენ არ ვამბობთ, ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობის მოტივი ყველაზე მეტად ნაცმოძრაობის „ელიტას“ ჰქონდა., სწორედ მათ აახიეს განსვენებულ კიწმარიშვილს „რუსთავი-2“, რომლის დაბრუნებასაც აპირებდა. მას ხომ ვერ წამოაძახებდნენ ქიბარ ხალვაშივით, ეს ტელევიზია საეჭვოდ გზებით ჩაიგდე ხელშიო. აგვისტოს ომის დროს, ეროსი კიწმარიშვილი საქართველოს ელჩი გახლდათ რუსეთში და საზოგადოებისგან განსხვავებით, ბევრად უკეთ იყო ინფორმირებული ამ ომის „პერიპეტიების“ შესახებ. ჩვენი აზრით, არც დიმიტრი ლორთქიფანიძე და არც ამერიკელი ჟურნალისტი, ჯეფრი სილვერმანი, ზოგიერთებისგან განსხვავებით სიტყვებს ჰაერზე არ ფანტავენ.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# „იონაობა“ ცაიშში

22 ივნისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშში, იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმში სახალხო დღესასწაული „იონაობა“ ჩატარდა.

ღონისძიების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ადგილობრივი მუზეუმების მართვის ცენტრი“ (დირექტორი კონსტანტინე გურგულიანი), ფინანსური მხარდამჭერი – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა. საინფორმაციო მხარდამჭერები: რადიო „ათინათი“, გაზეთი – „ეგრისის მაცნე“.

იონა მეუნარგია – საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი, ქართველ პლუტარქედ წოდებული, მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მწერალთა ბიოგრაფი, „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად ამმეტყველებელი – სოფელ ცაიშში დაიბადა 1852 წელს მრავალმხრივ მოღვაწესა და ჭეშმარიტ ერისკაცს, რომელთანაც დიდი ილია სტუმრად დაბრძანდებოდა და რომელსაც რუსთაველის გვერდით, მთვარედ მოიხსენიებდა, მადლიერმა ცაიშელებმა 1966 წელს, რუსთაველის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით, სახლ-მუზეუმი გაუხსნეს, მისავე კარმიდამოში. სახალხო დღესასწაული „იონაობაც“ სწორედ ამ წლიდან იღებს სათავეს, თუმცა 90-იან წლებში „იონაობის“ ჩატარების ტრადიცია, როგორც ბევრი ტრადიციული დღესასწაული საქართველოში, მოიშალა.

მივიწყებული ტრადიცია მხოლოდ 2013 წლის ივნისს აღდგა, რომლის ინიციატორები იყვნენ კოალიცია „ქართული ოცნების“ ზუგდიდის ორგანიზაცია და ზუგდიდის რაიონის გამგეობა.

წელს უკვე მესამედ იზეიმა ხალხმა „იონაობა“.

საზეიმო ცერემონიალი ზუგდიდში იონა მეუნარგიას სახელობის პარკიდან დაიწყო. ქალაქის მერიამ გვირგვინით შეამკო სახელოვანი თანამემამულის ბიუსტი, რომლის შემდგომ საზოგადოება ცაიშისკენ გაემართა.

ცაიშის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში აღესრულა იონას სულის მოსახსენებელი წირვა.. ასობით დანთებული სანთლის ალი იდუმლად ალიცლიცდა საუკუნოვან ფრესკებზე.

ღონისძიება ბატონმა კონსტანტინე გურგულიანმა გახსნა.

შეკრებილები დალოცა ზუგდიდის ვლაქერნის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა მამა მალხაზმა.

სიტყვით გამოვიდნენ და იონა მეუნარგიას ღვაწლზე ფართოდ ისაუბრეს მწერლებმა ლაშა გვასალიამ, შუკო ჯიქიამ, ბორის დავითაიამ, მეუნარგიას სახლ-მუზეუმის წამყვანმა სპეციალისტმა ნათელა მგალობლიშვილმა.

საინტერესო გამოსვლებით დაამახსოვრეს თავი საზოგადოებას გოჩა ქირიამ, გიორგი კუკავამ, ქეთი ნაჭყებიამ, ჯიტა მურღულიამ, 15 წლის ვირტუოზმა მუსიკოსმა მარიამ წურწუმიამ.

ღონისძიება მუსიკალური ნომრებით დაამშვენეს ფოლკლორულმა ანსამბლმა „ოდოიამ“ და ცაიშის საშუალო სკოლის მოსწავლეთა შემოქმედებითმა ჯგუფმა გოჩა ქირიას ხელმძღვანელობით.

„იონაობა“ გვიანობამდე გაგრძელდა.

**ფატი ნაჭყებია**












# ჰიტლერის პოლიტიკური ანდერძი

**საკუთარი ანდერძის წერა (თითქოს წინასწარ გრძნობდა, რაც ელოდა) ჰიტლერმა 1945 წლის 4 თებერვალს დაიწყო და იმავე თვის 26 რიცხვში დაასრულა. გთავაზობთ ამ დოკუმენტის ფრაგმენტებს და კომენტარებს.**



## ყველაფერში დამნაშავე ჩერჩილი... და ებრაელები არიან

„ჩერჩილი, სამწუხაროდ, მხოლოდ მოხუცი ადამიანია, რომელსაც მხოლოდ ის შეუძლია, რომ ამ ჭკუიდან გადასული რუზველტის ბრძანებები შეასრულოს. ომის დაწყებიდანვე მე იქიდან გამომდინარე ვმოქმედებდი, რომ ჩერჩილს უნარი შესწევდა გაეგო უდიადესი აზრი ევროპის გაერთიანებისა და თითქოს გამონათების მომენტებში ესმოდა კიდეც ეს.

მოგვიანებით, როცა მე საბჭოთა კავშირზე თავდასხმა განვახორციელე, მჯეროდა, რომ დასავლეთის ქვეყნების გონებაში ეს ჯანსაღი აზრის ნაპერწკალს გააღვივებდა. მე დასავლეთს მივეცი შანსი, თითის განუძრევლად, აბსოლუტურად უსაფრთხოდ მიეღოთ მონაწილეობა ამ უდიდესი განწმენდის აქტში, რომელშიც მთელ სანიტარული სამუშაოს მხოლოდ გერმანია ასრულებდა. თუმცა, ამ ფარისევლების სიძულვილი პატიოსანი ადამიანის მიმართ უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე თვითგადარჩენისა. მე ვერ შევაფასე ებრაელების ძალაუფლება ინგლისში!“

აქ მოყვანილია მხოლოდ ანდერძის დასაწყისი. დოკუმენტს აწერია თარიღი 1945 წლის 4 თებერვალი. იმ მომენტიდან, როდესაც გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაურის, გროს-ადმირალ რედერის მჭევრმეტყველების წყალობით ჰიტლერმა საბოლოოდ თქვა უარი ოპერაცია „ზღვის ლომის“ ჩატარებაზე, რომელიც 1940 წლიდან იგეგმებოდა, სამ წელზე ერთი კვირით ნაკლები დრო გავიდა. იმ ოპერაციისა, რომლის მიზანი იყო „ინგლისის მეტროპოლიის განადგურება, როგორც გერმანიის წინააღმდეგ ომის გაგრძელების ბაზისა და, თუ საჭირო გახდება, მისი მთლიანად ხელში ჩაგდება“ (დირექტივა #16 „ინგლისის წინააღმდეგ სადესანტო ოპერციის მომზადების შესახებ“, რომელიც 1939 წლის 16 ივლისს, ე. ი. ევროპაზე თავდასხმამდე თვენახევრით ადრეა შედგენილი). მაგრამ ამ უხერხული ინციდენტის გახსენება გერმანელი ხალხის ფიურერს არ სურდა. რაც იყო – იყო. მიუნჰენში ბრძენმა გერმანიამ ბრიტანეთს და მთელ ევროპასაც, შესთავაზა მსოფლიო კომუნიზმთან და სიონიზმთან ერთად ებრძოლათ. ბრიტანეთმა და ევროპამ უარი თქვეს. და სულაც არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ შეთავაზება ულტიმატუმი უფრო იყო.

## რას აკეთებენ გერმანელები ნიუ-იორკში?

ჰიტლერი ამერიკის შესახებ. „ევროპის კოლონიალისტური პოლიტიკა სრული მარცხით დამთავრდა. მე არ დამვიწყებია ერთი თვალსაჩინო წარმატების მაგალითი, ეს მატერიალური წარმატებაა. მე ვლაპარაკობ იმ ურჩხულზე, რომელიც საკუთარ თავს „აშშ“-ს უწოდებს და მის შესახებ მინდა ახლა ვთქვა: ურჩხული – ეს ერთადერთი სწორი განსაზღვრებაა შეერთებული შტატებისთვის! თუ ჩრდილოეთი ამერიკა არ შეცვლის თავის იდეოლოგიურ დოქტრინას უფრო ნაკლებად ავთვისებიანზე, ვიდრე ახლაა, ფრიად საეჭვოა, რომ მან კიდევ დიდხანს შეძლოს შედარებით თეთრ კონტინენტად დარჩენა“.

ჰიტლერს არ უყვარდა ამერიკა. თუმცა სწორედ გერმანელმა იმიგრანტებმა და მათმა შთამომავლებმა შექმნეს აშშ-ში კონტიტენტალური ევროპიდან გასულთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი. უკვე XIX ს-ის შუა წლებში ამერიკაში 1,3 მლნ გერმანელი ემიგრანტი ცხოვრობდა, ე. ი. ამ ქვეყნის ემიგრანტული მოსახლეობის თითქმის მესამედი. გერმანელი ხალხის ფიურერმა ეს ყველაფერი შესანიშნავად იცის და გულწრფელად წუხს ამაზე.

„მე ფრიად ვწუხვარ, როდესაც ვფიქრობ იმ მილიონობით გერმანელზე, რომლებიც შეერთებულ შტატებში წავიდნენ და რომლებიც ახლა იმ ქვეყნის ხერხემალს წარმოადგენენ. რადგან ეს ადამიანები, კარგი გერმანელები,. არა მხოლოდ დაკარგულები არიან საკუთარი სამშობლოსთვის, არამედ ისინი ჩვენი მტრები გახდნენ და უფრო მეტად შეუწყნარებლად განწყობილნიც კი, ვიდრე სხვები. გერმანელი ემიგრანტი ყველგან ინარჩუნებს თავის თვისებებს, როგორც საუკეთესო და გამძლე მუშაკისას, ეს ასეა, მაგრამ იგი მალე კარგავს საკუთარ სულს. მომავალში ჩვენ ყველა ღონე უნდა გამოვიყენოთ, რათა გერმანული სისხლი ამაოდ არ გადინდეს ქვეყნიდან. მხოლოდ აღმოსავლეთისკენ, მხოლოდ აღმოსავლეთისკენ უნდა მიემართებოდეს ჩვენი სისხლი. წაიყვანეთ გერმანელი კიევში და იგი კვლავ გერმანელად დარჩება, მაგრამ თუ მაიამიში გადაიყვანთ, მისგან დეგენერატს, ანუ ამერიკელს შექმნით“.

## ევროპა – ეს არასერიოზულია

მაგრამ კვლავ ევროპას დავუბრუნდეთ. ამგვარად, ნაცისტური გერმანიის ლიდერი საფრანგეთის შესახებ წერდა: „მე არასოდეს მიყვარდა არც საფრანგეთი და არც ფრანგები და ყოველთვის ვამბობდი ამის შესახებ. თუმცა, ვუშვებ, რომ მათ შორის ნამდვილად ღირებული ადამიანების არიან“.

იტალიის შესახებ: „როცა მე ობიექტურად, ემოციის გარეშე ვაფასებ მოვლენებს, მე უნდა დავუშვა, რომ ჩემი განუყრელი მეგობრობა იტალიასთან და დუჩესთან ჩემი შეცდომაა. სინამდვილეში თვალსაჩინოა, რომ ჩვენი მეგობრობა იტალიასთან უფრო ჩვენი მტრებისთვის იყო სასარგებლო, ვიდრე ჩვენთვის. იტალიელთა მონაწილეობამ ომში უფრო ნაკლები სარგებელი მოგვიტანა, იმასთან შედარებით, რა აურაცხელი სირთულეებიც ამის გამო შეიქმნა“.

ესპანეთის შესახებ: „ზოგ-





Berlin W 8, den
Voßstraße 4
Fernruf: Ortsverkehr 12 00 54
Fernverkehr 12 66 21

Kanzlei des Führers
der NSDAP.

Letzter Wille!

Aktenzeichen: ...a ich in den Jahren des Kampfes glaubte, es nicht
worten zu können, eine Ehe zu gründen, habe ich mich nunmeh
Beendigung dieser irdischen Laufbahn entschlossen, jenes Mä
zur Frau zu nehmen, das nach langen Jahren treuer Freundsch
freiem Willen in die schon fast belagerte Stadt hereinkam,
Schicksal mit dem meinen zu teilen. Sie geht auf ihren Wun
meine Gattin mit mir in den Tod. Er wird uns das ersetzen,
ne Arbeit im Dienste meines Volkes uns beiden raubte.
Was ich besitze, gehört – soweit es überhaupt von
ler Partei. Sollte diese nicht mehr existieren, dem Staat,
uch der Staat vernichtet werden, ist eine weitere Entsche
ir nicht mehr notwendig.
Ich habe in den von mir im Laufe der Jahre angekau
ungen niemals für private Zwecke, sondern stets nur für
iner Galerie in meiner Heimatstadt Linz a.d.Donau gesamme
ieses Vermächtnis vollzogen wird, wäre mein herzlichster
Zum Testamentsvollstrecker ernenne ich meinen tre
rteigenossen Martin Bormann. Er ist berechtigt, alle En
dgültig und rechtsgültig zu treffen.
Es ist ihm gestattet, alles das, was persönlichen
rt besitzt oder zur Erhaltung eines kleinen bürgerliche
twendig ist, meinen Geschwistern abzutrennen, ebenso vo
tter meiner Frau und meinen ihm genau bekannten treuen
Mitarbeiterinnen, an der Spitze meinen alten Sekretär



ჯერ საკუთარ თავს ვეკითხები, ხომ არ დავუშვით 1940 წელს შეცდომა, როცა ომში ესპანეთი არ ჩავითრიეთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ფრანკო ჩვენთან კავშირზე უარს არ იტყოდა, მისთვის მისაღებ პირობებს თუ შევთავაზებდით — საფრანგეთის პატარა ნაწილს მისი ნაციონალური სიამაყის დასაკმაყოფილებლად და ალჟირის მოზრდილ ნაწილს, როგორც ნამდვილად ძვირფას და რეალურ საჩუქარს“.

იაპონიის შესახებ: „ომში იაპონიის ჩართვაში სახიფათოს ვერაფერს ვხედავდით, თუმცა ნათელი იყო, რომ იაპონელებმა მშვენიერი საჩუქარი გაუკეთეს რუზველტს პერლ-ჰარბორის სახით, რითაც გერმანიისთვის ომის გამოცხადების შესანიშნავი საბაბი მისცეს.

### ჰიტლერი რუსეთის შესახებ

ამ ომის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებებიდან არც ერთი არ იყო ისეთი დამღუპველი, როგორც რუსეთზე თავდასხმა. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩვენ ყოველნაირად უნდა ავარიდოთ თავი ორ ფრონტზე ომის გაშლას. და თქვენ დარწმნუნებული უნდა იყოთ, რომ მე დიდხანს და შეშფოთებული ვფიქრობდი რუსეთში ნაპოლეონის სავალალო გამოცდილებაზე“.

მაშინ რატომღა დაიწყო ომი რუსეთთან? ადოლფ ჰიტლერი ამაზე პასუხობს: „ჩვენ მოქმედებისთვის სერიოზული მიზეზი გვქონდა — სასიკვდილო საფრთხე, რასაც საბჭოთა კავშირი ჩვენს არსებობას უქმნიდა, რადგან აბსოლუტურად ნათელი იყო, რომ დღეს თუ ხვალ სსრ კავშირი თავს დაგვესხმოდა.

ჩვენი ერთადერთი შანსი საბჭოთა კავშირის განადგურება იყო — თავდასხმა, რადგან პასიური თავდაცვა აბსოლუტურად უპერსპექტივო იყო. ჩვენ ვერ მივცემდით წითელ არმიას შანსს, გამოეყენებინა ჩვენი სუპერთანამედროვე ავტობანები საკუთარი ტანკების უსწრაფესი გადმოტყორცნისთვის, ხოლო ჩვენი რკინიგზა კი ჯარის ნაწილებისა და აღჭურვილობა-მომარაგების გადასაზიდად. მაგრამ ჩვენი თავდასხმის შემთხვევაში შანსი გვექნებოდა წითელი არმიის თავისავე მიწაზე — საკუთარ მინდვრებში, ჭაობებსა თუ თვალუწვდენელ სივრცეებში — განადგურებისა. თუმცა ჩვენთან, ცივილიზებულ ტერიტორიაზე წითელი არმიის დამარცხების არავითარი შანსი არ გვქონდა. წითელი არმია რომ დაგვსხმოდა თავს, ჩვენ მხოლოდ ტრამპლინი ვიქნებოდით მათთვის და ისინი მთელ ევროპას გაჭყლეტდნენ. ჩემი პირადი კოშმარი იმის შიში იყო, რომ სტალინი ინიციატივას საკუთარ თავზე აიღებდა“.

დაბოლოს — წინასწარმეტყველური სიტყვები: „ჩვენი იმპერიის განდაგურების შემდეგ, არსებობს მხოლოდ ორი ძალა, რომელიც გაუმკლავდება მოსალოდნელ აზიურ, აფრიკულ და, შესაძლოა, სამხრეთამერიკულ ნაციონალიზმს — ესაა აშშ და სსრ კავშირი“.

### ეს ასლია

ამ დოკუმენტმა, ბევრი თავგადასავალი გადაიტანა. ანდერძის ნამდვილი პირი დაკარგულია. საქმე ის გახლავთ, რომ 1945 წლის აპრილში ჰიტლერმა სკივდილის წინ ანდერძში ზოგიერთი შესწორება შეიტანა. კერძოდ, მან გააკეთა ჩანაწერი ყოფილი რეიხსმარშალის ჰერმან გერინგის პარტიიდან გარიცხვისა და მისთვის ყველა უფლების ჩამორთმევის შესახებ; ყოფილი რაიხსფიურერისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ჰენრიხ ჰიმლერის პარტიიდან გარიცხვისა და ყველა სახელმწიფო თანამდებობიდან გადაყენების შესახებ; ასევე, გროსადმირალ დენიცის რეიხის პრეზიდენტად და შეიარაღებული ძალების მეთაურად დანიშვნის შესახებ. შემდგომ ანდერძის ტექსტში საიდუმლოდ იყო შეტანილი ცვლილებები ჰიტლერის ნდობით აღჭურვილი პირის მიერ ავსტრიის ერთ-ერთ ბანკში. თავად ეს პიროვნება დააპატიმრეს. იგი წუხდა, რომ ანდერძს აღმოაჩენდნენ და ეს მის მიმართ სასჯელის გამკაცრების საბაბი შეიძლებოდა გამხდარიყო. მან ნაცნობ იურისტს სთხოვა ბანკიდან ანდერძი გაეტანა და დაეწვა. იურისტი დათანხმდა, მაგრამ ჯერ წაიკითხა დოკუმენტი და მიხვდა, რომ მის წინაშე უნიკალური საბუთი იყო. იურისტმა დოკუმენტის ფოტოასლი გააკეთა, დედანი კი დაწვა.

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22



# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



* * *

**— სამი წლის წინ ჩემი შვილი განქორწინდა მეუღლესთან. ბავშვებს ნახულობს მხოლოდ მამამისი. ყოფილი რძალი ჩვენ, ბებიას და პაპას, არ გვანახებს შვილიშვილებს. შეგვიძლია თუ არა, მოვითხოვოთ სასამართლო წესით შვილიშვილების ნახვა?**

— შეგიძლიათ. სამოქალაქო კანონმდებლობა თქვენ ამის უფლებას განიჭებთ. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1203-ე მუხლის მიხედვით, პაპას და ბებიას უფლება აქვთ, ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილთან მაშინაც, როცა ისინი უშუალოდ არ მონაწილეობდნენ შვილიშვილების აღზრდაში. თუ მშობლები ან მეურვე / მზრუნველი / უარს ეუბნებიან პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია, დაავალდებულოს მშობლები ან მეურვე / მზრუნველი/ საშუალება მისცენ პაპას ან ბებიას, ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ მოახდენს მათზე.

* * *

**— ვშორდები მეუღლეს. ყველა საბუთი მაქვს მის გვარზე. შეიძლება თუ არა, განქორწინების შემდეგ, მიუხედავად მეუღლის წინააღმდეგობისა, დავიტოვო მისი გვარი?**

— შეიძლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1133- ე მუხლის მიხედვით, მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა დაქორწინების დროს, უფლება აქვს, განქორწინების შემდეგაც ატაროს იგივე გვარი, ან მისი მოთხოვნით დაუბრუნდება ქორწინებამდელი გვარი.

ასე, რომ, მიუხედავად, თქვენი მეუღლის წინააღმდეგობისა, თქვენ შეგიძლიათ განქორწინების შემდეგაც შეინარჩუნოთ მისი გვარი.

* * *

**— როგორია მსჯავრდებულ მეუღლესთან განქორწინების წესი?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1125-ე მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურშიერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინება ხდება იმ პირთან, რომელიც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა.

ამავე კოდექსის 1139-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლე, რომელსაც სურს განქორწინება ხსენებული საფუძვლით, ვალდებულია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული , კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი ან განაჩენის ამონაწერი იმის შესახებ, რომ მეორე მეუღლეს შეფადებული აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ სამი წლისა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შეტანილი განცხადების შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახური აუწყებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მეუღლეს. უწყებაში უნდა განისაზღვროს იმის თაობაზე პასუხის შეტყობინების ვადა, არის თუ არა დავა ბავშვების შესახებ, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე ან იმ შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინებაზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს. პასუხის შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3თვეს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავა არ არსებობს, ან მითითებულ ვადაში პასუხი არ იქნა მიღებული, სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ახდენს განქორწინების რეგისტრაციას.

დავის არსებობის შემთქვევში განქორწინების საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს პრეროგატივაა.

* * *

**— ვარ 1-ლი ჯგუფის ინვალიდი. მეუღლეს სურს ჩემთან განქორწინება. ვრჩები ულუკმაპუროდ. მშობლებიც გარდაცვლილი მყავს . ჩემი ერთადერთი მარჩენალი იყო მეუღლე. რის გაკეთება შემიძლია სამართლებრივად?**

— თქვენ გაქვთ მეუღლისაგან სარჩოს მოთხოვნის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1129-ე მუხლის მიხედვით, იმ მეუღლის თხოვნით, რომელსაც უფლება აქვს, მიიღოს სარჩო მეორე მეუღლისაგან, სასამართლო ვალდებულია, განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად განსაზღვროს იმ სახსრების ოდენობა, რაც უნდა გადახდეს მეორე მეუღლეს.

რჩევა: აუცილებლად დააყენეთ ეს საკითხი შესაბამის შესაგებელში.

# მარულა – 2016





სამეგრელოში მარულას ტრადიციის აღდგენა დაიწყო - საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი სენაკში საცხენოსნო შეჯიბრს „მარულა 2016“ დაესწრო. ღონისძიება, რომელიც სამეგრელოში არსებული საცხენოსნო ტრადიციების აღდგენას ემსახურება, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით გაიმართა. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს ცხენოსნებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

გიორგი კვირიკაშვილმა ღონისძიების ორგანიზატორებს და თითოეულ მონაწილეს ცხენოსნობის აღორძინების საქმეში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. გამოთქვა იმედი, რომ სენაკი გახდება ცხენოსნობის ერთ-ერთი ცენტრი საქართველოში.

საცხენოსნო სანახაობების პარალელურად გაიმართა შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში. ასევე წარმოდგენილი იყო რეწვის ნიმუშებისა და სოფლის პროდუქტების გამოფენა. პრემიერ-მინისტრმა სამეგრელოს რეგიონის მუნიციპალიტეტების მიერ მოწყობილი კუთხეები დაათვალიერა.

ღონისძიებას საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

სენაკის იპოდრომზე, საცხენოსნო შეჯიბრებები გაიმართა შემდეგ ტრადიციულ სახეობებში: მარულა, ცხენბურთი, კონკური და ისინდი.

ღონისძიება, „ახალგზრდობის წლის“ ფარგლებში ჩატარდა, შეგახსნებთ, რომ მიმდინარე წელი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა რეგიონში ახალგაზრდობის წლად გამოაცხადა.

სამეგრელოში საცხენოსნო კლუბებს მდიდარი წარსული და დიდი ისტორია აქვს.

ცხენოსნობის სხვადსხვა სახეობებში სამეგრელოს არაერთი წარმომადგენელი ჰყავდა, როგორც საქრთველოს ასევე საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. მათ შორის იყვნენ ქალბატონებიც, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო ზუგდიდელი თამარ ჭითანავა, ხოლო საქართველოს ჩემპიონი დარიკო ლაგვილავა.

მარულა 2016-ის გამარჯვებულები სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ, საოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა და სენაკის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ დააჯილდოვეს.











სენაკში 120 მილიონი დოლარის ღირებულების ქართულ-ჩინური საინვესტიციო პროექტის განხორციელება დაიწყო - ცემენტის მწარმოებელი ქარხნის მშენებლობისთვის საფუძვლის ჩაყრის ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, მინისტრები და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი დაესწრნენ.

ავეჯის
გადაზიდვის
სერვისი
593 20-46-87

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com